

# ახალი საუნივერსიტეტი

თემთაბის და  
კომუნალური  
სურნალი

საქართველოს  
საერთაშორისო  
საერთაშორისო

№4 (70) ივლისი-აგვისტო, 2019 წელი ფასი 2 ლარი

## ნომრის ავტორები

ბუთა ზუსუნიძე  
& გონჯა ოზანი

1970  
2019

პოეზია  
დავით ჩხიკვაძე  
დათო ქარაძე

კრიტიკა  
ლევა კოდლაშვილი – მელანია მაცუკოვა

პროზა  
ზურა ჯიშკარიანი  
ნუნუ ქადაგიძე

ახალი თარგმანები  
სერგეი ტიმოფევი  
ელზა მორანტი  
გეორგ ლუკაჩი





# ყველაფერი ჩვენს წარმოებაში



**ციფრული,  
ოფსეტური  
გეჭღვა**

- სავიზიტო ბარათები; მოსაწვევები და მისალოცები;
- დიპლომები; სერთიფიკატები; ბროშურები; ფლაერები;
- ბუკლეტები; კატალოგები; მენიუები; კალენდრები;
- პოსტერები ბლანკები; კონვერტები;
- ბლოკნოტები; CD/DVD შეფუთვა
- ნებისმიერი სირთულის ყუთები;
- ასევე ყუთებზე ბეჭდვა;
- ყველა სირთულის კვეთები;
- ეტიკეტები და სხვა თვითნებადი
- პროდუქტები; ბილეთები;
- აფიშები, ბანერები, ვიტრინების
- და ავტომობილების გაფორმება;
- საათების ბრენდირება;
- ბეჭდვა ოქროს და ვერცხლის ფოლგაზე,
- ნატურალურ ტილოზე;
- პლასტიკური ბარათებზე ბეჭდვა;
- მაისურებზე, ჩანთებზე, კალმებზე ბეჭდვა

ქუთათელაძის 8. ტელ.: 597 39 55 87; 2 39 55 87; 2 14 12 14 [innostd@gmail.com](mailto:innostd@gmail.com)



ქრედიტი ბაზრის სავაჭრო-საინფორმაციო  
მედიის განვითარების, კომუნიკაციისა და სპორტის  
სამინისტროს მხარდაჭერით





## ნომრის ავტორები

### ბელა ჩეკურიშვილი

ელისო მებრეშვილი – ბელა ჩეკურიშვილის გზები და ლაბირინთები – 3

ბელა ჩეკურიშვილი – ლექსები – 13

ორი გერმანული რეცენზია – 17

თარგმანები თანამედროვე გერმანული პოეზიიდან – 17

### გონჯა ოზმენი

ბიოგრაფია – 20

გონჯა ოზმენი: პოეტებს მართებთ, ფილტ თხეზს დაემსგავსონ! (ინტერვიუ) –  
(ესაუბრა ანი კოპალიანი) – 21

გონჯა ოზმენი – ლექსები (ინგლისურიდან თარგმნა ანი კოპალიანმა) – 27

## პოეზია

დავით ჩისლაძე – 31

დათო ძარღვაძე – 35

## პროზა

ზურა ვიშკარიანი – განსაკუთრებული მიცვალებული – 41

ნუნო ძაბაძიძე – სიკვდილმისჯილთა ბანაკი – 45

1

2

3

**პრიტიკა**

ლელა კოდლაშვილი – „ეიტა“ – ორი ბავშვის ისტორია, რომელიც მთელი იტალიის ბიოგრაფიად იქცა – 55

**ახალი თარგმანები**

- სმარტი ტიმოფევი – ლექსები (რუსულიდან თარგმნა ნენე გიორგაძემ) – 58
- ელზა მორანტი – მოთხრობები (იტალიურიდან თარგმნა მია ტურაბელიძემ) – 63
- გოტფრედ ლუკარი – ბალზაკის გაზერალი ფილუზიები (თარგმნა ნორიკ ბადოიანმა) – 71

4

5



პროექტის ავტორი:  
ვაჟა წონძალაური  
საუნჯე გამომცემლობა  
მთავარი რედაქტორი:  
შოთა იათაშვილი

რედაქტორი-სტილისტი:  
ლელა კოდლაშვილი

დიზაინი და დაკაბადონება:  
ნიკა ხვედელიძე

სარედაქციო კოლეგია:  
დავით ანდრიაძე  
ბიბე მამბერაძე  
დათო ტურაშვილი  
ეკა ძვეანიშვილი  
ზაზა შატრიშვილი  
დავით ჩიხლაძე  
ბიბე ხაღერი

ნომერზე მუშაობდნენ:  
ელინო მებრეველი  
ბელა ჩიკურიშვილი  
ანი კობაკიანი  
დავით ჩიხლაძე  
დათო ძარღვა  
ზურა ზეიშპარიანი  
ნუნო ძაღაგიძე  
ლელა კოდლაშვილი  
ნენე გიორგაძე  
მანია ტურაბელიძე  
ნორიკ ბადოიანი

გამომცემლობა – „საუნჯე“  
მის: ალ. საგაძის 32/34  
ტელ: 2141214, 2395587, 2397188  
ელ-ფოსტა: akhalisaunje@gmail.com  
Facebook: გამომცემლობა საუნჯე/Saunje publishing <http://www.facebook.com/saunje>  
[www.newsaunje.ge](http://www.newsaunje.ge)

## პელა ჩეკურიშვილის გზები და ლაბირინთები

ელისო მეტრეველი

არ მახსოვს, როდის წავიკითხე პირველად „სალომეა“. წავიკითხე და აღარასდროს დამავიწყდა: იცეკვე, სალომეა... – ვიმეორებდი ხოლმე და ყოველთვის ვამატებდი – იცეკვე, იცეკვე!.. ერთ ლექსში ჩატებული ასეთი შეუბრალებლობის და სინაზის, სიყვარულის და გამეტების, გაქცევის და შეგუების სულის შემზუთავი და ამავე დროს, დახვეწილი ერთდროულობის გამო „სალომეა“ ჩემი „მუდმივი“ ტექსტების სიაშია.

„იცეკვე, სალომეა, სწავლა თუ გინდა, ცისკრიდან მზის მიმზურამდე უნდა იცეკვო, მუსიკა გულმა უნდა უკარნახოს ფეხებს და მკლავებს, ყურით კი არა, ტანით ისმინე!“ – მახსენდება, როცა რალაცის სწავლას ვცდილობდი; „თავს ნუ ზრი, მუდამ ნინ იყურე, ზეცას ახედე...“ – მახსენდება, როცა ვიბალებოდი; „იცეკვე, სალომეა, იმ დღის მოსვლამდე კიდევ ბევრი უნდა იცეკვო!“ – მახსენდება, როცა ვერაფერს ვცვლიოდი. პელა ჩეკურიშვილის „სალომეა“ – შეიძლება გაგახსენდეს ბევრჯერ და სხვადასხვა მიზეზით.

ბელა ჩეკურიშვილი ახლა გერმანიაში ცხოვრობს, შვილთან და მეგობართან ერთად. გერმანია მისი ცხოვრების კიდევ ერთი „აპდითია“, ევროპაში სტუდენტობა ქართული განათლების გაგრძელებაც იყო და „შიშისგან“ გაქცევაც. დამათავრა ბონის რაიონში ფრიდრიხ-ვილჰელმის უნივერსიტეტის კომპარატივისტიკის მიმართულება. გერმანიაში საუნივერსიტეტო პრაქტიკის დროს თანამშრომლობდა გამოცემლობა „ვაილდე ფერლაგთან“ (Weidle Verlag). „ვაილდე ფერლაგმა“ გამოსცა ზურაბ ქარუმიძის „დაგნი ანუ სიყვარულის ნადიმი“ და აკა შორილაძის ორი – რომანი „მოგ ზაფრობა ყარაბაღში“ და „მამლუქი“. ქართულენოვანი რედაქტორი სჭირდებოდათ. პრაქტიკის დროს ის ქართული ნიგნებიც წავიკითხა და სარეკომენდაციო ანალიზი დანერვა, რომელთა დაბეჭდვაც შეიძლება გამოცემლობამ მომავალში იფიქროს. პრაქტიკის დასრულების შემდეგ მომზადებული ანალიტიკური ნაშრომი კათედრის ხელმძღვანელმა უშაღლესი ქულით შეაფასა და ასისტენტის პოზიცია



შესთავაზა, თუმცა ის უკვე ბერლინში ცხოვრობდა. ამბობს, ასეთი რამებიც ხდებაო, მაგრამ ზუსტად იცის, რაღაც შეიცვლება, დრო, როგორც ყოველთვის, მის ცხოვრებაში, ახლაც მოიტანს ცვლილებებს. მანამდე კი თარგმანებზე მუშაობს – გერმანული ნოთხების კრებულს ამზადებს ქართულ ენაზე გამოსაცემად.





საქართველოსა და გერმანიამ გამოცემული აქვს ლექსებისა და ნოველების რამდენიმე კრებული: „ან - ან“, „ღია ბარათები“, „შეკითხვად სიზოფუს“, „რანისპირა ამბები“, „წვენი ვაძლის ხეობა“, „ფეხმწიფელი“, „სამიშის ბუნის დეტექტივი“... ხშირად მონაწილეობს ბერლინის, ლაიპციგის, ფრანკფურტის და ვეროისის სხვა ქალაქებში გამართულ წიგნის ფესტივალებსა და ლიტერატურულ საღამოებში. მისი ტექსტები დაბეჭდილია სხვადასხვა ჟურნალებსა და ანთოლოგიებში. გერმანულის გარდა მისი ლექსები თარგმნილია ინგლისურ, იტალიურ, რუსულ და ფრანგულ ენებზე.

ტელეფონში ბელა ჩეკურიშვილის „სომიშვილის დეტექტივორს“ ვკითხულობ, თან მესწავრები შეკითხვებს ვკრეფ. ბერლინში ახლა დილაა, რატომც. მწერს, რომ ჯერ ყავას დალევს და მერე მოაპსუხებს. ვიცო, ჩვეულებრივი კითხვა-პასუხი არ გამოვა. ასეც ხდება - ბელა უფრო ნოველებს მწერს - თითო თავს „უსასარულო ამბიდან“.

**თავი I  
სახლი გარეშე**

ვთხოვ, ჯერ რასაც ხედავს, იმაზე მომწეროს. იმის დასაწახად კი, რასაც ახლა ბელა უყურებს, არც დრო მიიღის ხელს, არც მანძილად არც „რკინის ფარად“. ბანალურია ამაზე ლაპარაკი, არა? - და მაინც, ყოველ ჯერზე, როცა ახლანდელი პროგრესითა და შესაძლებლობით ზანაღურად ესარგებლობ, გულბრძანებით მადლიერება მიპყრობს; განსაკუთრებით მაშინ, თუ რომელიმე ორიათასიანელს არ ველაპარაკები, რომლისთვისაც უფავეტობა, უნტერნეტობა, ომი და „ფარდა“ მხოლოდ სხვათაიანა ან აპოკალიფსური მომავლის სცენარი. „აპოკალიფსამოვლელიებს“ კი უცნაური აღტაცება ახასიათებთ ანშის მიმართ და მადლიერებაც ყველა იმ სხვათა და განსაცდელის გამო, რასაც გადაურჩნენ და ისწავლეს მარტოობაში, გზებზე, ქარსა და ხმებში როგორ დაიჭირონ „სახურავი“.

სად არის, რას უყურებს, სად იქნებოდა? .. ეს სახლი, ბერლინის უბანში, მოაბიტში, ჩემი მეგობრის, მათიას უნჯერის სახლია, ვიკულმტრასეს და პრედოუმტრასეს კუთხეში დგას. და ჩემი მაგიდაც იმ ოთახშია, რომელიც და ქურების გადაკვეთაზე ხედება და რადგან ოთახს ერკერი აქვს, სადაც ჩემი მაგიდა დგას, სამი მხრიდან დიდი, მაღალი ფანჯრე-

ბი მაკრავს (მეოცე საუკუნის დასაწყისის სახლი, დაბოშნილი და მერე შეკეთებული), ფსახი თანამედროვე აქვს. ინტერიერი - ოუგენდშტაილის. ფანჯრის რაფაზე ოთახის ყველაფერი და ქვები, ბუერი არაფერი, შტერული ყვავილებია; გერმანულეს უყვართ ინტერიერი მწვანე, ჩემი მომწინებელი არ არის და არც ქვევია ჩემი, მათიანი აგროვებს ამ ქვევს, ისევე, როგორც ნახატებს და ნიგუნეს.

მათიას ქართველი მხატვრების ნამუშევრებიც აქვს: კარლო კაქარავა, ჩუშჩიკა, ზურა გიკაშვილი, თემო ვეაძიძე, ნამუკა ციციხლაძე, თამაზ ვარვაროძე, ზურა აფხაზაშვილი, გოჩა ღულუღაური... ოთახის საკმაოდ ფართოა და სამი მხრიდან ნიგუნების თაროებით არის გარშემორტყმული. ორი თარი მე მკუთუთნის უკვე: ჩემი სასწავლო წიგნები და პირადად ჩემი გერმანულ-ქართული კრებულები, ანთოლოგიები და ალბომები, სადაც ჩემი ლექსები გამოქვეყნებულა. ესეც მათიასი დაწყებულია, ამ ანტოლოჟს მე მხოლოდ ალავერდის ფოტო შევმატე ფანჯრის რაფაზე და საბერძნეთიდან ჩამოტანილი პატარა ლარნაკი ათენის გამოსახულებით. და კიდევ იატაკზე ხალიჩა: ეს ხალიჩაც ქართულია, ირმებიანი და მგლებიანი, ისე გვიდევს, როგორც ხელოვნების ნიმუში, ფესს არ ვაბიჯებთ.

კარგი, ახლა გარეთ ვგაახედებ: მესამე სართულია და პირდაპირ სახლში შემოდინა ხეები. მაგრამ ამ ხეების ფიშებსა და სახელებს ნუ მომთხოვ, ქართული განათლების სისტემა დიდად არ იწუხებს თავს, ბავშვებს ხეების ფიშებზე დაკვირვება ასწავლავს. არ გიფიქრია ამაზე? გერმანულებმა ხეების ფიშები, ყვავილები, ფრინველები და მერეები ზედმინჯვით იციან. ალბომებში ეძებენ, ბუნებაში გაცლით და გამკაცრებენ ბავშვები მათზე დასაკვირვებლად. განა მარტო ფიშები, ქვეყნები და ქვეკლასებიც იციან. მე ვაზიგია ნიფელი, „ამელი ნიფელიც“, ნიფლის პარკეტიც (ცუდი პარკეტი). მაგრამ, აბა, ნიმაველი ნიფელს, ვიცნობ, რომელია? ან შენ იცნობ?

აი, გზიგარა ამ შიანი დილით ბერლინში და საქართველზე გელაპარაკებ. კი, სიამოვნებით ვიქნებოდი ახლა მანდ, უფრო უარესს ვიტყვი: რადგან ავიესტოა, ქობულეთშიც კი ვიქნებოდი! იმ ჭუჭყიან, ათას ჯურის დამსვენებლებით სავსე ქობულეთში, მათიანი რომ ტრიფოლუტებს ეძიებს და ვერ გაუგია, სად მივიწვი, რატო მივიწვი... დილიდან კი ჩემი მეგობარი ციცი ხაზოური ვენეციიდან მუხმინანება და კენესა მაქვს. კი, ვიწვი-აშიც ვიწვიბოდი, საერთოდ, ყველაგან ვიქნებოდი, ნორვეგიის ფიორდებზეც, საერთოდ, ადამიანს მუდამ იქ უნდა, სადაც არ არის. კი, ბერლინის ეს სახლი ის სახლია, სადაც ვისურვებდი, დაგებრებულყავი?.

...ქარია და ამტომაც ხმამაღლა ვყვირი / ჩემი სიტყვები ალვის ტოტებად ენთეთება / ტროტუარის დაბრეცილ კოდეს, / მაგრამ მშველელს კი არ ვეძიებ, / ანდა მინასმოწყვეტლი, მეროლავ პოეტებს კი არ მოვუხმობ / დაბუტულით თვალებით რომ მიფარავატებენ სადაც; გააღმა, / ვყვირი, რადგან მინდა, განიშნო, / რომ მოვახერხე, / შევკარი და მტკიცედ მოჭარავს საბურავის წვერცა და საბურავ მილიც, / რომ დამჭარული, ძველი სახლისგან / ავურიც კი არ დამიკარგავს. - „სახლი“.




ბელა ჩეკურთშვილი ამბობს, რომ ევროპელებს უყვართ ახალი ქვეყნები და სადმე „თავისას“ თუ მიაგნებენ, მერე ბოლომდე უპრობლემოდ. ასეთი ევროპელია მათიას უნგერცი, რომელიც საქართველოში მხატვარმა გოჩა ლულუაშვილმა დაინტერესდა. ასე დაიწყო კულტურული ბიენალე „შენვედრები ფიროსმანთან“, ორ წელიწადში ერთხელ ევროპელი მხატვრები ჩამოდიოდნენ საქართველოში. ათი წელი გაგრძელდა პროექტი, 200-ზე მეტმა გერმანელმა მხატვარმა ნახა საქართველო. ბელამ მათიასი სწორედ ამ პროექტით გაიცნო, როგორც „24 საათის“ თურნალისტმა – ერთ-ერთი გამოფენის გასაშუქებლად მივიდა 2010 წელს ქარვასლაში, მერე გოეთეს ინსტიტუტში დაესწრო ლიტერატურული კითხვას.

როგორ მიდიოდა, რა შეცვალა, როგორ ცხოვრობს?..

„ეს ყველაფერი რომ დამთავრდა, მივედი გოეთემ და ენის კურსებზე ჩავეწერე. გერმანიაში წასვლა არა, დოქტორანტურაში ჩაბარება გადავწყვიტე და ენა მჭირდებოდა. მათიასთან შეხვედრამ თუ ზოგადად, იმ სიტუაციამ მომიცა ბიძგი. იცი, უცვდელ მიზეზი, რომ რაღაც ძალიან უღიბლამოდ ცხოვრობდი, ინტერვიოდან ინტერვიოზე დავყალიბდი და არ ვიზრდებოდი. შემრცხვდა და შემომინდა. პაერთოდ, შიში და სირცხვილი ძალიან ძლიერია ჩემში, თუკი რამეს ვაკეთებ, ამ ორი გრძნობის გამო.“

ჰო, მათიასისთვის მე იმ ზოგადი ქართული პროექტის ნაწილი ვიყავი, ერთხელ მითხრა კიდევ, ძალიან ბევრი პროექტი გამოიკეთებია ცხოვრებაში, შენ ყველაზე მეტად გამომართლავ (ამის ვახსენებზე ყოველთვის ვიცინი). გერმანულ ენაზე ქართული პოეტების კრებულის გამოცემა „ფიროსმანის“ პროექტის ნაწილი იყო, ზოგ აეტყობს მონაწილეობაც მქონდა მიღებული ამ ხელოვნების ბიენალეში (მაგალითად, ზეიად რატიანს, შოთა ითაშვილს, ნიკა ჯორჯაძეს, მერე უკვე მეც), დანარჩენი პოეტებიც გზადგავა გაიცნო, ზოგი დამოუკიდებლად, ზოგიც – ჩემგან და საბოლოოდ, გამოვიდა თანამედროვე ქართული პოეტების ორი გერმანულენოვანი კრებული „Aus der Ferne“ („შორიდან“) 2015 წელს, და Die Kartoffelrönte („კარტოფლის ამოღება“) 2017 წელს, სადაც 13 ავტორია შესული, მხატვრებიც დაინტერესა და პირველი კრებულს შანს შიბიმა გააფორმა ილუსტრაციებით, მეორე – დიტერ გოლჩემ. ეს ორივე ხელოვანი ძალიან დიდი ფიგურები არიან თანამედროვე გერმანულ მხატვრობაში და ნეტავ იცოდე, რა უშუალოდ, რა მოქმედებულეები არიან.

მათიასის მარტო ლიტერატურა და მხატვრობა კი არა, ყველაფერი აინტერესებს, რაც სამყაროში ხდება, მისი თაობა ასეთი, ე.წ. 68-იანები, აჯანყებულები, ცნობისმოყვარეები, დაუდგომლობები, მსოფლიოს მოდებულები. თავისუფალი ევროპა ამ თაობამ მოიტანა. გერმანიაში სასწავლებლად წამოსვლა არაფერი მოემცა, მათიასი რომ ამ შემხვედროდა. ნამდვილი კომპასია ჩემთვის, ღირებულებების, გემოვნების, უკომპრომისობის მანიშნებელი კომპასი. სიყალბეს ვერ ეგუება, ამაში ვგავართ. ათას ადგილს მივყავარ და მიმიღღის,



მათიას უნგერთან ერთად

აი, მე რომ ენერგია აღარ მაქვს და მეზარება, ის აქეთ მამუნაობს და ეს იცი, ზოგჯერ რა ექსტრემულია? (როგორ, პარიშიში ჩახვიდე და სამივე სასაფლაო არ მოიპოვი?) ანდა, ორი საათი ბორმის დაჭრა-მოხარშვას რომ მიაკვდები და ქაშის არ დაგაცლის, უცებ ნაიკითხავს ინტერნეტი, რომ პოლ ნიზონია ჩამოსული ბერლინში და ლეზუნგს მართავს და რა დროს ქაშაა, ბელიკო, სადაღ ნახავ ცოცხალ პოლ ნიზონს, 80 წლისაა კაცი, ჩაიცივო, გავიცივო და შენ აზრზეც არა ხარ, ვინ არის პოლ ნიზონი, მას კი, ახლა მაგდალასთან მიჰყავებარ, მიდი, ნიგზეც ნაწინინო. უფრო უარესი კიდევ გზიდადი ვილაცხვს დაურეკავს, ჩქარა, აქა და აქ. ესა და ეს ლეზუნგია, გამოცენაა. შეგუდრია, ჩაიცივო, ნამოდიო... მათიასთან ცხოვრება მოთხოვნები ვულკანთან ცხოვრებას ჰგავს. არც თვითონ ისვენებს, არც შენ ვასვენებს... 70 წლისაა, სახსრები სტიკია, სიარული უჭირს და ადგება და მაინც ნაგვიკანს კუმბა, რომ კუმას სიბილა სადღაც იჯდა, ის ადგილი ნახო, ანდა რაღაცაზე გატყევის, იქ რა გინდა, იმ კორპორაციის მუშაობაში, იმ ტურისტებით გადაჭედული ადგილებზე და ეს საშინელება არის, მაგალითად, ვეწეცია...

„შიში – ერთადერთი სიმყარეა, რასაც ვეყრდნობი, რაც ციცი, რომ მარადიულად აღსარებას, არ შეიცვლება, რაზეც დგას ძალაურება მრისხანება და სუსტთა თემბაც... / ორსახაა შენი შიშიც, ორმაგად და ორგზის ნაკვეთი, ერთი მხრიდან თუ ვერ მოგავნო,

მეორედან მაინც მოგძებნის და თავისწილად არასოდეს არ მიგატოვებს. არ გემწიხოდეს." – „ორპირობა“.

### ახგავი III მინოსის ლაბირინთში

ბელა ჩეკურიშვილის ცხოვრებაში, ისე, როგორც მის ლექსებში, ბევრი გზაა. ოდესღაც ნაკითხია, რომ გზაზე მიმავალს „სამყაროებსმარება“; ისწავლა, თუ არ გაჩერდება, დრო მისთვისაც იმუშავებს გამოსცადა, რომ არსებობს ნიშნები, ძალას რომ მოგცემს და გზაზე არ ნაიქცევი. მერე კი შეძლებ, შიში და სიმაძრველე თავგადასავლად აქცეო, თავგადასავალი – ტექსტებად, ლექსებად თუ ნოველებად, ამბებად იმის შესახებ, როგორია ნასვლა „ერთი გზის ბილეთით“ და როგორია „მოლოდინი“, „ორპირობა“ და „მორჩილება“, როგორია „უსასრულო ამბავი“... საქართველოში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, უცხო ენათა ინსტიტუტში გერმანისტიკის ფაკულტეტზე, ოსუ ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტზე და თბილისის გოეთეს ინსტიტუტში. 1998 წლიდან მუშაობს სხვადასხვა გამოცემაში ჟურნალისტად.

როგორი იყო გზა, დანიშნულების ადგილი, როგორი იყო თვითონ?.

„გერმანიაში სტუდენტობა ჩემი ქართული დოქტორანტურის გავრძელებაა, აი, იმ „შიშის“, ზრიყვად რომ არ მოკვდე, შერცხეწილი, სამყაროს უნახავი... ამას ახლაც, ანმეომოს ვამბობ, თუცა არ ვიცი, ადვილ თუ არა დისერტაციას. დღეს ამის აზრს ვეღარ ვხედავ და მიჩვენებ, დროს მივივად და საკითხის მოგვარება. დაკვირვებელი ვარ, დრო ბევრ რამეს აგვარებს, მენ უნდა იარო, მინ იარო და აკეთო, ეძებო. ნამოსვლა რომ დაეიჩმე, სადღაც ამოვიკითხე გოეთეს ნათქვამი: გადით გზაზე და დაინახებო, მთელი სამყარო დაიძვრება თქვენ დასახმარებლადო. ამან გამამხსენია, თუცა დღეს ვამბობ: რომ მცოდნოდა, რა სირთულეები მელოდა, სახლიდან ფეხს არ გამოეგდამოდი-მეთოი.“

გერმანულ ენაზე სწავლა, როცა ეს ენა არ იცი, მიმოტარების მოთვნიერებას ჰვადდა და მოვითვნიერე-მეთოი, დღესაც ვერ ვიტყვი, ვერ ისევე მინოსის ლაბირინთში დაგვბრვირ და აღრიალებული მიმოტარებ ფეხდაფეხ მომდევ. არადაუნას არ შევხვედრივარო, არც ძაფი მოუცა ჩემთვის, მაგრამ გერმანიაში ჩემი ჩამოსვლა, ეს უკვე ნიშანი იყო, თუკი ნიშნების

გვერია. რომ იცოდე, რა დროში გამზადდა საბუთები, რამდენი წერილობანი იყო გასაკეთებელი და რამდენი ადამიანი ჩაება ამ წერილობანების მოგვარებაში, რამდენმა გამოქვეყნდა წერილი, სულ უცნობებმაც კი. ვის სად მიჰქონდა და მოჰქონდა ჩემს საბუთები, ღმერთო, მერე იმ ყველა ადამიანის მრცხენოდა, სწავლა რომ დაეჩვენე! და შუა გზაში თუ არ მივატოვე, სწორედ ამ სირცხვილის გამო.

როგორი ვიყავი მაშინ? როგორი და ახალგაზრდა – თავქარიანი და აბურღული. ძალიან დიდი გმირობაა საჭირო, სიმაზრულე რომ აღიარო, არა? ჩემს ცხოვრებაში ყველაფერი მართლა 20 წლის დაგვიანებით ხდება. ოცი წლის წინ უნდა შემეცნო, შესწავლა და დამეგობებინა სამყარო ჩემში. რაღაც ასაკი გამოვტოვე. გარდამაავალი – ჩამოვედი და ერთ ნელში დავებრდი. რამდენიმე თვეში ჩემი სათვალის ნომერი 2 ერთ-თეულთ გაიზარდა, მოვიმატე ნონაში და დამეწყო თმის ცვენა, დამეკარგა ძილი, გავხედე დეპრესიული, ნერვული. მაქვს პანიკა ათას რამეზე. მაგრამ ეს ყველაფერი რა კარგი მასალა მწერლისთვის, არა? როგორც მათიასი იტყვოდა, ლალატი რომ არ იყო, ლიტერატურაზე არ იარსებებდა. ჰოდა, დავეცი და დავწერე პირველი მთაბეჭდილებები ერთ ნივანად და „რაინი-სპირა ამბები“ დავარტე. და კიდევ რამდენი მაქვს დასაწერი, ლექსებს არ ვამბობ, პროზად, ამბებად.

„ერთი გზის ბილეთით ნავედი / ამბობის, ხმაურის, ქედლის გარეშე, არც წყარო ნამიბილწავს, არც ხიდი დამიწეავს, / უსიტველი ნავედი, / ისევე უბრალოდ, როგორც ნივანდანი მითიან გმირები / ქვე ანდა ზე სკუნთში / და მუდამ იცანს, ეს მათი ხედვრია და კითხვებს არ სვამენ...“ – „I. მენაშული – ერთი გზის ბილეთით“.

### თავი IV ბანახლავის რეჟიმი

ბელა ამბობს, რომ ის, ვისაც საბჭოთა კავშირში უცხოვრია, ბოლომდე საბჭოთა ადამიანად რჩება. თუცა მერე შეგიძლია გააპროტესტო და შეცვალო ყველაფერი ის, რასაც ვაზრდილი თვალსაჩინო, მეტალიტეტი, ან ახალი გარემო მოგთხოვს. ცვლიდა და იცვლებოდა თვითონაც. ანერვედა, ამეწებდა, აპროტესტებდა და ეს ყოველთვის ცუდი გამოცდილება არ იყო. ფიქრობს, რომ ყველა ადამიანი, როცა იზრდება, რალეასისთვის ბრძოლას იწყებს, თავისუფლებაში გაზრდილიც და დიქტატურის დროსაც, მაგრამ განსხვავება მათ შორის ისაა, რას აპროტესტებს, რაში დებს ძალებს, ენერჯის, რისკენ მიდის.

რა დაანარია, როგორ ამუწებს, რა გამოადგა? „წარმოიდგინე, რამდენი რამის შეცვლა დასჭირდა ჩემს თაობას, რამდენი აძლიეთო, რამდენჯერ გადაწყობა-გადმოწყობა, მხოლოდ იმის გასაგებად. ვინ ვართ, სად ვდგავართ, საიდან უნდა დაეიწყო, საით ნაეიღეთ, რა გვინდა პირდაპირ ჩვენ და რა გვევლინება. ეს ხომ სულ სხვადასხვა შეკითხვაა, არა? ჯერ მარტო ის ემბრა, ერთ დღესაც მთელი რიგი პროფესიები რომ უსარგებლო გახდა, მთელ რიგ საკითხებში რომ არიფები, ანაპროფესიონალები აღმოჩნდნენ. 90-იანელთა





საბინე შიდნერთან ერთად

თაობას, ფაქტობრივად, მოუწია, საკუთარი თავი დაენგრია და ახალი აემუნებინა. ჩვენ ხომ სულ სხვა მოთხოვნებით გვიზარდეთ, სხვა უნარებ-თვისებებით, ბიჭბიც და გოგონაც, ეს კიდევ ცალკე თემაა.

სკოლა იყო და კონსერვის მოხუფულ ქილაში ჯდობას ჰგავდა, უნივერსიტეტი იყო და არ ვიცო, რა მიიღეს სხეებმა, მაგრამ მე იმ 90-იანებში იქ არც ვახათლება მიმიღია, არც პრაფესია. სტუდენტობისას რაც ნამდვილად ვიხსენებ, ეს იყო არსებულის გამაროტესტება. და თუ სტუდენტობისას შეძენილი უნარების სიას ჩამოვწერო, ეს გამოცდილება დადებით გრაფაში მოხვდება. იცო, ჩვენ ხშირად სწორედ ამ გამოცდილებას ვთვლით უარყოფითად, მიგვაჩინია, რომ ისეთ ქვეყანაში უნდა გვეცხოვრა, სადაც არც სამართლებრივ აქტივობა დაგჭირდებოდა, არც რეკლამები, არც გაფიცვები და მიშმილობები, მაგრამ რეალურად რომ ისაა, სად დავიბადეთ და როგორ უნდა გვკურნა ჩვენი თავი გვეჩინას? ყველა თაობას ხომ თავისი ტვირთი და ვალი აქვს. ჩვენი თაობის ეს აღმოჩნდა.

ომზე ვერ ვილაპარაკებ, როცა ჩემი მეგობარი ფურნალი-ისტები აფხაზეთში მიღობდნენ მასალების ჩამოსატანად, მე პატარა შვილი მყავდა და ოჯახური ამბებით ისე ვიყავი დასტრეხილი, გააზრებაც ვერ მივასწარი, უკვე ნაგებული იყო ის ომი. ეს შვილიც, თბილისის სამოქალაქო ომის დროს გაჩნდა (თუ გინდა, პუტჩი დაეარქვათ, რა შნიშვნელობა აქვს), შიშის და სიცივის გამო რვათვიანი გავაჩინე და ნარმოდგენა არ ქმლანდა, როგორ უნდა გამეზარდა იმ ჩაბნელებულ და გაყინულ ქალაქში მე თეთრომ ზალდა ეს ორჯილოგრამიანი არსება. მაგრამ ყველა ის საკითხი, რასაც ჩვენ, მაშინდელი სტუდენტები, ქუჩაში გამოვყავდით, ჩვენი გასამართლებლებს და გასაფიცო იყო, ამას ახლაც ასე ვუცხურებ.

ჯერაც საბჭოთა უნივერსიტეტს რა უნდა მოეცა ისეთი, რაც მე არასაბჭოთა ქვეყანაში გამოიადგებოდა? ახლა რასაც

ვაკვირდები, ეს იყო უპირობო ავტორიტეტი და მორჩილება ლექტორების მიმართ. **სტუდენტული** შემომდგარი იყო კათოდრაზე და **სტუდენტული** ში იმას ცდილობდა, შთაბეჭდილება მოეხდინა სტუდენტებზე. რატომღაც თვლიდნენ, რომ ყველა ის საგანი, რასაც გავდიოდით, კი არ უნდა ესახლებინათ, დედის მუცლიდან უნდა გვეცოდნოდა 17-18 წლის დღეებში. ჩვენს დროს ჩაბნელება და გაიყინა უნივერსიტეტი, სიცივის თავი დაეანებოთ, საღამოს ფაკულტეტზე რომ იარაღიანები შეიქრნენ და სტუდენტებს ტყავის ქურთუკები და პალტოები გაიადეს, ის დრო შეიძლება ედემტურ სტუდენტურ სწავლად ჩაითვალოს? ანდა, ქუჩებში რომ იარაღიანები ფეხსაცმელებს გვხდიდნენ და ჩანთებს გვართმევდნენ?

მე ვამბობ, რომ ძალიან ბევრი დრო დაგვარგვ. ეს ჩემი პირადი აღქმაა. ვიდრე ვინს მოვეგე, ვიდრე სულაც ფურნალისტობა დაეწყო, ვიდრე განვლილის თუ ანაშენის ანალიზი შევქედი, ბევრი წელი გავიდა. ვიცი, ამ განდევნა-გამდნეობის რეჟიმით ცხოვრება-საც თავისი დადებითი და უარყოფითი მხარე აქვს, მაგრამ სულ მოჭიმული თოკით რომ იარ, ეს ცალკე გაზიანება. ანა მარგველაშვილი ამბობდა ამ რამდენიმე დღის წინ, ალექსანდრის მეშინობა, ჩვენი თაობას გონებაში ისეთი დარტყმები მიიღო და კიდევ ისეთს იღებს, ერთხელაც ჩაქრებაო. ამ დროს მე ვუბნებოდი, ინგლისურის კურსს ვაკეთებ-მეთქი და ისიც თავს მიუნებდა, კი, კი, ეგ მეც ვასაკეთებელი მაქვსო. ჰოდა, ჩვენი თაობის წინაშე უნდა: მუდმივი ამდევითი რეჟიმში ცხოვრება“.

*„გზაც გაიშალა, / მე შენი ზღაპრის პერსონაჟი ვარ, / ახალი გზების უძველესი, მცირე ნაწილი... / ნითვის კაბა მაცვია, / და მხარზე ნითვისი პეპულო მახს / საკულუცოდ, სამრევნისად, საარაგისოდ... / მივდექა ვაშლს და სულ უფრო შორს მივყვები წილასრს, / წყაროს თებნას და წყაროსპირას მოდარავე ვცდელმშაპის კიბლს რომ მამარებოს...“ - ელვა*

### თაზი V ცნობრება შრახეზში

შარშან რომანის წერა დაიწყო, გერმანიაში მცხოვრებ სამ ქართველ ქალზე უნდა ვთქვათ. მერე იტალიაში იმოგზაურა და კომპიუტერი მოიპარეს, ჩველადერი მას გაჰყვა, სამი ქალის ამბავიც, ვაშლი და უკვე იტალიაში უნდა შემუშავა, მერე ჩემს ცხოვრებაში სევდიანი ამ-

19. INTERNATIONALES  
LITERATURFESTIVAL  
REMEN



ბრემენის საერთაშორისო პოეტურ ფესტივალზე

ბენი მოხდა და იმ სამი ქალის ისტორიები ველარც ალვადგინე, ველარც გაგაგრძელო. მიუზერუნდუ-ბი, ალბაი, ვე ისეთი ქალები არიან, რას მომასვენებენ! მოუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ნაზარზე პროზა უფრო „დაფასებულია“ ვიდრე ლირიკა, ფიქრობს, რომ პოეზიას თავისი ფასი არ დაუკარგავს და არც დაკარგავს. უზარალოდ, ძნელია პოეზიით ცხოვრება, კრებულების გაყიდვით გერმანიაშიც ვერაფერს ცხოვრობს, ვერც პროზით, მაინცდამაინც, თუკი ბესტსელერი არ არისო. ყველა მწერალი სადაც მუშაობს, ანდა სტიპენდიიდან სტიპენდიამდე გააქვს როგორც თაფლი. და სათქმელსაც გააჩნია, ის, რასაც „რანინსპირა ამბები“ წერდა, პროზის გარეშე ვერ იტყვოდა. საერთოდ, წერა მისთვის თურმაც არ არის, უფრო ჩვევაა, აზრების და ემოციების გაზიარების მძაფრი მოთხოვნაა.

**რა უნდოდა, როგორ დანიყო, რა დაიფურა?..**

„ამ ამბავს ძალიან ხშირად ვეყვი ბოლო დროს: როგორ მიგვაჩვია მამამ წერას, რამე ახალ წიგნს რომ ნაწიკითხავდი, ანდა სადმე ანაღვავებდა (ბიწრად დეყავადით ატეო-იქით), მერე გვთხოვდა, შთაბეჭდილება დაგვეწერა. ადრეულ ასაკში ეს ისეთი სისასტეე იყო, სულ ტირილ-ზუსუნით ვწერდი მე და ჩემი და (ტირილით მე ვტიროდი, ნანა ზუსუნებდა). იმ დროს დაწერილი რაღაცები დიდხანს ჰქონდა ნანას შენახული, მაგალითად, ჩემი შთაბეჭდილება „დედა, მამა, რვა ბავშვი და ხა-ბარგო მანქანა“ რომ ნაწიკითხე, ანდა „ლურს-მანა“ და გეტოები. ერთხელ, „დედოფალი მარ-გოს“ ნაკითხვის შემდეგ, ავდექი და მთელი ის

ჩემი განცდები გავლესე. სხვანაირად იმას რა მომპყროვლდა, სამინელბა ტრიალებს იმ რომანში! მერე მახსოვს, ფილმ „ბა-ში-აშუკი“ ენახეთ, ისიც გავლესე. რასაკვირველია, დედასავე არცერთი არ ვარგოდა, მაგრამ თავი კი დამაინტერესებდა. ბაში ბაში გავიზარდე. თუმცა უარესი მოხდა, ანა ფრანკის დღე-ღერი ჩავივივარდა ხელში. მე-ნ კლასში ვიყავი, ავიღე სქელკლანი საერთო რვეული, ჩავაქარი იქ ჩემი ფოტოსურათი (წიგნში ხომ ანა ფრანკის ფოტოა) და დაეინყე წერა.

მეორე შემთხვევითი უკვე სტუდენტობისას წამოიწვია, გილგამეშიანი რომ ნაწიკითხე, იქიდან ავიტაცე: „გილგამეშ ფრეც, ქვაზე ამოკვეთე ყოველივე განცდილი!“ ხომ მაგარი დედახა? პათეტკია, მაგრამ უნდაც ხომ უნდა შემოვიბაძოს, ხომ არ შეიძლება სულ საპროსპროში გარწმუნებდნენ, რომ შლილი ხარ და ცოდვილი, რომ მიწველი მოხვედი და მიწველი უნდა ნახვიდე და არაფერი შენ არ გეუფუნის ამ მისცემქმთ-ში! არადა, სიტყვა რომ ღმერთთა მეტყველისთვის, ამის თუ არ გჯერა, ვერც დაწერ და ვერც რამეს შექმნი, ა-პ-პა, არსებობა მოახერხო. ბიელი ჩემი ცხოვრება ლიტერატურული ფორმა-ბით არის ალბეტქლი, თუ დადებითად და თუ უარყოფითად. არ დაიფურებ, ამირანის ზღაპარმაც კი განსაზღვრა ჩემი ცხოვრება. გახსოვს, ყამარი რომ ქმარება ამირანს ქაჯთა ბატონის დამარცხებამი და მამა რომ დაუბძებეს: „უფურე, კამბა ქალასა, ქმარი არჩია მამასა. ქმარი ხეს ასხამს ფოთლად, მამას ვინ მისცემს სანყალსა?“ ურითობის განწყევტის რომ არასდროს შემეძინებია, ამის მიზეზი ვე იყო: „ქმარი ხეს ასხამს ფოთლად“. შენ იცინე და, კი გამომვიდა ფემინისტური მტ-რეუვა და მსტერევა.

მამაჩემს უნდოდა, რომ ჟურნალისტი გამოევსოლეყავი, მე ათასი რამე მინდოდა, ოდონდ ჟურნალისტიკა არა, რატომ ვა-პროტესტებდი, არ ვიცი, მგონი, მხოლოდ იმიტომ, რომ ეს მშობლების სურველი იყო. ბოლოს ხომ მაინც ჟურნალისტიკაში ამოვიყავი თავი, არა? ქეთე ბელის ორნამა იყო. ამ პროფესიაში ნალო ჩემი ყველა ემოცია, ნერვები, დასაწერი ამბებიც და სიტყვებიც (სიტყვის ჩარმი ვარ-მეთუ, ადრე ვამბობდი). როგორ მქალდა, ამის ასხანც კი შეუძლებელია, რესპონდენტთან რომ შესაბამისებლად დეყავადი, გულში ვლოკვლობდი, უარი მითხრას-მეთუ, ანდა უკვე ინტერვიუზე მიმავალი ვამბობდი, ნეტავ საბოლო და ამომცხედი! და ასეთი თანწყობები შევიძინე, რამაც უკვე აქ, გერმანიაში გადამარჩინა: ახალი ინფორმაცია უმოკლეს დროში გაიანზო, გადაარჩიო, დალაგო, ფორმას მისცე... ნარიინდგინე, ახალგაზროსება რამხელა ინფორმაცია მოიოდა, რა ფაზი და ზათუი იყო ჩემს გონებასა და ფსიქიკა-ში. ეს ყველაფერი დღის ბოლოს უწებურად იღებდა ჩანანერის ფორმას. რასაკვირველია, ყველა მომხდარი ამბიდან ნოველა ვერ გამოვიღოდა, არც ყველა შემთხვევის განზოგადება იქნებოდა შესაძლებელი. იქ აღწერილი ამბებიც სწორსაზოვნად დოკუმენტური ხომ არ არის, ნაწერება. ამდენ რამეს ლექსად როგორ ვიტყვიდი, ისედაც, რაც ნაწიდი, ლექსებსა აქაურ ამბებზე მეტად უკან დარჩენილ ამბებსა და ადამიანებზე ვწერ. საკუთარ ქვეყანასთან დისტანციამ საერთოდ შემიცვალა დამოკიდებულება ნარსულთან, ხედავც და აღქმაც შეიცვალა, ეს



ყოველთვის ასე ხდება. მე აქ ახალი ცხოვრება კი არ დაიწყე, მანდ რაც მოხდა, ის ჩამოვიტანე და გავამძაფრე”.

„ეს შორს მიწაველი მზეა, / ჩემი მარად აღმოსავლური ქალაქის თავზე / წარის ციხეს რომ გადმოხედავს, / ვიდრე მთის ნეკრებს გაუფრთხილეს და მე ამ ფერს ვაგამანეით მოვირგებ ტანზე / რადგან ასე უფრო ძველი ვიქნები ჩასაყლაკად / (ილაღად ვერ დავიღვებები), / უფრო რთული – დასამტკრევეად / (ძალისხმევადა იქნებ არც ვლირდე), / უფრო სახაიათაბლო – გასასრესად / (ურტყამ, ურტყამ და ფეხებს მაინც ასავსავებს)...“ – „მენაწული“.

## თავი VI დაცულ სამყაროში

რით განსხვავდება ევროპული ლიტერატურული პროცესი, რა განასხვავებს ევროპულ ავტორებს – როგორც ბელა ჩუკურიშვილი ამბობს, ლიტერატურის განვითარება, ავტორების ხელშეწყობა დიდწილად ქვეყნის ეკონომიკასა და პრიორიტეტებზე დამოკიდებული და საქართველოსგან განსხვავებით, დიდ, ძლიერ ქვეყანას მეტ საშუალება აქვს, ლიტერატურაზე იზრუნოს, გახსნას ლიტერატურული სახლები, დაანესოს სტიპენდიები, დაფინანსოს კონკურსები და პრემიები. და კიდევ დაცულობის განცდა, რაც ავტორს დიდ თავისუფლებასაც აძლევს, ექსპერიმენტებისა და ახლის ძიების მეტ შესაძლებლობას.

როგორ მონაწილეობს, ვინ იწვევს, როგორ თანამშრომლობს?..

„ეს ყველაფერი ხშირად კულტურის სამინისტროდან კი არ ფინანსდება, არამედ ადგილობრივი რეგიონის, ქალაქის, რომელიც ორგანიზაციის თუ კერძო ინიციატივის მხრიდან. საქართველოში ყველაფერზე კულტურის და სამინისტროს შევხებით, იმიტომ, რომ თავკომბალასავით ყველაფერი ცენტრშია... განსხვავება იცი, უფრო რა ქმნის? დაცულობის გრძნობა. იმის გააზრება, რომ ქვეყანა ზრუნავს შენზე. თანამედროვე გერმანულ ავტორებს ასეთი ქვეყანა მოშობლებს აუშუქებს, ახდა თვითონ იყვნენ ამ შენების პროცესში ჩართულები. ჩვენ არც გვერგო და ვერც თვითონ ავამენით ვერაფერი, ჩვენ ექსტრემალური ქვეყანა ვართ, საბჭოთა წარსულის მესხიერებით და ამ ყველაფრის მასობრივად გააზრებაზე ვერცერთმა ინსტიტუტმა ვერ იმუშავა, ვერ დაეარკვით ვერაფერს საკუთარი სახელი, ისევე მოთებას და ლეგენდებში ჩაერჩით.“

იცი, კიდევ რა მოუხდება თვალში გერმანიამ? არსებობს პატარა-პატარა გავრთიანებები, რომელიმე პატარა ქალაქში ანდა სოფელში და გაიხედავ და ეს პანანკინტელა გავრთიანება იმხელა ფესტივალს წამოიკიდებს ზურგზე. ისეთი სიყვარულით, მონდომებით, გონივრული გათვლითა და ხელისხმების და ლიტერატურული სახლებით, თუკი სადმე, რომელიმე მხატვარს ან მწერალს უხედავია, ყველაფერ რაღაც მხედავი სახლი დგას და მთელი წლის განმავლობაში აწყობენ მწერლებთან შეხვედრებს, მუსიკალურ საღამოებს თუ გამოვენებს. თან ჰორნორასაც გიხდები, იქ რომ ჩაზევდე. ძალიან ბევრმა ასეთმა ხელისხმების სახლმა მიმინვია უკვე და მომავალი წლისთვის მინერვეები უკვე დაიწყეს.

მე ხშირად დავდივარ სხვების ლიტერატურულ საღამოებზე კიოლნშიც, ბერლინშიც, ბერლინთან ახლოსაც, ჯავაუჯუჯ სადგომებშიც შიკ ემონანლიობ. ამ 6 წლის განმავლობაში ძალიან ბევრ ავტორს შევხედი, პირადად გაეცანი, მერე ზოგის ლექსების თარგმანც დაივიწყე. ძალიან მრავალფეროვანია და როგორც ხდება ხოლმე, ბევრი კარგით და კიდევ უფრო მეტი ცუდით. საინტერესოა თანამედროვე გერმანული ლექსის თემატკასა და სტრუქტურაზე დაკვირვება. უამრავი მიმართულებაა, უამრავი ექსპერიმენტი, სულ ახალ და ახალ გამოთავის საშუალებებს და მედიებს ეძებენ. სხვათა შორის, კონსერვატორიკ ბუერაი, ყველას ყველაფერი კი არ მოსწონს, ახდა ყველას ყველაფერი კი არ ესმის, არის ერთი გამსჯე და მოქება-მოთქმა, მაგრამ ესეც ხომ ძალიან ბუნებრივია? ღმერთმა სუ ქნას, პირიქით იყოს, ყველას ყველაფერი ესმოდეს და ჯარისკაცებივით ყველა ერთ მწკრივში იდგეს.

იცი, კიდევ რა არის თვალმისაცემი? როგორ თანამშრომლობენ ერთმანეთთან ხელისხმების გაღწერები და მწერლები, ასევე კერძო სამატივარი ატვლიები, ფოტოსტუდიები და მწერლები. უამრავი პოეზიის საღამო და ლიტერატურული კითხვა ნებობა გამოიფენებზე, ატვლიები და ფოტოსტუდიები თვეში ერთხელ ორგანიზებას უშეგებენ პოეზიის თუ მუსიკალურ საღამოებს. ასეთი ურთიერთთანამშრომლობა ისეთ საინტერესო ტანდემებს უნის მერე, როგორც არის ალბომები და ლიტერატურული ჟურნალები. მეც კი არაერთ ასეთ ალბომსა და ჟურნალში მოხვდი უკვე. მაგალითად, ფურნალთ Common Sense, ანდა Body & Soul, ანდა ხელისხმების სახლ Desiree-ს კატალოგ „გაზმი“ (Unterwegs).

ფურნალში Body & Soul ჩემს ლექსებზე ილუსტრაციები მხატვარმა ცოკე ფოსკულმა შექმნა. გამოცემულ პენდრიკ ლირსს კი ეს ილუსტრაციები იძენდა მოენონა, გადაწყვიტა, ლექსები და ილუსტრაციები ცალკე კრებულად გამოეცა, თანაც უზრალო ილუსტრაციები კი არა, გრაფიურები ჩადეს. ასე შექმნა ე.წ. არტბუქი Picknick am Berg. და ხდება უკუპროცესიც: ხელისხმების სახლ Desiree-ს მიერ გამოცემულ წარმოდგენილ ნამუშევრებზე მეც შევქმნი ლექსები. და ეს ძალიან ბუნებრივად მოხდა, იმდენად ინტენსიური იყო შიავაჭდილება. ეს ლექსები ერთ ციკლად შევქმნე მომავალი ნიგნოსი, მხატვრებისადმი მიძღვნი.

თანამშრომლობის კიდევ ერთი მაგალითია პოეტური ტექსტის მუსიკალური ინტერპრეტა-



ცია. კომპოზიტორმა და მომღერალმა ნესტან ბაგრატიონ-დავითაშვილმა, რომელიც ბერ-ლიონში ცხოვრობს, ჩემს ლექსზე „I don't believe“ სასიმღერო კომპოზიცია შექმნა. ნესტანთან ერთად ორჯერ გამოვედი სხვადასხვა სცენაზე და ვერასოდეს ვიფიქრებდი, თუკი შეიძლებოდა მუსიკოსმა და ჩემს შორის ამგვარი ტან-დემი შენდგარიყო.

„ეს ის შაჰრიან ჩვენს პაპისპაპებს სიზმარშიც რომ ამ აძინებდა. / პაპებს – გზებზე ადევნიებდა, / მამებს – თვალწინ უფლოვედ და და ჩინს აცლიდა, / და როგორც იქნა, ჩვენ გვერგო და ჩასასუნთქად კი არა მარტო, / ან ხელების საუნებად და ზუსტების გასაშვებად, / ჩვენ უკვე ამ შაჰრიანს ნაწილი ვართ, / წინაპრების ახდენილი ოცნება ვართ, / რეპრეზენტატიული თავსწინაობა ბანაკები ვართ, / ვადასაბუთო საზღვრები ვართ, / თავისუფალი პაპობრტები ვართ...“ – „რემონტაჟი საბაჟოდან“.

### თავი VII ძალიანის ბრძოლაში

როცა ქალებზე ვეკითხები, მწერს, რომ ამ თემას აქტუალობა არასოდეს დაუკარგავს დაცე ვერობაში, ერთ განმანათი და ოდესღაც არსებული ქალთა უღელტეხილისათვის ბრძოლა დღემდე გრძელდება. მისალწევი, მოსაპოვებელი და ბრძოლის მიზეზი კვლავ ბევრია, თუმცა საქართველოსგან განსხვავებით იქ გაცილებით მაღალია სოლიდარობა და ერთმანეთის მხარდევნა. როგორც ბელა ამბოზს, მიუნხენში ყოველწლიურად იმართება პოეტ ქალთა ინტერნაციონალური ფესტივალი. ასეთი ფესტივალი ბევრი არ არის, მაგრამ არსებობს სხვადასხვა გაერთიანება და პროექტი, რომლებიც სხვადასხვა თაობისა და ქვეყნის ქალ ავტორებს ერთობლივ საქმიანობას სთავაზობენ. და ეს ხდება იმიტომ, რომ საზოგადოება დღემდე ყოფს ლიტერატურას „წვეულებრივ“ და „ქალთა“ ლიტერატურად. როცა ქალ მწერალს ისეთივე შრომა უწევს, როგორც კაცს, იმისათვის რომ თავი იჩინოს და იმის ენერჯიაც დარჩეს, რომ რაღაც შექმნას, ეს „რალაც“ ავტორის სქესის მიხედვით არ უნდა ფასდებოდეს.

ვინ იბრძვის, როგორ იქმნება, ვინ გამოხატავს?..

„თუნდაც ბოლო წლების MeToo-დებატებმა ხომ ცხადი გახადა, რამხელა ფარული პრობლემებია საზოგადოებაში. ეერ დაიჯერებ, როგორი მოქმედებს იქ ქალები ერთმანეთის

მხარდასაჭერად, თუ საზოგადოებრივ დონეზე და თუ შემოქმედებით. და რომ უფიქრდები, მიზეზი რა არის? ანტიფემინის, რომ მათ ყველა ის უფლება (მუშაობის, სასწრაფო, სწავლის, არჩევნებში მონაწილეობის და ა.შ.), რაც ჩვენ დღეს ბუნებრივად ბოძებული გვგონია, ბრძოლით მოიპოვეს, და ამ ბრძოლაში ერთმანეთი სხვაანაირად გაიხურეს, დადასესა.

მიუნხენში პოეტ ქალთა ინტერნაციონალური ფესტივალი „შამროკი“ (Schamrock) 2012 წლიდან იმართება, რომელიც ლიტერატურული საღამოების გარდა, მთელი წლის მანძილზე უძველეს ლინისიძებს აერთიანებს, ფილმებით, ვიდეოპროექტებით, დასკუთხა-ნიალოგებით. ან ფესტივალის დაარსების მიზეზი გახდა ის ფაქტი, რომ ქალი ავტორები ძალიან მცირედ იყვნენ წარმოდგენილი საერთაშორისო ფესტივალზე, რომ დღემდე იყრდნობა ლიტერატურა „ჩვეულებრივ“ და „ქალთა“ ლიტერატურად, და სხვათა შორის, დღეს ქალ ავტორებს მამაკაც კოლეგებზე მეტად, საზოგადოებასთან აქვთ პრობლემები. ამ ფესტივალზე გასულ წელს მე და ეკა ქვეანივილმა მივიღო მონაწილეობა. იცო, რა იყო თვალწინსაყვი და შთამბეჭდავი? გულწრფელობა. რომ ქალები გულახდილად საუბრობდნენ სხვადასხვა საკითხზე და კი არ ექსპლუცობდნენ, არამედ, საკუთარ პოზიციას გამოხატავდნენ.

ლიტერატურულმა პორტალმა Fixpoetry, რომელიც ყოველდღიურად განახლებადი ინტერნეტრანალია და მასში გერმანულენოვანი და გერმანულად თარგმნილი ასეულობით პოეტთა გავრთიანებული, შარშან წამოიწყო პროექტი: „ქალთა ხელით“ (Von Frauenhand) და ერთი თვის განმავლობაში ყოველდღე აქვეყნებდა მსოფლიო ქალთა შემოქმედებას. ქალებს შეეძლოთ საკუთარი პოეზია შერეული მედიით წარმოეხატათ. მე ჩემი ლექსის „მანანის ფაფა“ ქართულ ხელნაწერს ნათელა გრიგალაშვილის ვოტო დადურით და კოლფა გაეკეთა. სხვათა შორის, ეს კოლფა, საუკეთესო ხუთეულიში მოხვდა.

თუმცა, მეორე მხრივ, არსებობს ქალთა ექსტრემული, ე.წ. გენდერული მოძრაობა, რომლებიც მაგალითად, მოითხოვენ, რომ მთელ რიგ სიტყვებში ერთდროულად გამოისახოს ორივე სქესი, მამრობითიც და მდედრობითიც. გერმანულ, მოგეხსენებათ, სამ გრამატიკულ სქესს ასხვავებს (ქართული ენა რა განონასწორებულია ამ საკითხში!) ამ ორი წლის წინ უნივერსიტეტში უკვე ვეცისრეს, რომ წერის დროს გააგვეთვალისწინებინა ეს მომენტი.

შარშან გენდერულმა მოძრაობამ მიაღწია იმას, რომ ბერლინის ერთ-ერთი სასწავლებლის კედლიდან იოგენ გარმინგერის ულამაზეს ლექსს „Avenidas“ გადავკითხე, როგორც ქალებისთვის შურაჯცემყოფელი ტექსტი. (იი, ეს ტექსტა: „ხეივანი / ხეივანი და ვვავილები / ვვავილები / ვვავილები და ქალები / ხეივანი ხეივანი და ქალები / ხეივანი და ვვავილები და ქალები და მათი მეტრფე.“) ლიტერატურათმცოდნეებმა ვერფერი გააწყვეს, მათი არგუმენტები პოეზიაზე საკმარისი არ აღმოჩნდა.

„შენ შემხვდავ და იტყვი: / გონიერ ქალს მენამული ტანსაცმელი აღარ შეუძვირის, / გოუმრლოებს იმიჯს და სტატუსს, / რად ექვს ჯავშანს? იყავი ღია, როგორც მდინარე / და მიმღები – როგორც სარეკავილები, / გაახილვ თვალები

ფართოდ, / შემოუღვი ახალი ფერი, / მოიშორე წიხაც და დრო-  
საც, / გაბაღე მკლავი, / შემოიცივი ყრელი სამოსი, / გაზაფხუ-  
ლობით გაგახარებთ ყველა ყვავილი, / და შეგიღებავს ტურნებს  
კიდევ ბევრი სასმელი, / რად ხარ ანუ შეკუმშული ლოკოკინის  
ნიფარისათვის? / გაშალე ფეხები, / თამამად, ფართოდ, მწყე-  
ბრად, / გადააბიჯე... - "შენამულა".

## თავი VIII გაღარგნა ტექსტებში

ბოლო ექვს წელიწადში ოთხი კრებული გამოსცა – ორი გერმანულად და ორი ქართულად. კიდევ ერთი, ლექსების კრებუ-  
ლი აქვს მზად ქართულ ენაზე გამოსაცემად და გაისად უკვე ამ ქართული ვერსიის გერმანულ თარგმანზე ინტებს მუშაობას  
კლავი კველიშვილთან ერთად, რომელიც აწარუდის გაკეთებ-  
ში ეხმარება. 2013 წელს, როცა გერმანიაში ჩავდი, ლექსორე-  
ბი ბოლდაუს მიხედვით, საქართველოს შესახებ რომ არაფერი  
იცოდნენო. დიდი ცვლილება მის თვალში მოხდა: საქართველო  
– ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე, დღეს საქართველოს ხსენე-  
ბაზე აღარ ეუბნებიან: აჰ, სტალინი, ქართველი იყო, არა? სტალი-  
ნი მათ ცნობიერებაში ფრანკფურტის წიგნის ბაზრობამ ჩაანაცვ-  
ლა. ამ საოცარი ცვლილების მოწმე თავად ვარო, ამჟამის პულა  
ჩეკურიშვილი.

რას თარგმნის, როგორ გაიცენს, რას გამოსცემს?..

„ჟურნალისტობა უცნაურად გაჩვენებს შენი სახელის თუ  
წინერის ნაბეჭდი სახით დანახვას და რამე განსაკუთრებული  
აღარ ხდება, სადმე ჟურნალში ლექსს რომ გამოაქვეყნებ, ანდა  
ამ შესწავლას ნიგანად რომ აკინძავ, რეალურად, არც გერ-  
მანულ ანთოლოგიაში ჩემი ლექსების დანახვა გამკვირვებია და  
გამსარებაია, ეს ხომ ჩემს გერმანიაში ყოფნას დაემთხვა და ის-  
ეთი სტრუქტურა მქონდა ამ ახალ ცხოვრების გამო, ვერც ვავიან-  
ურ, რა ხდებოდა. 2015 წელს ქართული პოეზიის ორი კრებული  
გამოვიდა გერმანულ ენაზე, ერთი, ანთოლოგიის პრინციპით  
დალაგებული პოპ ფერლაგმა გამოსცა (Pop Verlag), „Ich aber  
will dem Kaukasus zu...“, რომელიც ხალხურ პოეზიასთან ერთად  
აერთიანებდა პოეტებს მე-11 საუკუნიდან დღემდე და მეორე  
კრებული, თანამედროვე ექვსი პოეტი, გამომცემლობა  
„კორნუსის პრესში“ (Corvins Presse Berlin) გამოვიდა. რადგან  
ეს ორივე კრებული დამოუკიდებლად მომზადდა სხვადასხვა  
დროსა და ადგილზე, ჩემი ლექსები იორიგინალზე შეიქმნა (და არა  
მხოლოდ ჩემი).

ერთ დღეს ნორბერტ შუმელტი მუხუბნება, რომ გამომცე-  
მლობა „ვუნდერპორნი“ (Verlag das Wunderhorn) ქართული  
პოეზიით დაინტერესდა, რომ ჩემი ლექსი „სიზიდეს“ ძალიან  
მოეწონათ და ნორბერტს მკითხეს რჩევა, ნორბერტმა კი თამ-  
ამად გამიჩინა რეკომენდაცია. შოდა, თუ რამე ვაქვს გერმან-  
ულად თარგმნილი, ერთად შევლინ და მომივიცი – მუხუბნება  
ნორბერტს, ვაზაფხულია, ბერლინის პოეზიის სახლში რაღაც  
ლინისტიკა იყო და იქიანდ ყველანი მივდივართ იტალიელებში  
პიეტის საქმელად. კარგმა ამბავმაც რომ შეიძლება გული ისევე  
გაგბიეთოს, როგორც ცუდმა, არა? აი, მაშინ დამემართა, რომ

გავეჩრდი და ევლები: ეგ წიგნი რომ გამოე-  
იდეს, მერე რაღა უნდა ექნა, აღზაბო დავხვე-  
თვალე და მოვეყვებ? ნორბერტი მკვიდრად მკვი-  
რდობს: კი არ უნდა მოვეყვებ, მერე უნდა შეჩე-  
რე წიგნი დანერო! სხვაჯილო პათეტიკა, არა?  
მაგრამ ავტორისთვის მაინც როგორ ბევრს  
წიწნავს ამგვარი ნაბეჭდი!

კრებული Wir, die Apfelbäume („ჩვენ, ვაშლის  
ხეები“) იმავე ზაფხულს გამოვიდა და ისე, რომ  
სიკვდილი ვერ მოვასწარი, ორ წელიწადში უკან  
მიპყვა მეორე კრებული Barfuß („ფეხმომხველი“).  
მეორე კრებულს, თან ასე მოკლე დროში, თავში  
როგორ გავიღვებდი, მაგრამ ერთი წლის თავ-  
ზე, რაღაც საღამოზე „კლავ ვერლაგის“ (Klav  
Verlag) გამომცემელმა იორგ ბეკენმა მკითხა:  
„შენი „ვაშლის ხეები“ ნაეკითხე და ჩვენთვის  
როდის დანერ ლექსებს?“ იორგ ბეკენს მაშინ  
გამოვეცხლე პუნინა ზურაბ რთველიაშვილის  
ლექსები, კოტე ჯანდიერის „გლობალიზაცია“  
და ლუკა ბაქანიძის რომანზე მუშაობდა. ძალიან  
დაბნეული წამოვედი, მათიას ეკეითებოდი,  
ამას ჩემი კრებულის გამოცემა მართლა უნდა,  
თუ ასე ხუმრობს-მეთქი. მაგრამ ვიდრე თან-  
ხელს ვეცხვიდი, ჯერ „ვუნდერპორნს“ მივწერე.  
პასუხი მოვიდა დაუყოვნებლივ, საომოვნებით  
გამოვეცხე მენს მეორე კრებულსო. ამ განზუ-  
ბულზე კი, ლაიპციგში მანფრედ მეტცხელმა და  
მე უკვე მესამეზე მოულოაბრებელი. გამოდის,  
რომ ჯერჯერობით სიკვდილი უნდა გადავი-  
ფიქრო, არა?

და ეს ყველაფერი არ იქნებოდა, ქართუ-  
ლი ლიტერატურა გერმანულ საგამომცემლო  
ფორუმში რომ არ მოხვედრილიყო, რაც ფრანკ-  
ურტის წიგნის ბაზრობაზე მასწაბილი ქვეყ-  
ნის სტატუსმა განსაზღვრა. საერთოდ, ერთი  
ავტორი მარტო ვერაფერს გაანწყობს, როცა  
საქმე ნაკლებად ცნობილი ქვეყნის კიდევ  
უფრო ნაკლებად ცნობილ ლიტერატურას ეხ-  
ება. ქართული ლიტერატურა ჯერაც აღმო-  
სარჩენია გერმანიაში და ევროპაშიც, საქორა,  
რომ მუდმივად ითარგმნებოდნენ ქართველი  
ავტორები და მათი წიგნები ბევრ ქვეყანაში  
გამოდიოდეს, საქორა ავტორები პირადად  
ესაუბრობოდნენ მკითხველს, ბევრი ლიტერა-  
ტურული საღამოა საქორა, და საელრობები და  
უტხოვითი მცხოვრებ ქართულ დისკორებთან  
კი არა, რეალურ მკითხველთან, წიგნის მალა-  
ზიებში, პატარა-პატარა ქალაქებში. ის, რაც  
ფრანკფურტის ბაზრობისთვის გაკეთდა, ერთი  
წევითა, ქართულმა მხარემ ძალიან ბევრი უნდა  
იძუშაოს კიდევ. ქართული პოეზია ძალიან სარ-  
ტერესოა და მგრანობიარე, კი პოეზია სწორად

უნდა გავიტანოთ და მივანოდოთ მკითხველს. ჩემი ნარმატივა მხოლოდ იმან განაპირობა, რომ აქ ვარ, ადვილზე ხებდები მკითხველსაც და გამომცემელსაც.

ჩემთვის მართლა ძალიან დიდი პატივი იყო ევროპული ახალგაზრდული მოეზის ანთოლოგიაში მოხვედრა (Grand Tour, Reisen durch die junge Lyrik Europas). ქართული პოეზია ამ უზარმაზარ ანთოლოგიაში მია საინფილის, შალვა ბაკურაძის, შვიად რატიანის, პაატა შამუგიას და ჩემი ლექსებით არის წარმოდგენილი. 2017 წლის გერმანული პოეზიის წლიურ კრებულში (Jahrbuch der Lyrik 2017) თარგმანების განყოფილებაში ჩემი ლექსიც შეიტანეს. ძალიან საინტერესო იყო, რომ ლექსი „სიზიფუს“ შეირჩა კიდევ ერთი კრებულში: „ანტიკური სამყაროში გატაცება – ახალი ამბები ბერძნული მითების გარშემო (Einführung in die Antike – Neue Geschichten um griechische Mythen). ხომ ანდენი მიხევეა და გამოხმარება მეტეს, მაგრამ მაინც ვაოცებას იწყებს, როცა აეთ შეთავაზებას ვიღებ. ვიჯერებ, რომ ვიღაცები ლექსებს მართლა კითხოლობენ, რომ პოეზია აინტერესებთ.

აქამდე ჩემი ორივე კრებულის პოეტურ თარგმანზე ნორბურტ ჰუმელტმა იმუშავა, მესამეზეც იქნება თუ არა თანახმა, არ ვიცი. ესეც ძალიან მისიონერულია, უცნობ ქვეყანაში უცნობ პოეტს ვინ წარგადგენს. ნორბურტი ძალიან საინტერესო ავტორია თანამედროვე გერმანულ პოეზიაში და ძალიან ნიუანსობრივი მთარგმნელი. როცა გამოცემულს „ჟამლის ხეების“ წარუსკრიბტი გაუგზავნა, პროექტის ავტორმა პანს ტილმა, თავდაც პოეტმა და მთარგმნელობითი სახელისთვის ხელმძღვანელმა ასეთი რამ მოსწერა: „ახლა დავასრულე ლექსების კითხვა და აღტაცებისგან ფეხზე

წამოვდექი, ეს რა საოცარი შრომა გასწია, და ეს რა საოცარი პოეტი აღმოგვაჩინეს!“ – არ ვაქარბებ, ნორბურტიც ასე ადვილად, ჯერ მუილი დამოკობარი, მერე დამიწყე ქვეყნივე!

მარშან თანამედროვე გერმანული პოეტების კრებულშიც კეთება გადაწყვიტე. 14 ავტორი შევარჩიე და თარგმნა დავინახე. ჯერ შეირჩევა იყო ძალიან რთული საქმე, იმდენად მრავალფეროვანია, იმდენი კულტურული კონტექსტია თანამედროვე პოეზიაში, იმდენად უცნაურია მათი ენახთან დამოკიდებულება. ბერეს ვერც კი გავეკარე, არ ვიცოდი, ქართულად როგორ შეიძლებოდა მათი გადმოტანა. არ მინდა, თარგმანი თარგმანად დარჩეს და ქართველმა მკითხველმა მარეხი აიჭროს. ეს ერთგვარი სამადლობლო უკუსტია ჩემგან, იმ ყურადღებისა და სიყვარულისთვის, რაც გერმანიაში მივიღე. ავტორები სხვადასხვა თაობიდან შევარჩიე, ყველა მათგანი სამწერლო სწივებში ცნობილი და აღიარებულია. შეეცადა, ერთგვარი სპექტრი შემიქმნა. ვნახით, რა გამოევა. ზოგიერთი მათგანი გზადაგზა კიდევ გამოკვეყნე ჩვენს ლიტერატურულ გამოცემებში“.

„შე ნავედი და ქალაქი გამოვიცვალე, / ნავედი და ქვეყანა გამოვიცვალე, / სხვა ენაზე აელაპარაკდი, / სხვა ცა მხურავს ქუთუთოებზე, / და ბგერებიც სულ სხვაგვარად ლაგაძებიან, / როცა მოვეზობი. / მეგონა, აი, გავთავისუფლდი, / აი, მდობს ვარ, / წარსულისგან საიმედოდ გადამაღული, / და შენი ხსოვნა ველარ მომწვდება, / მაგრამ სახელება, / სადაც, შემთხვევით გაგონილმა სახელმა, / ჩემი სიმწიფე მუცყვევის ნაჯახით მოხსიბა / და იმ ფიზიხს გროვად აქცია, / დღეს-ხვალ ისევ მწველ ცეცხლად რომ აბრიალდება.“ – „სახელი“.

შეღა ჩელოპოეზის როცა კითხოლობ, შეიძლება კიდევ გაგახსენდეს – „ქარი ვარ და ქარისა ვაშობო, დამსხვერვისას, ხმებისას, გზისას...“ „ორპირი ვარ – მიოვლის ხანჯალისი, ჩინური აბრეშუმივით, ვენეციური მინასავით...“ „მეორეო, სად არის ჩემი სახლი!“ „მინი სად არის ჩემი სახლი?“ – ვეკითხები ყველა ხმაძალა...“ – ამბები და თავდასავლები, შემწვარი ვაშლის სუნი რომ ასდით, სიტყვებიდან ამოვარდნილი ქუხილით და მსხვერპლი რომ გაყურებ, საყრდენს რომ გაცლიან და თან გზაზე გაყენებენ... თითქოს სკიერი გასხენი და ყველა ხსოვნა, მითი და შიში გააცოცხლე – „არ გვიწოდეს!“





ბელა  
ჩეკურაშვილი

სულთა გრაძილა

სიკვდილს ებრძვის,  
ვიმეორებთ თავდაჯერებით,  
კლინიკაში გადაცივვანეთ  
და სიკვდილს ებრძვის.  
ადრე იტყოდნენ: „სულთამობრძავია“,  
ფიქრობდნენ, რომ ეს ავადმყოფის სული ებრძვის  
შავეთს, სიბნელეს.  
მაგრამ იქნება წასასვლელად იბრძოდეს სული,  
იქნებ დარჩენა კი არადა, გაქცევა უნდა,  
საკუთარ სხეულს აუჯანყდა,  
რომელიც აქეთ, სამწუთოაქენ ებლაუჭება?  
ეს სხეულს სჯერა, რომ სამწუთო აქეთ არის, დედამისაზე,  
მეც ასე მჯერა  
და შეეყრებ სასუნთქ აპარატს,  
მამაჩემის ნამებს რომ ითვლის,  
ეცახი ექიმს, გამარკვიოს, დამაიმედოს,  
რომ ორთაბრძოლა აქეთ დარჩენით დასრულდება,  
მაგრამ ან ჩვენ და ან ექიმმა  
ვიციტ განა, რა უნდათ სულელებ?  
რა აბსოვთ,  
ან რა გადმოჰყვით იქიდან აქეთ?  
იქნებ და არც რა  
და მამაჩემიც სწორედ ახლა ცდილობს გაიგოს,  
ფიქრობს, აი, დრო მოვიდა,  
ვადაჭრას ყველა ვალდებულება,  
სიყვარულის სახელით რომ აჰკიდეს და  
ხან დედის სახეს ატარებდა, ჩანაც ნიღბების.  
აღბათ ცელიც ამისათვის ხდება საჭირო,  
რომ გადაგვისვას განვიდოდ მკლავებზე  
ამ სულიელ შვილებს,  
სასუნთქ აპარატს გამწარებით რომ ვებლაუჭებით.

გიხარია,  
რომ მატარებელი ასე ქტარია  
და ერთ დღეში  
გადივილის მინდვრებს, ტბებს, ქალაქს,  
გადაკვეთს ქვეყნებს,  
გიხარია,  
აი, მალე ჩემთან ჩამოვივალ,  
მომიყვები,  
რა თავბრუდამხვევი იყო შენი მოგზაურობა,  
რამდენია ნახვა მოასწარი,  
რომ ბედს მიენდე  
და როგორც ეს აკრძალულმა ხმებმა იციან,  
მოულოდნელი ადგილები შემოგატარეს.

გეჭქარება დაბრუნება, გინდა მიაპო,  
ხალხზე,  
ქუჩებზე,  
კაფეებზე, სასტუმროებზე,  
მაგრამ ყველა გზა ახლა მხოლოდ ხაზებად გახსოვს,  
შენს თვალში კვლავაც უცნაურად რომ იწილება,  
ზოლოს კი მხოლოდ ფერები გრჩება,  
სავარაუდოდ, ხეებს რომ ჰქონდა,  
ან იქნებ მზეზე განათებულ სახურავებს  
ქუჩისპირა მაღალ საბუღებზე,  
სადგურის ნაკითხვაც რომ ვერ მოახერხებ,  
ისე ანრაფად ჩაუქროლა მატარებელმა.



ჩემოდანს ვილაგებ,  
 20 კილო უნდა იყოს და არცერთი გრამით ზედმეტი,  
 მაშინ იქნებ, ჩექმა დაეტოვო,  
 ზამთრამდე თითქმის ორი თვეა, მერე უკვე რამეს ვიყიდი,  
 სიმინდის ფქვილს კი, მუჭა-მუჭა მივიყოლიე,  
 როგორც დედაჩემის ხელების სითბოს, როგორც მისი თვალების მზებებს,  
 ეს ჩურჩხელებიც უნდა წავიღო,  
 ათივეს თავისი სახელი აქვს  
 და თითოეულს თითო ქართველი ელოდება,  
 როგორც ზამთრის ღამეებში ლიცლიცა სანთელს,  
 შო, ღვთისმშობლის ხატიც მძინეა,  
 მაგრამ მაშიდა უგზავნის ნინოს და ვერც ჩარჩოს ვერ შემოვაცლი,  
 ღვინო? არ მინდა სამი ბოთლი,  
 არც ეს ჟაკეტი, რა შემატეებს,  
 ამ წიგნებსაც ონლაინ ვნახავ,  
 დათვი კი მიმაქვს,  
 ეს ნახერხით გამოტენილი, მძიმე დათვი,  
 მოგლეჯილი თავი რომ ნოთელი ძაფით მიმიკერა მარინემ  
 და მერე უკვე აღარც ბლაოდა,  
 მეზობლის გოგოს კი ძველებურად ეშინოდა,  
 ეს დათვი მჭირდება,  
 რალაცამ ხომ უნდა შემახსენოს ის უზრუნველი დღეები,  
 ზაფხულის პაპანაქებაში, იატაკზე გაფენილ ფარდაგებზე  
 რომ ვინეძით კახეთში  
 სამივე და-ძმა  
 და მარინე გათელას იწყებდა: „ჩიტი აფრინდა“...

**პერლინი**

*„ჩვენ ამ ქალაქში ჩამოსვლა დაგვაგვიანდა“ (ნატო)  
 „ბერლინი ის ქალაქია, სადაც წასასვლელად  
 მიზეზი არ გჭირდება“ (ნორბერტი)*

ბერლინი რომ შეგიყვარდეს, ნუთუ უნდა იქ დაიბადო?  
 ქალაქი ეს ხან ქალია და ხანაც შენი ოცნების ბიჭი  
 და სულერთია, მათ ზაფხულში იცნობდი  
 თუ სტუდენტობისას საღმე, სკვერში გადაიყარე,  
 სიყვარულს განა ახაკი აქვს?  
 სიყვარულისგან განა ვინმე ითხოვს ახსნას, რატომ დაინყო?  
 ზოგი ეძებს და იმედი არასოდეს არ ენურება,  
 ზოგი ერთადერთს ელოდება,  
 ზოგს კი იმხელა გული აქვს, რომ ყველაფერი ერთად ეტყევა:  
 ქალკო და ბიჭიც, გრაფიკით მოხატული დიდი კედლები,  
 პარკის სიმწვანე, იქვე კაფე, იქვე მდინარე.  
 მე კი მიყვარს,  
 როცა თოვს და როცა ღამეა,  
 ფანჯრის გადაღმა ლამპიონი ენთოს და იმ ფიფქების მძივებს,  
 ოქროსფერი შუქის ჭავლზე გავყურებდე და თან ვითვლიდე.



ამ დროს ვიცი, მიმა ზის გვერდით, ზის და მისმენს  
და უხარია, უხარია, ჩემი ნათქვამი ათასი და ათი ათასი.

ქალაქი რომ შეგიყვარდეს, ნუთუ უნდა ცმანვილი იყო?  
სიყვარულს განა ასაკი აქვს?  
და შეკითხვებიც თავისით ქრება,  
თუკი გაქვს სახლი და გისმენენ,  
როცა ეუჩის ლამპიონის ოქროსფერ ქაღალზე,  
შენს ფერად ამბებს უსასრულო მძივებად ითვლი.

### რაინის თავზე

ვხედავ, მიქრის ქალი ხიდისკენ  
ველოსიპედით,  
რაინის თავზე,  
ალბონია.  
მისი ლურჯი სანჯიშარი აფრასავით იშლება და  
ფრთას უსწორებს ხიდის მოაჯირს,  
ერთგულად რომ მისდევს გვერდით და მიაცილებს,  
ვიდრე ისევ მყარ მიწაზე გადავიდოდეს.

ქალმა იცის, მოაჯირი თვალს არ ამორებს,  
არც განზე იწევს, არც რიკულებს გაუშვებს სადმე,  
მყარად უფირავს სამკუთხა პილონს  
და მის ქროლვას 691 მეტრის მანძილზე გაჰყურებს.

მიქრის ქალი სვერინის ხიდზე  
ყოველდღე  
მავრამ არასდროს გადაკვეთს ცერად,  
არც ტროტუარის ნაწილიდან არ გადაუხევეს.  
ამაზე უკვე მოაჯირი ზრუნავს, და ამით  
უსარგებლო ფიქრებისგან  
კიდევ ერთხელ მათავისუფლებს.

### სათვალე

(ბირტე სევა მეტცდორფს)

დაბადებისას ყველა ბავშვი ერთნაირია –  
ამბობს სახლში დაბრუნებული  
და ნამოზრდილ შვილს ლოყებზე ვკოცნი.  
ის კი გიმზერს  
და ვერ ბედება  
ეს დათვის თავი შენს მხრებზე მხოლოდ საკარნავალო ნიღაბია,  
თუ მისი სათვალეიდან მოჩანს ასე,  
როგორც ის თავაზიანი მეზობელი,  
დილით, საყიდლებზე მიმავალი რომ გცხალმებათ  
და რატომღაც ირმის თავით დაიარება.  
ეს სათვალე შენ ჩამოუტანე და აი, უკვე რამდენი დღეა,  
აღარ იშორებს...



ვამომცემლობა „ვუნდერპორნმა“ ჩვენთვის ნაკლებად ცნობილი ქართველი ავტორის, ბელა ჩეკურიშვილის ლექსების კრებული ფრანკოფურტის ბაზრობისათვის გამოსცა, სადაც საქართველო მასპინძელი ქვეყნის სტატუსით იყო წარმოდგენილი. დრო სწორედაც რომ კარგი იყო გამოსაცემად, მაგრამ ეს ცხელი-ცხელი კრებული „ფეხშიშველი“, კიდევ უფრო უკეთესია.

ბელა ჩეკურიშვილი 1974 წელს დაიბადა საქართველოს ერთ-ერთ კუთხეში, კახეთში და ვერ კიდევ რამდენიმე წლის წინ თბილისში ცხოვრობდა, ვიდრე გერმანიაში საცხოვრებლად ჩამოვიდოდა. „ფეხშიშველი“ მისი მეორე პოეტური კრებულაა გერმანულ ენაზე და ტოპოგრაფიულად და სულიერად გერმანიასა და კავკასიაში მიღებარე ქვეყანას მოიცავს.

წაგებაც და გამარჯვებაც ალბათ ნებისმიერი ემიგრაციის ნაწილია, ისევე, როგორც მოგონებების მოძილება და წარსულის გამოძახილი, ყოველ ახალგაზოგულს რომ თან სდევს. ასე ბელა ჩეკურიშვილის შემთხვევაში, რომელიც კრებულში „ფეხშიშველი“ კარს უღებს ძველ ემოციებს და მძიხვ ნოსტალგიური კონტრასტების გარეშე, საქართველოში დარჩენილ ცხოვრებას თავის ლექსებში აღწერს.

აქ არის საუბარი „ძველ ბაღზეც“ და „შეყვარებულთა მიწაზეც“, მოგონებების ნისლეში

გახვეულ ბავშვობაზეც ერთ საბჭოთა ქვეყანაში, მოთხოვნა-ლია ამბები ფოტოალბომების დახმარებით და ისმის კითხვა: „რა ვიცე, მამაჩემზე?“ და აქვეა მოგონებები მწარე განმარებისა და მსაფრი გრძნობების შესახებ, იმ პერიოდიდან, როცა საბჭოთა კავშირი დაიხსნა და საქართველომ თავისუფლება მოიპოვა.

მაგრამ მხოლოდ წარსულის თემატიკით ვერ გამოიხვევდა ეს კრებული ჩვენს აღფრთოვანებას. ბელა ჩეკურიშვილი, ამავედროულად, მოპოვებულ სიახლეებსაც განიხილავს, დაკარგულის საპირისპიროდ რომ დგანან.

და მაინც, „ფეხშიშველი“ ბირველ რიგში ის ნივთია, რომელიც ბელა ჩეკურიშვილი, სრულიად გააზრებულად, დაინტერესებულ მკითხველს საქართველოში მიუძღვება. რადგან, არაფერს შეუძლია ქვეყანა ისე გაგაცნოს იქ ნაუსაყველად, როგორც კარგ ლექსებს, რადგან პოეზიას სემიოტიკური ნიშნების სრულყოფილი შეცნობა და მისი ტრანსპორტირება ხელსაძრავია.

ბელა ჩეკურიშვილი კრებულით „ფეხშიშველი“ შთამბეჭდავი და ბრწყინვალე ნაწარმოები შექმნა, რომელსაც ვიმედოვნებთ, რომ მალე სხვა კრებულებაც მოჰყვება. რატომ? იმიტომ რომ ბელა ჩეკურიშვილის მართლაც აქვს თავისი სათქმელი.

რეცენზიის ავტორი მათიას ელერი (Matthias Ehler)  
WDR (დასავლეთ გერმანიის ტელევიზია)  
გადაცემის გასვლის დრო 19.10.2018. 13:49  
<https://www1.wdr.de/radio/wdr5/sendungen/buecher/aktuelle-lyrik/lohnausfall-100.html>

## მოგონებებში ფეხშიშველი მოსიარულე ბელა ჩეკურიშვილის ქართული პოეზია

ბელა ჩეკურიშვილის მოგონებების წინაშე კრძალვა არა აქვს – თავის პოეტურ კრებულში „ფეხშიშველი“ ის თამამად იქცევა სასიყვარულო, ოჯახურ თუ ემიგრაციულ ამბებში, მოურიდებლად აცოცხლებს მივიწყებულ ეპიზოდებს და იმასაც, რასაც მოგონებები ინეგვიან.

კრებული 2018 წელს გამომცემლობა „ვუნდერპორნმა“ გამოსცა, როცა საქართველო ფრანკოფურტის წიგნის ბაზრობაზე მასპინძელი ქვეყნის სტატუსით წარდგა. ლექსების პოეტური თარგმანი ბერლინელ პოეტს, ნორბერტ ჰუმელტს ეკუთვნის, რომელიც მან ლიკა

კველიშვილის ბნკარედული თარგმანის მიხედვით გააკეთა.

„...ასე ხდება,  
როცა სხვაგან ხარ,  
როცა გადათქვამ ყავლგადასულ  
გრძნობას და აზრებს,  
ვერ შეეპარავად გამოჩნდები, მერე გადახვალ  
ერთხელ დადგენილ წესებს და სასლურებს“...

(ძველი ბაღი)

კრებულში ორი მძლავრი ნაკადი იკვეთება: მოგონებები და სიყვარული. მოგონებები სიყვარულზე და სიყვარული


მოგონებებში, დაიწყებული სიყვარული, საყვარელი მოგონებები – საფუძვლიანად იკვლევს ჩეკურიშვილი მათ შორის ურთიერთკავშირებსა და დამოკიდებულებებს. მასთან გახსენება დაიწყების საპირისპიროდ დგას. ამ სიტყვას ოთხჯერ იმეორებს ლექსში „ფოტოალბომი“, ვიდრე დაიწყების წინაშე აბოლოო კამიტულაციას გამოაცხადებდეს.

ვცდილობთ, მუდამ ონლაინ დავრჩეთ, თუნდ სიტყვეც არ ვთქვათ, წაგრძნობი ვანათოთ“.



„აღარ მახსოვს, რატომ იყო იმ ღამეს სველი ქალაქის ასფალტი“...  
 „აღარ მახსოვს, რატომ გაერბოდით სახლებიდან“...  
 „არ მახსოვს, რატომ გვეცევა მოკლენელიანი მაისურები“...  
 „არც ის მახსოვს, რატომ გვექაბდნენ ლტოლვილებს საკუთარ ქვეყანაში“...  
 „დაბავიწყდა და სვობის ყველაფერი ისევ ფოტოალბომებში დავაბრუნეთ, ვიდრე ძველმანების ბაზრობაზე გავიჭინდეთ, იქნებ ვინმე მაღლიანია ბელს გააყოლოს“...  
 (ფოტოალბომი)

ჩეკურიშვილის ლექსები ძალასა და აქტუალურობას ანმყოფთან კავშირით იძენენ. ლექსი „რემორტაჟი აეროპორტის საბაჟოდან“ საქართველოს მოქალაქეების ვიზალიბერალიზაციის საკითხს ეძღვნება შენგენის ქვეყნებში; ლექსში „საკაიმ-ინტენსივი“ ნაწევნებია, როგორც ვერცვლის ვირტუალური სახსოვე რეალურ მონატრებას. კრებულით „ფეხშიშველი“ ჩეკურიშვილმა მართლაც მოახერხა, პოეტთა ძველი რიტუალი გაეცოცხლებინა:



ოსტრაუმში საკუთარ გულსა და თირკმელებზე გამოსცადა: ეს ლექსების კრებული გერმანიიდან, რუსეთის გავლით, ტაჯიკეთამდე საიმედო თანატანკ ზაფერი იყო.

პირადი მოგონებების გარდა, ლექსებში საერთო მოგონებებიც მრავლადაა. შვილები გონებადამზინდული, მოხუცი მამის ადგილას წარმოიდგენენ თავს და ერთმანეთს ეკითხებიან, რა იცან საკუთარი მამის შესახებ. სივრცობლივად დამორებული შეყვარებული წყვილი კი ოდესღაც ერთადგოფნის მოგონებებით ცხოვრობს. ბელა ჩეკურიშვილს არ ეძინია შეცხოს ერთგვარ არაპოეტურ სურათებს, 21-ე საუკუნის საგნებს. მესინვერი თუ კოკა-კოლას თვისახური ლექსებში შემოდან, როგორც შორეული ურთიერთობების მაკავშირებელი რგოლები, ანდა – ახალგაზრდული ოცნებების აღმნიშვნელები.

„ესეც ხომ ძველი რიტუალია, მარცვალ-მარცვალ რომ იკინდება და სიტყვებით თიამაშება“.  
 (პერფორმანსი)

ონას ბენდიკტი, ფურნალი  
 „ოსტრაუმი“, 7 სექტემბერი, 2018 წელი.  
<https://ostrauM.com/2018/09/07/barfuss-durch-die-erinnerung-georgische-dichtung-von-bela-chekurishvili/>

ერთმანეთს უკვე სოციალური ქსელებიდან მთქურებუარით, ვირტუალურ სამყაროში გაბნეულენი



დურს გრუნბაინი

ზოგჯერ ლაინის ძელიც კმარა  
 თვალი რომ მოჰკრა  
 და ტკივილმა ააბრიალოს  
 ყველა უარი და დანაკარგი,  
 ცხოვრებაში რაც კი გეონია.  
 და ხედები, აი, კიდევ ცოტაც და  
 მენი დრო ნავა.  
 გაბარჯულია ყველა შანსი, ყველა აგნისი,  
 „ბოლო დასხმა“ – ამბობს მიმტანი  
 და ხელახოცებს ერთად აგროვებს.  
 არადა, ბევრი რამ მისაღწევად იოლიც ჩანდა,  
 ახლა კი, აი, ფასდაკლებაა,  
 სინათლე გაკრთა საქმეებს შორის,  
 სამოგზაურო გეგმების და კბილის ექიმის,  
 უკანასკნელი ზეიმის წინ  
 და სჯობს, დროულად შეუკვეთო.  
 გამოქვეყნებულ განცხადებებს კი ეტყობა,  
 რომ საქმე ებება მონატრებას,  
 თმის ფერს, ტუჩებს.  
 დაწყებულია არსებობის მეორე ფაზა:  
 ატონალური მუსიკის ფლერის,  
 თუნდ სურს აქამდე არც გაეგონოს.  
 ვიბრაცია კი საათობრივ მაინც მატულობს,  
 გსურს და ეფლობი. თუმც არც ისე ღრმად.  
 ნატრობ, ნეტავი,  
 კვლავაც სუფთა ფურცელი იყო.

გაფუჭებული თევზი

არ შეგეშინდეს, თუ პურის ქერქებს  
 და კარტოფილის ნაფცქენს გადაყრი  
 და ბუნკერში

ნახევარი ღუსინი გაფუჭებული  
 თევზის (სკუმბრიას) გაფშეკლ კუდებს,  
 გაძევაზეულ

თვალის გუგებს, გაფატრულ მუცლებს  
 აღმოაჩენ, არ შეგეშინდეს, არა  
 ეს მხერა არაფერს ამბობს, აპატიე...

მცველი



ზინა კლანი

ნეონის შუქი ჩვენს თავზე სავეც  
 მეგონა მთვარე, შენი ხელი მექირა წყნარად  
 და მეგონე მიუსაფარი

ერჩებოდი ასე მუდამ მდუმარი, რადგან ქალადღის  
 ქალი ვიყავი, ვზრუნავდი ძილი გქონოდა ტბილი,  
 თუმცა კი შენს თავს მართმევედა ხშირად.

და როცა დიდხანს ვრჩებოდი ფხიზლად, მე ვიყვარებდი  
 საკუთარ ჩრდილსაც, შენთვის რომ ასე  
 უცნობად დარჩა, თუმცა კი შენი ეჭირა მაჯა.

ხელჩაკიდებულს მინდოდა ყოფნა, თუნდაც ნეონის  
 შუქი ჩვენს თავზე არ ყოფილიყო მთვარის სინათლე,  
 და არაფერს, რაც ირგვლივ გვექონდა, ერქვა სიმართლე.



კერტინე პენელი

ჩაბნელებული ფანჯრების უკან  
კორპუსებში სხედან ბებრები,  
მათი ჯიშის შესაფერი თავის დაჭერით,  
და თვალეზად გადაქცეულან.

სახლის წინ, ჩემი შვილიშვილი  
სათამაშო მოედანზე ქანაობს, ცეკვავს  
ზევით მოფრენილ შემოდგომის ფოთოლთა შორის,  
მღერის და იწნავს მეთვის ასულის სადარ დალაღებს.

ღარაბები ეშვება ზათით,  
სარდაფიდან ბოლო, მეშვიდე სართულამდე.  
შშობლების ხმები: ის მტერი ბავშვი  
ჯერაც არ მოსულა! რა არაშადაა! რა  
გინდა გაანყო -

ცვივა ნაპერწკლები,  
სახლის სახურავზე კაუჭს აჭედებდა  
მეზოვე.

და რამ მომიყვანა  
მე აქ ხელმეორედ?  
ჭრწოლა რა ყოფილა, ეს უკვე ეციც.

აზთარი უწყვეტად უპლის წრეს

პატარა ღემი  
ახე როგორ მიცრუებს იმედს?  
ვხედავ, ზემოთკენ რაღაც მოძრაობს,  
მგონი, რომ  
ჯერაც ცოცხალი არის.

დოლის გვერდ

დგანან ცხენები დოლის შემდეგ  
თავლაში მარტო და დროდადრო

სულ ტენებით ენევათ სევდა  
და ექიმი ამბობს, კი ვხედავ,  
ჯერ არ არის ბალახი მწვანე,  
მაგრამ თავლაში  
პატარა თიკანს თუ მოიყვანენ -  
მოკიკინე, კუნტრუმა თიკანს,  
ყირაზე რომ გადადის ცქვიტად,  
ისევე ასწვენენ ცხენები ლამებს  
ზევით, ზევით,  
თითქმის ყურებთან.

კვანძი

ამ ლამით თუკი რომელიმე ჩვენგანი გარეთ  
თავს დაკარგავს, თავს დაკარგავს  
მასთან მეორეც და გადაიხვევს  
ქუჩას ხელზე ლენტვივით, თანაც

მაგრად, წრიულად. ამ ლამით არც ერთს  
ერთმანეთი არ დაგვეთმობა, არ გაუშვებთ  
ასე ადვილად. მიჭირავს ქუჩა,  
თვალს არ გაცილებ, რამეს ფეხი არ ნამოჰკრა,

არ გადავარდე, სადმე იქით,  
სულ სხვა ნაპირას.



## GONCA ÖZMEN

დაიბადა ბურდურში, თურქეთში 1982 წელს. სწავლობდა ინგლისურ ენას და ლიტერატურას სტამბოლის უნივერსიტეტში, 2008 წელს მაგისტრის, 2016 წელს კი მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი მიიღო. მისი პირველი ლექსი 1997 წელს დაიბეჭდა, 1999 წელს კი პოეტმა ალი რიზა ერთანის პოეზიის ჟილდო მიიღო. მისმა პირველმა პოეტურმა კრებულმა *Kuytumda* („ჩემს კუთხეში“, 2000) მიიღო ორპონ ბურატ არიბურნუს პოეზიის პრემია, 2003 წელს კი გონჯამ სტამბოლის უნივერსიტეტის ბერნა მორანის პრემია მიიღო.

მისი მეორე კრებული *Belki Sessiz* („შესაძლოა ჩუმად“) 2008 წელს გამოიცა, ხოლო 2017 წელს მონიკა კარბემ გერმანულად თარგმნა. რჩეული ლექსების კრებული *The Sea Within* („შინგავანი ზღვა“) ინგლისურად, ჯორჯ მესოს თარგმანით, 2011 წელს გამოიცა.

გონჯა არის ლიტერატურული ფურნალის *Çevrimdışı Istanbul* ერთ-ერთი რედაქტორი და ბურსა ნილუფერის საერთაშორისო პოეზიის ფესტივალისა და ყოველწლიური ინგლისურენოვანი ფურნალის „თურქული პოეზია დღეს“ (გამომცემლობა *Red Hand Books*) მრჩეველთა საბჭოს წევრი. იგი ასევე როდოსის „სამი ზღვის მწერლების“ და „მთარგმნელთა საბჭოს“ წევრია.

## ბოჯა ოჯმენი:

# პოეტებს მართებთ, ჯიუტ თხებს დაემსგავსონ!

(ესაუბრა ანი კობალიანი)

ანი კობალიანი: ანატოლიიდან ყოფილბარ, ჩემი შთაბეჭდილებით, იქ გასაოცრად გულთიად ადამიანები ცხოვრობენ. რა იყო ბავშვობაში ისეთი, რამაც ყველაზე მეტად ასაზრდოვა შენი პოეზია?


გონავ ოჯმენი: დიან, თურქეთის საშრეთით, ხმელთაშუა ზღვისპირა რეგიონში, ბურდურის მახლობელ პატარა ქალაქ ტუფენიში დაიბადე, სადაც დაახლოებით 10.000 ადამიანი ცხოვრობს. შთაბეჭდილი მდიდარი ბავშვობა მქონდა – მგონია, გამომართლა, რომ დიდ, თანამედროვე ქალაქში არ გაზრდილიყარ, სადაც ბუნებისაგან მოწყვეტილი ბავშვების ცხოვრება საკუთარი საბუნებისა და უფრო ხშირად – ოთახებით შემოფარგვლებია. მე კი ბუნებაში ვიზრდებოდი, ქუჩებში საათობით ვიამაშობდე „ადამილობანას“, ლამაზობითაც კი. საფრთხე არსაიდან გემეძუტებოდა – მთელი ქუჩა ჩვენი სახლი, ჩვენი ოთახი იყო. ადამიანები ერთმანეთს იცნობდნენ, მეზობლებს ნათესავებდად აღვიქვამდით. ჩვენს ოჯახს ორი უზარმაზარი ზალი ჰქონდა, ხეები, ყვავილები, ბევრი ცხოველი გვყავდა და კიდევ უფრო მეტი – მგობარნი. მუდმივ გარეთ ვიყავით – დაიბრუნდით, შინაურ ცხოველებს ვუფვლიდით, ზოსტინულს თავს დავტყობავდით, ხილს ვკრეფდით და ძროხებს ენვლიდით. ქათამები, თებები, ძროხები, ცხვრები და კურდღლები მეზარა და მათზე ვზრუნავდი. შალად მივბეძე ჩადლული ჩვენი სახლი ტბის ახლოს იდგა. მე და ჩემი მეგობრები იმ მთებზე მივძვრებოდით, მერე მდელაზე ჩამოვსდებოდით და ერთმანეთს სტადასტვა ამბავს ვუყვებოდით. ჩემი დიდი ბებია შესანიშნავ ზღაპრებს მოამბობდა – მიუხედავად იმისა, რომ წერა-კითხვა არ იცოდა, სხარტ გონება და შემოქმედებითი აზროვნება ჰქონდა. ბუნებას საუცხოოდა იცნობდა, რაკილა მთებში, კარვებში იყო გაზრდილი. მწყემსი იყო და გაგიყვებით უყვარდა ცხვრები და თხები. საოცარი პოეტებით თობობა შეეძლო, საათობით მიყვებოდა ერთი ფრინველის შესახებ, რომელიც თავიდან ბოლომდე მისი ნარმოსახების ნაყოფი იყო – და ამავს დაუჯერებელი წერილობანებით ამკობდა. ფაქტების სიზუსტე დიდად არ ანალვლებდა – ჩემი აზრით, სწორედ ამიტომაც იყო პოეტი. მეტაფორულ, ფიგურალურ ენას იყენებდა. ყველაფერმა ამან მომცა საშუალება, ბუნებას დავკვირვებოდი, რომელიც ბავშვობაშივე მეცცა მასწავლებლად – შთანამგონებდა და შემოქმედებითი ენურგიას მაძლევდა. შემოძლია ჩვენს თავს პაიდი<sup>1</sup> ვსურთო, ანატოლიელი პაიდი. ასე რომ, ჩემი პოეზიის უპირველესი შთანამგონებელი,

ანუ როგორც შენ თქვი, „მასაზრდიებელი“ – ბუნებაა. ის ჩემთვის ერთი დიდი მეტაფორაა და მისი ზეგავლენა ჩემს ლექსებში აშკარად. ლენის სტრუქტურის მნიშვნელობის იროსხა იგვეა, რომ ფთოლის ან ხის სადუმულოს ჩასწვდი, ჩემი წინაპრები მომთაბარენი იყვენ და მეც ვეფედები მთებზე – ვეტიდები თავისუფლებაზე და ვეტიდები თხებზე! ასე მგონია, რომ ჩემში შვეი, ჯიუტი ნერვი ცხოვრობს. სიჯიუტე, ნიზანარაფულობა საიდან მომწველოვანი თვისება პოეტობისთვის, ამის გარეშე შეუძლებელია საკუთარი უნიკალური, თვითმყოფადი ნმა შეერთო ლიტერატურის, პოეზიის ტრადიციებს. კიდევ ერთი მთავარების წყარო, ანუ „ასაზრდი“ წგანებია. მამაჩემი ფილოსოფიას ასწავლის და იწყიათად თუ შემხედრია მასავით კარგ მკითხველი. დაივირდ სახლში, სადაც დიდი და გვირგვინი შენარქული ბიბლიოთეკა გვქონდა. ვთლდ, რომ ეს ბიბლიოთეკა იღბლის საწუქარი იყო. დედასერთა ვარ – დობას, ძობას და მეგობრობასაც მთოლად ნივები მიწვევდი. გავიფიქრო მიყვარდა ისინი – განსხვავებულ სამყაროსს, დიდებულ თავგადასავლებს, ათასგვარ ადამიანებს მაცნობდნენ – ყველაფერს, რასაც ჩემ გარშემო ვერ ვხედავდი. საათობით ვკითხობდი – არც ჭამა მახსოვდა, არც – სმა და არც – ძილი. შემოძლია, ახლაც დავიბრბობასი, რომ ძალიან კარგი მკითხველი ვარ – უფრო კი ვცდილობ, კარგი მკითხველი ვიყო. სამწინხარად, არცთუ ისე ცოტა მწერალა ცუდი მკითხველი და ამას მათი ნაწერებიდან ვხედავ. ბევრი კითხვის გარეშე შეუძლებელია კარგად წერა. პოეტი მარტო პოეზიას კი არა, მცენიერებას, ისტორიას, ფილოსოფიას, სოციოლოგიას, ფსიქოლოგიას, მითოლოგიას, არტიტექტურას, კინოს, თეატრს, მთავრობასა და სკულპტურას უნდა იცნობდეს. პოეტს იმტელექტუალი უნდა იყოს, ბევრს კითხულობდეს და მთოლად დექსის კი არა, ქანდაკებია, მუზიონს, ახალ ლექსინერო მიღწევის განხილვაც შეეძლოს. სამყაროში ყველაფერი ერთმანეთთანა დაკავშირებული და პოეტიც უნდა ეცადოს, თავისი

<sup>1</sup> შეიცარიელი მწერლის, ჯოანა სპირის საბავშვო წიგნების მთავარი პერსონაჟი, გოგონა, რომელიც ბაბუსთან ერთად შეიცვარის ალბუმში ცხოვრობს და ბუნების შესაბამისად.

სამყაროს საზღვრები, თვალსაწიერი გაიფართოოს, მრავალფეროვანი ცოდნა მიიღოს. ხანდახან ლექსის წერისას საჭიროა დაივიწყო ის, რაც უკვე იცი და მიიწი, სწრაფი ცოდნისაკენ უპირველესია. ლექსის წერაზე არანაკლებ რთულია ლექსის სწორად წაკითხვა. წერაცა და კითხვაც დიდ ძალისხმევას მოითხოვს, შემოქმედებით იმპულსს და ღრმა განათლებას. ნამდვილად სწელია ლექსის გაგება, ის მხოლოდ მათ უძებნის თავის ნამდვილ არსს, ვინც მის მოსახელთებლად, მის სიღრმეებში ჩასახვლელად ძალას არ იშურებს. პოეზიას სამყაროს სვდომის განსხვავებული სტრატეგია აქვს, სრულიად სხვაგვარი ლოგიკა. ის არ სცნობს ურყევ დებულებებს. ლექსის არსს ეფრასოდეს ჩასახვება მკითხველი, რომელსაც ყური არა აქვს შეჩვეული პოეზიისადვის, არ იცის, განვითარების როგორი გზა გაიარა კონკრეტულმა მინდინარობამ, ანდა არ შეუძლია მეტაფორის ესთეტიკით ტვინობა, არ აქვს მუსიკალური სმენა და ნარმოსახვა. ამასთანავე, თითოეული ნამკითხველი, მეტად თუ ნაკლებად, პოულობს მხოლოდ მისთვის გასაგებ აზრს (თუ უაზრობას) ლექსში თავისი ლიტერატურული განათლებიდან თუ ზოგადად, მსოფლმხედველობის მიხედვით. უოლეს სტივენსი ამბობდა: „პოეტის სიტყვები ქმნის სამყაროს, რომელიც უმანტიკურობად არც იარსებებდა“. მეც იმავეს ვცდილობ. წერის იმპულსი მეტად ჩახლართული რამაა და არც ქმნის პროცესის დაწინაურებით აღწერა შეაძლებელი. მაგრამ „სიტყვები, სიტყვები, რომლებიც...“ ჩვენ არავფიქრებია, გარდა სიტყვებისა. და მიიწი, ვერაღ არსებობს სიტყვები, რომლებსაც ერთ სტრიქონში გვერდგვერდ არააღივს უარებათი. ენის სხველი კიდევ არსებობს გამოსახვის გამოუყენებელი საშუალებები. მეც ვცდილობ, რომ თურქული ენის გამოყენებითი საზღვრები ჩემი პოეზიის საშუალებით ვეგაფართოვო. ახვე მეფერა, რომ პოეზიას შეუძლია ჩანაცვლოს, გარდასახოს და გააღამაშოს ჩვენთვის უსიამო ყოველდღიურობა. გარემოცველი ფიზიკური სამყარო ჩემთვის ისაა, რაც სიტყვებზე უნდა გარდავქმნა. სამყარო ყოველთვის ელის ახალ მნიშვნელობას, ახალ პერსპექტივებს, ახალ კავშირებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პოეზიის სამყაროს შეცვლა შეუძლია. დიხა, მე გულწრფელად მწანა ამის. დაემატებდი, რომ ლექსი თანამედროვეც არის და მუდმივიც, თავის და ყველა სხვა დროსთან თავებდა.

**ა. კ. როდეცა შენი პირველი ნიგანი გამოიცა, მხოლოდ 18 წლის იყავი და ამას ჯილდოების წილამ მოჰყვა. როგორ შეცვალა ამაღ შენი ცხოვრება:**



**კეთილ ზღაპარს ჰკავდა თუ ცოტა დაიბნე?**

გ. ო.: ძალიან ახალგაზრდა, სულ რაღაც 15 წლის იყავი, როდესაც 1997 წელს ჩემი ლექსი დაიბეჭდა ავტორიტეტულ თურქულ ლიტერატურულ გაზეთ „ფარლიში“. „ფარლიში“ ყველაზე ძველი თურქული ლიტერატურული გამოცემაა, წელს მისი მწე ობილი აღვიწინეთ. ლექსი იაზარ ნაბი ნაირის სახელობის პრიზი ურგო, რომელიც იმ ახალგაზრდა პოეტებმა და პროზაიკოსებმა გადაეცათ, რომლებმაც 1997 წელს სურადღება მიიციეს. 1999 წელს აღი რიზა ერთიან სახელობის ჯილდო მომცეს. ჩემი პირველი პოეტური კრებული Kuyumda („ჩემს კუნჭულში“) 2000 წელს დაიბეჭდა და ორჯან მურატ არიბურნუს სახელობის პოეტური პრიზი მიენიჭა. 2003-ში სტამბულის უნივერსიტეტმა დამაჯილდოვა ზერინა მორანის სახელობის პრიზით პოეზიაში. 2005-ში ასევე მომცეს ჰომეროსის სახელობის პრიზი ლიტერატურულ კრიტიკაში, ესასთვის, რომელმაც თურქი პოეტის, ედიფ ეანსვეერის შემოქმედებას განვიხილა. ედიფ გარდა პოეზიისა, ჩემი ახალგაზრდული ასაკი და სექსიც იქცევადა ყურადღებას. ასეთი აღიარება არცთუ ხშირია თურქული პოეზიის ისტორიაში, განსაკუთრებით, ელი პოეტისა. ეს გაძლევს შემართებას წერა გასაგრძელებლად და გარდა ამისა, ერთგვარად საკუთარი თავის პატივისცემის, ზედნიერების, დაფასებულობის შერჩინება გნაძლევს, თუმცა ასევე გემატება მასუხისნგებლობაც, რომელსაც ერთგვარ მზამედ შემაჯავბარ. სულ უფრო უკეთ და უკეთ უნდა წერო, ამავდროულად, ამ ყველაფერს ასეთ ასაკში შეუძლია არასრულდასრულების კომპლექსიც აგვიდოს. უსახლოა, ამავე მიზეზით ჩემი მეორე ნიგანი Belki Sessiz („ედე ჩემი“) მხოლოდ რვა წლის შემდეგ (2008) დაბეჭდა ერთ-ერთმა ნამეყინმა გამომცემლობამ. მე მართლაც დიდხანს ვმუშაობდი მასზე და დაჟინებით ვებეჭდი



ლექსებს. დაუსრულებლად ვკითხულობდი მათ, ვცვლიდი სიტყვებს, ვამატებდი, მთელ სტრიქონებს უშლიდი და ფორმებით, ქლერადობითა და დისკურსით ეთანამშობდი. ეს წიგნი უმარადოდ კი არ დავერე, შევეჭმინე. შენობასათი აფურ-აფურ ავატე. მან არაერთი პოეტისა და მწიფსწვლილგანი კრიტიკოსის ქება დაიმსახურა. ჩემი მეორე წიგნის შესახებ 20-ზე მეტი გამოხმაურება დაიბრუნა. ამან კი მეტიც აღიარება მომიტანა, ძალია შემწავტა, რომ წერა გაემტკიცებოდა. 1997 წლიდან ვებრ და ვაქვეყნებ ჩემს ტექსტებას ლიტერატურულ პრესაში. სულ მალე დაიბეჭდება ჩემი წინა ორი წიგნის მეექვსე გამოცემები. შავეს ნიგებები ინგლისურ და გერმანულ ენებზე. აი, ეს არის ნამდვილი ჯილდო ჩემთვის. მინდა ვთხრობა, რომ რეპუტაცია ნაკლებად მადარდებს. ჩემი პოეზიის, ჩემი სიტყვის თვალსაზრისი ვაზრდა და გაფართოება მსურს. გადამწყვეტია, რომ შენს შემოქმედებას სათულებება გააჩნდეს. ყველა აბალი ლექსითა თუ წიგნით საკუთარი ღირსება უნდა დაიცვა, მხოლოდ ამას აქვს მნიშვნელობა. ჯილდოს ძალიან დიდი ძალია აქვს, როცა ახალგაზრდა ხარ – ასე საბულებება გეცდევება შენი ხმა კრიტიკელთა უმეტესობას მიანდენიო – ესაა და ე.ა. პოეზია კონსო ბილიკია და პოეტებს მართოდ ვუოტე სხვებს დემისგავსონ. დაუღალავად უნდა იზრომონ წინაშეთვისი.

ა. კ.: **მასხოსე, 2014 წელს ცნობილმა თურქმა უფლებამოსიულმა მითხრა, რომ თურქეთში ფემინიციის საოცრად მაღალი მაჩვენებელია. რას ნიშნავს ქვეყანაში, სადაც ქალთა უფლებები არცთუ კარგადაა დაცულია, იყო გავლენიანი, აღიარებული, საკუთარი ხმის მქონე ქალი? უოქვამო სხვა ქალებს, რომ მათ ეხმარებო?**

გ.ო.: ამ საკითხზე რომ ამომწურავად ვაპასუხო, მთელი გვერდების გაცეხება მომიხვეს. მასზე მოკლედ საუბარი ძალიან ძნელია. უნდა მიმოვიხილო თურქეთის ისტორია, სოციალური და პოლიტიკური ვითარება წარსულსა და აწმყისში, ტრადიციები და კანონები, იდეოლოგია, რომელსაც ოჯახური ურთიერთობები ეფუძნება, რელიგიისა და პატრიარქატის ბორკილები, მასკულიზმის პრობლემები, ცენზურა – ეს ყველაფერი, როგორც იცი, ურთიერთკავშირშია. ასე რომ, მხოლოდ იმ ნაშრომებით შემოვიფარებლები, რომლებიც ამ საკითხს მიეფუძნება. სტამბულის უნივერსიტეტში ინგლისურ ენაზე და ლიტერატურას ვსწავლობდი. ჩემს მამაკაცსტრო ნაშრომს ეწოდებოდა «ქვეყნების სამფრთხი ჩამება მეცნარაზე საუკუნის პოეზიაში», ხოლო სადოქტორო დისერტაცია: «შატლი, ნიკოლსი, დავი, კრეტიტორ-ფორონდა: მამობითი სექსის კუბიანტი მხატვრების მიერ ქალის სხეულის ასახვის რემოდიუქციი აფერასტიკული პოეზიის მიერ» (2016). ორივე ნაშრომის თეორიული ნაწილი ეფუძნება სხეულის პოლიტიკასა და ფემინიზმის თეორიას. ვწერდი, თუ როგორ აისახება ქალი, მისი სხეული, დედობა, მდგრადობითი სექსის ხელოვანები. დიდ ვალში ვარ ჩემი კათედრის შესახებში ფემინისტი პროფესორებისა და იმ მრავალი ფემინისტი მწერლისა თუ პოეტის წინაშე, რომლებიც შთაბეჭდილებდნენ მეც და შთაგონებდა იქცნენ ჩემი პოეზიისათვისაც. როგორც ქალს, ყოველთვის ეს მაძლევს ამბოხების ძალას, და სურვილს, რომ საფუძველი ჩაუყარო ცვლილებებს ჩემს კულტურაში და დარწმუნებული ვარ, ეს ენერჯია ჩემს მკითხველებსაც გადაეცემათ. მაგალითად, მას

მერე, რაც მთავრობამ აბორტის კანონი შეცვალა და ქალის ეს უფლება მკაცრად აკრძალა, ამის შესახებ პოეტური ენა დავეწერე ჩემს წიგნში რომის გამოცეცნების შემდეგ, უმარადოდ მეტყველებდი იმ მიზეზზე ჩემი სექსის მკითხველებისათვის – ზოგიერთი მათგანი საკუთარ გამოცდილებაში მიზარებდა, ზოგი მაღლობს მიხდებოდა, რომ მის ტყვეობზე, ბრძოლაზე, სიროულებზე ხმამაღლა ვილაპარაკე, ზოგმა ეს ესე სხვაგვარად ნავივთა სადისკუსიო სერვიუმში და საზოგადოების სამსჯავროზე გამოიტანა, ასე რომ, ლიტერატურული ხმის მიწვდენა, იდეებისა და გამოცდილების გაზიარება, ჩემი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია. ამ პატარა-პატარა, ნაგრამ მძლავრი ნაბიჯება დიდი და რადიკალური ცვლილებების გამონვევა შეუძლია, რაკილა მგონია, რომ სიტყვას უფრო მეტი ძალია და სიბარე აქვს, ვიდრე ნებისმიერ დანას, ხანჯალს თუ თოვს.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელიც თურქულმა მთავრობამ 1980-იანი წლების შემდეგ განიცადა, ქალი ავტორების ზრდაა, როგორც რადიკალიზირებული, ასევე ხარისხის თვალსაზრისით. მათ შეუძლიათ თავისუფლად (!) წერონ თავიანთი სხეულების, გროტიკული ფანტაზიების, ხორციელი სურვილებისა და იმედგაცრუებების შესახებ, გამხვავებით მათგან, ვისი ლექსებიც ვერ კიდევ განვიდინა მასკულიზური იდეოლოგიის გავლენას და ტრადიციით გამპრობებულ პატრიარქალურ დისკურსს ქნისა. ნოუხელოვან იმისა, რომ, ჩემი აზრით, პოეტი ანდროგინული ბულები უნდა იყოს, რათა იოლად მოიგოს ქალის, მამაკაცის, ბავშვის, მეცნარის, საგნისა თუ ცხოველის როლი, ეს ახალი მძლავრი დისკურსი ქალი პოეტებისა ძალიან სულისშემწერლად და შთაბეჭედავია. მით უმეტეს, თუ გათვალისწინებთ ქალის მდგომარეობას ჩემს კულტურაში. მაგრამ ჩვენ კიდევ გვჭირდება მეტი სისხლი სიტყვებში – მეტი გამბედაობა, ამაზიხა. გამოწვევა ეწერება და შენარტობა. მე მარტოვალა დედა ვარ და გოგონა მყავს – ყველაფერ ამას, უიწრეველს ყოვლისა, მისთვის ვაკეთებ და შენებ – ყველა მისი თურქი თანატოლისთვის. იაბი ულტებს მოზავალა იმპახურბენ და უნდა შეეძლოთ, თავიანთ ნებაზე იყავილო!

ა. კ.: **საქართველოში თურქი პროზაიკოსები საკმაოდ პოპულარულები არიან: ორჰან ფაშუქი, ელფე შაჰინი... აი, პოეტების შესახებ კი ცოტაა მამო თუ ვიცი. ამას პატრიოტი მიზეზი აქვს: პოეზიის ელიტურობა, ამ დარგში მთარგმნელთა სიმცირე. მე მჯერა, რომ პოეზიას ყველა ეთოვასა და სიერცემი შეუძლია თავის გადარჩენა, მაგრამ**



### კონკრეტულად როგორ წარმოვიდგინათ თანამედროვეობაში პოეზიის როლი?

გ. ო.: დიარ, რომანი მსოფლიოში ყველაზე უფრო პოპულარული ფანარია. ჩვენც შეგვიძლია იმაყვას თქმა - ცოტა რამ თუ ვიცით თანამედროვე ტარტულ პოეზიაზე. სწორედ ამიტომაც ვფიქრობთ მეტი ისეთი ფესტივალი, როგორიც თქვენ გაპარატი, მეტი მთარგმნელი, ვორკშოპი, ესე და კომუნიკაცია.

მინდა თურქული პოეზია გაულმრფელად დაინტერესებულ მკითხველს ფორჩიო გაეცნოს რამდენიმე პოეტს, რომლებიც თარგმნიან ინგლისურად, მათ სხენდას კი, ვინც ჯერ ინგლისურად არ თარგმნიდა, ალბათ, ახრი არა აქვს. თანამედროვე პოეზიის ერთ-ერთი პიონერი, ნაზიმ ქემალე, გამორჩეული თავისი ბოზოქარი ცხოვრებით, ნატოფი ლირიზმით და პოლიტიკური ლექსებით. მისი სახელი დიდი ხანია თურქეთის სახელგერბს გასცემს. მთელ მსოფლიოში შყავს მკითხველი. 1930-იანი წლების ახალი ჰოდერნისტული ტალღის საუკეთესო პოეტები არიან ორპან ველი („კორინთი ბუქსი“, 1971); შენგინე ლუზ პრესი, 1989), ოქტაი რიფათი (როზიბეეი პრესი, 1993, ანელი, 2007), მელიქ ჯეფევი ანდაი („ჯეორინიმი ბუქსი“ 1974; „კარიოტიკი ბუქსი“, 1980), რომელიც ესწრაფოდა პოეზიიდან აღმოფხვრა ყველა სიყალბე და პირობითობა და ეწერა მათგანათვის“. ჯემალ სურეა (ინდიანას უნივერსიტეტის თურქული ლიტერატურის სერია, 2010), ეჯე იაჰანი („სან ენდ მუნ პრესი“, 1997), ედიფ ქანსევერი („სტალინიზმი პაუზი“, 2009); ილჰან ბერიკ, რომელიც „მეორე ტალღის“ პოეტურ მოძრაობას მიეკუთვნება და უზარმაზარი ზეგაღვიწი მთავანია თურქულ პოეტურ ტრადიციებზე. ფაზილ შუსუნ დაალარაჯ („უნივერსიტოი ფე პიტაბურე პრესი“, 1969), რომელმაც, შეიძლება ითქვას, რომ თავისი სკოლა შექმნა, შეგვიძლია ასევე ნაიკითხოთ ლეფ მულერი („პოუეტრი პირლენდ“, 1998) და სხვები. ანთოლოგიების ნაცვლად გირჩევთ ნაიკითხოთ საავტორო კრებულები, თქმავთ კი მათი რაოდენობა საკმაოდ მცირეა. აქვე მინდა მიდღერება გამოგზავტო თურქული ენიდან პოეზიის მთარგმნელების მიმართ.

რაც შეეხება კითხვის მეორე ნაწილს, ჩემთვის მწერლობა გზისტენციალური ამბოხია. ჩემი აზრით, პოეტია ის, ვინც მუწერებლად ცდილობს მიადონოს მიულეველს, ადვილად აღუწერელი და გასაქვრიტოს განუქვრეტელი“ (პ. სიკსუ). შემოქმედებით პროცესი თავისი არსით წარბოსახეთი ხეტიალია ლეფიუნების და

ენის ლაბირინთებში. პოეზია საშუალებას გვაძლევს დგინახოთ იმის მიღმა, რასაც ვხედავთ და ვისმენთ. ის ატყობს შიქში თვალს ანიჭებს, სტიმილს აძლევს. ჩემი თვალთახედვით ნერსის სურვილი, უპირველეს ყოვლისა, მომდინარეობს სხეულებთან დალაპარაკების, საერთოს მონახვისა და სათქმელის გაზიარების მოთხოვნისგან. მინდა, მკითხველთან კავშირი დავამყარო, ჩემს შემოქმედებით პრიცესში ჩაერთო, გაძლიერო, რომ ლექსის ნაწილად იქცეს. ასე რომ, უფრო მეტად ვაძლავ, ვიდრე ეთხზე, სტრიქონებს შორის ცოცხლად ადგობებს ვტოვებ, სადაც მკითხველი თავის ლექსს ჩანერგს. მინდა, რომ ეს მდუმარე მონაკეებები ჩვენი თანამშრომლობის ადგილად იქცეს. ლექსი უსასრულოდ იბადება ბელახლი მკითხველთა აღქმის შემყოფით. ყოველი ნაკითხვისას ხელახლა იწერება. სულ რამდენიმე სიტყვა გავეს ინისთვის, რომ მკითხველს აძლერი რამ აგრანთონი: სისხადვის სიღრმე და ძალი... სიტყვების დაფარული მნიშვნელობა... ვირჯინია ეულუი ამბობდა: არაფერია მითლიანი, თუკი მე არ ვწერ... არაფერია ზორცეხსმული, როცა მე არ ვწერ“. ასე რომ პოეზია ეხმარება „გაძლიანებაში“ ამ ფრაგმენტულ თანამედროვე სამყაროს. პოეზია „ხორცეს ასხამს“ თანამედროვე ირელურ, სახტეკ სამყაროს. პოეზიას არ შეუძლია სამყაროს შეეგლა - ეს მარიალია - ის ვერ შეწყვეტს იმებს, ვერ დაემარება ლტოლილებს, ბოლს ვერ მოუღებს ძალიანობას, მაგრამ მას შეუძლია შევკალოს ინდივიდობი, რაც იმას ნიშნავს, რომ მას შეუძლია მწავრელები გადაახვიოს ჩავგროს, რაც ძალიან დიდი და მნიშვნელოვანი ამბავია!

ა. კ.: შენს პოეზიაში ხშირია თურქული ზალხური სიმღერებისა და კლასიკური ლიტერატურის რეფლექსია, ამავდროულად, თანამედროვე დასავლური პოეზიის გავლენაც იგრანობა. როგორ ახერხებ ძველს და ახლს, „მშობლიურისა“ და „უცხოის“ შეთანხმებას?

გ. ო.: ნადლობა კითხვისათვის, მაგრამ პასუხის გაცემა მიჭირს! როგორ? არ ვიცი. ალბათ ეს ძირითადად ჩემს საუნივერსიტეო განათლებას უკავშირდება. კარგად ვიცნობ ანგლო-საქსონურ, ინგლისურ პოეზიას. ვერ ვიტყვი, რომ ეს პოეზია მინცდამინც „უცხო“ არის ჩემთვის. როგორც უკვე გითხარი, ვეცდები, კარგი მკითხველი ვყოფ და მთელი მსოფლიოს თანამედროვე პოეზიას ვცნობი - როგორც დასავლურის, ასევე - აღმოსავლურს. უკვე მრავალი წელია, რაც პოეზიის საერთაშორისო ფესტივლებში, მთარგმნელობით ვორკშოპებში, დისკუსიებში ვიღებ მონაწილეობას, თავადც ჩართული ვარ საერთაშორისო ღონისძიებებში ორგანიზებაში. ასე რომ, ძალიან ახლო ურთიერთობა მაქვს როგორც ჩემს თანამემამულე, ისე სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელ პოეტებთან. პოეზიას ფორგმნი კიდეც და ვფიქრობ, ესეც ნებმარება. მაგრამ მთავარი მიზეზი ის არის, რომ ვწერ იმას, რის ნაკითხვასაც თავადვე ვისურვებდი. გარდა ამისა, მწამს პოლიფონური ხელოვნების - შენ შეავაზე ჩემი პოეტური კრედი - დიარ, მართლაც ვცდილობ „დეელია და ახლის, „მშობლიურისა“ და „უცხოის“ შეთანხმებას“.

ა. კ.: შენს პოეზიაში სექსუალობას დიდი ადგილი უჭირავს. პოლიტიკური საკითხები, სოციალური პრობლემები, ომი და გენოციდიც კი სექსუალურ პრიზმაშია გატარებული. ეს სათქმელისადმი ყურადღების მიპყრობის ეფექტური გზა თუ



იმის გამოხატულება, რომ ადამიანები ხანდახან ფიზიოლოგიურ დონეზე აღვიძებენ სამყაროსულ რყევებს?

გ. ო. თავის ნიშნში „ორმაგი ცეცხლი“ ნიქსიკელი პოეტი, კრიტიკოსი და ესეისტი ოტვიტო მასი იკვლევს საზღვარს სიყვარულს; სექსსა და ერის შორის და ეროტიკის განმარტებას, როგორც ადამიანის სექსუალურობას, რომელიც ხარმოსახეად უპირობოდება. სწორედ ეს არის ის, რაც ჩემს ინტერესს იწვევს. თავისუფლების და შემოქმედებითი, საღვთისწული, წარმოსახვითი რეალობის შექმნის ხელაღწევისმიერი გზები. გენდერული როლები, იდენტობა, სექსუალობა/ერთობისი და სხეულის პოლიტიკა არის ის სფეროები, რაც ჩემს ინტერესს იწვევს.

ჩემს ლექსებში ვცდილობ ადვილად გენდერული მიზნობრივად, უფრო უსუსტად კი ის, თუ როგორ აბრკოლებს ადამიანთა ურთიერთობებს იერარქიასა და უთანასწორობასზე დამყარებული გენდერული სტრუქტურა. სექსუალობა, როგორც სხეულის თვითდენტოფიციაციისა და სოციალური ნორმების გადაკვეთის ნერტილი, იქცა ძირითად ამბულანდად, რომელიც მამრის დომინანტობას და მდედრის დაქვემდებარებას განაპირობებს.

ხელოვნებაში სექსთა აღწერის პოლიტიკა პირდაპირ ასახავს, თუ როგორ გამოიყენება პოლიტიკური, სოციალური და კულტურული ნორმები ფემინიზმის, ქალისა თუ ჰომოსექსუალობის სხეულის განსჯისათვის. უიტივი ჩადევი აღნიშნავს, რომ: „აღდგენა 1970-იან წლებში ფემინისტმა მხატვრებმა, კრიტიკოსებმა და სტორიოთეებმა დაიწყეს იმის გამოკვლევება, რომ შეინსტრუქციული ხელოვნება ღამის მუდმივად უფლებებულად ქალს. მათ გადაადგინეს ხელოვნების მსკლდონური ფილოსოფიის ყალბი ფასეულობები, რომლებიც მამაკაცების მიერ იყო შექმნილი და რომლებიც ქალი მამაკაცის ერთ-ერთი საკუთრებად და მოხმარების საგნად გარდაქმნა.“ თანამედროვე ბოტეკი ელბანი, ჩემი ჩათვლით, თავიანთ ნაწარმოებებში ასე-ღებურ წინაარსს დებენ, ვგვიყვებ აყენებენ და ცვლიან იმ შაბლონებს, რომელთა საშუალებითაც შეინსტრუქციული კულტურის პროდუქტები ქალი არის წარმოდგენილი. თუნცადა ძალადუღება განსაზღვრისა, თუ რა არის „ადვილებული“, „მესამიშნაი“ თუ „მალაღმალტურული“. კვლავ იმ ინსტრუქციების ხელშია, რომლებსაც უმეტესწილად ნამაკაცი მართავენ. ჩვენ ცდილობთ ვიპოვოთ გამოსავალი და დავუბრუნებთ ხელოვნებისა და ისტორიის მიერ ჩამოყალიბებულ მსკლდონურ ნორმებს. სწორედ ამიტომაც იქცა სექსუალობა ჩემი პოეზიის მძლავრ აპატეტად.

ა. კ. შვეპმანნი, რომ ადამიანთა საკუთარ სახელების სიმპოლიზება შენი შემოქმედების საციფიკური მასსიათებელია. საიდი ქუთრი მამაკაცის განზოგადებული სახეა, მუსტაფა ზოგადია. შემიძლება ითქვას, რომ ინსპირაციის სხვა წყაროებს შორის (პირადი ურთიერთობები, მოგზაურობა და ა.შ.) ადამიანთა სახელებიც გივლდებენ ლექსის დაწერის სურვილს?

გ. ო. ყველა ამგვარი ლექსი თავმოყრილია ერთ-ერთ თავში ჩემი მომდევნო ნიშნისა, რომელიც შემიძენ თვეში, 2019 წლის სექტემბერში დაიბეჭდა – წინა პერიოდის ჩემს პოეზიის მსკლდონურ არაფერი ახასიათებს. მითხველი იპოვის არა შროლოდ მამაკაცთა სახელებს, როგორცაა მემქნე (თურქი ჯარისკაცების განზოგადებული სახელი), მუსტაფა, საიდი, არამედ ქალიც – გამზე, ზეინაღი. საკუთარ სახელებს მეტწილად ვიყენებ

ყვერადობაზე ორიენტირებულ ლექსებში და მათ რიტმს მესახსნელად და გახასილოებლიდ ვირჩევ. ეს საბავშვო ლექსებით ინსპირირებული და სტრიქონები მათიველს ბავშვობის დროსაა და მეტყველების ასოციაციას უღვიძებს. ისინი ზეპირმეტყველებისა და კოლექტიური მისიერების ნაწილიცაა. სწორედ ამგვარი ბავშვური ვედრანობით ვსურ იძებნე, ძალადობაზე, სოციალურ-ულტაზე, სექსუალურ თუ პოლიტიკურ დამცირებაზე – კაცობრიობის ხელო მხარზე ბავშვის საყვაროდან, რომელიც თავის ძველ არებას, მაგრამ ძალადობის, სხევის დამცირებისაკენ მიწნარების ნიშნებსაც ამტკიცებს. პოეზიის დახმარებითაა ენის საზღვრებს არ სცნობდეს, თანამის მნიშვნელობებით და ლექსის მეტი აბსტრაქტულობა შესძინოს. მაგრამ ამავედროულად, როდესაც საკუთარ სახელს ურთავს ლექსში, აბსტრაქტულ, მეტაფორულ ლექსს უფრო კონკრეტულს ხდი, ლექსს უფრო უახლოვებ მითხველს. ვახსენებ ედგარ ალან პოს „ახანბელ ლი“ – წარმოადგინე, რამდენი მეტონიმული აიგივებს თავს ანახელ ლისთან, როდესაც ამ ლექსს კითხვობს. ერთი ჩემი მითხველი, რომელსაც პოეზიის საღამოზე შეხვედნი, მიხედავს ახლოვდა და მითხრა: „ამაღლობთ, რომ ჩემზე ლექსი დაწერილი ეს ლექსი („მემეტზეა“ საუბარი) ჩემზეა!“ რაკილა მემქნე იქცა.

ა. კ. გარდა იმისა, რომ პოეტი ხარ, პერფორმერის ნიჭიც გაქვს. როდესაც უცნობი აუდიტორიის წინაშე ლექსს კითხვობ, როგორ გრძნობ თავს? აკვირდები მსმენელთა რეაქციას თუ თავდაჯერებული ხარ?

გ. ო. შექებისთვის გმადლობ. რასაკვირველია, პროფესიონალ პერფორმერს ვერ ვუწოდებ საკუთარ თავს, მაგრამ მიყვარს სცენაზე დგომა და მიყურებულების ყურადღე ჩემი მიხედილ მემდებლით ლექსის, სიმღერის ანდა საბავშვო კულტების მიწვდენა, მიყვარს, როდესაც მუსიკოსებთან ერთად ვასრულებ რამე გამსაკუთრებულს. ვგიჟდები იმ მულეარებისა და აღფრთოვანების შეგრძობაზე, რომლებსაც საკუთარი ლექსების სცენაზე კითხვის დროს ვაწვივდი. მიყვარს ადამიანებზე დაკვირვება და ხშირად მიწოდებ მას მერე ვწყვეტ, რომელი ლექსი ნავიციობ, რაც აუდიტორიას გადავავლებ თვალს და ადგილია ატმოსფეროსა თუ ჩემ წინ მსხლმომ ადამიანებთა განცრობას შევიგრძნობ. უმეტესწილად ძალიან ბედნიერი ვარ, როდესაც მსმენელთა რეაქციას ვხედავ – როდესაც ჩაიტირებენ, ანდა ახარხარდებიან. ეს მხიარულება, სიცოლი ძალიან მრავალბოთმეული, პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან რევოლუციურია. პოეტს შეუძლია რევოლუცი-

ურად გარდაქმნას მკითხველი – თუკი ლექსის კითხვის დროს მან ჩაიტანა, ეს ნიშნავს, რომ ლექსმა ნამდვილად იმეორებდა მასზე და მის გარშემოებს შეეხო. როდესაც აუდიტორიას ამგვარ რეაქციას ვაჩვენებ, ჩემს პოეზიის საღამოს წარმატებულად ვთვლი.

**ა. კ. მომიწევნა, რომ როდესაც თბილისის საერთაშორისო ლიტერატურულ ფესტივალზე შენი ლექსების ქართულ თარგმანებს ვკითხულობდი, ძალიან დღვალად – ალბათ უცნაური შეგარგნება, როცა უცხო ადამიანი წარადგინებ შენს ლექსებს, რომლებიც უკვე ბოლომდე აღარცაა შენი. რა არის ის ერთი, რაც ყველაზე მეტად გინდა, რომ შენი პოეზიის მთარგმნელებმა შეინარჩუნონ?**

**გ. ო. არა, არ ვეღვალავი – წარწოდებნაც კი არ მინდა ამ თარგმანების შესახებ, რადგან სამწუხაროდ, ქართულ ასოებს ვერც კი ვცნობ. თარგმანსა და თარგმანმცოდნეობას ჩემს აკადემიურ კარიერაში თავისა ადგილი ატებს, ჩემი კვლევის ერთ-ერთი სფეროა. რამდენიმე უზენესიტეტში ვკითხულობდი ლექციებს თარგმანმცოდნეობაზე და ძირითადად ვიკვლევდი იმას, თუ რამდენად რადიკალური (ვფიქროვებთ) გამოხვევა შეუძლია თარგმანს. ამდენად ვიცი, რომ ლექსის თარგმნა ერთი ენიდან მეორეზე მხოლოდ კონკრეტული სიტყვების შესაბამისობით შეუძლია არაა. ის მოითხოვს კულტურის, ისტორიის, პოლიტიკის, ფართის და კონტექსტის ცოდნას. ვინ თარგმნის და ვის ტექსტს თარგმნიან ასევე ძალიან მნიშვნელოვანია. თარგმნა პოლიტიკური ქმედებაა. ლექსის თარგმნა პოლიტიკურ განზომილებაში ხდება. თარგმანის პოლიტიკაზე ზემოქმედების ახდენს კულტურული წინასწარგანწყობა, ერთგვარი ცენზურა, რომელსაც განაპირობებს ქვეყნის, ფესტივალის, გამომცემლობის, უწრწინაოსა თუ თავად მთარგმნელის თავისებური მახასიათებლები. პოეტური თარგმანის ამოცანა სამიზე მეტეტეტის მინარსობრივი შრის ინტერპრტირებაა, შემდეგ ეს ინტერპრტირება უდემონსტრირება უნდა ვადმოიცვას სამიზე უნაზე და ამისთანად, შეიცვალს ლექსი, რომელსაც მკითხველი საამოვნებით წაიკითხავს, როგორც თანამედროვედ ლიტერატურულ ტექსტს. ეს ყველაფერი სინამდვილეში ძალიან ძნელი შესარქველებელია. პოეტურ თარგმანს ბევრი სორთული ახლავს. თუკი მთარგმნელს აქვს საშუალება, რომ პოეტთან ერთად იმუშაოს, უმეტესად, შესანიშნავ შედეგს იღებენ. ვინაიდან მთარგმნელი ტექსტიდან გადახვევას თავიდან ვერ აორიღებს, თუ რას მიახლოს უპირატესობა, ეს მის თავსატეხად იქცევა ხოლმე.**

რასაკერძეულია, არ უნდა დაეიყნო, რომ თარგმანს ძირითადი დანიშნულება კულტურათმშობრისი კომუნიკაციაა. მთარგმნელი თარგმანს უნდა გრძობდეს ქართულს ქართულსა. თუ ასე არ მოხდა, შეიძლება, მისამეცნიერულ სტრუქტურულ შედეგს მოიტანოს. პოეზიის მთარგმნელი ძალიან კარგად უნდა ერკვეოდეს კულტუროლოგიურ განსხვავებებში, არ უნდა ანიჭებდეს უზირავტესობას რომელიმე კულტურას და კრიტიკულად უნდა უდავებოდეს ტექსტს, რადგან თარგმნა იგივე წიგნის ნაკითხვაა. გაიატრი სპირაკი თავის წიგნში „თარგმანის პოლიტიკა“ ანტიკურს, რომ თარგმნა კითხვის ყველაზე ინტიმური სახეობაა. როდესაც ვთარგმნი, მე ტექსტს ვხედავ. პოპულაროლოგიის სფეროშია მიხედვით, უფრო ძლიერ ერებს თარგმანის მეშვეობით შეუძლიათ ენითა და კულტურით მანიპულირება დაზავრულ ქვეყნებზე. სპირაკის თქმით, ამგვარ სიტუაციაში თარგმანი პოლიტიკურ ძალაუფლებას იძენს და საუბედურად, თარგმანის პოლიტიკა იმართება ინგლისური და სხვა „შეგებონი“ ნების მიერ. ეს ნების, როგორც წესი, ცოცხალი კოლონიზატორებს ეკუთვნის. პოპულაროლოგიურ კონტექსტში თარგმანი გააზრებულია გამოიყენება პოლიტიკური მიზნებისთვის, რომელთა შორისაა დასავლურის და, უფრო ზოგადად, შეგებონიური იდეების და კულტურების თავს მოხვევა ფინანსურად დამოკიდებულ, კოლონიზებულ ქვეყნებზე. თუ ამას ვდენდრის პოლიტიკის თვალსაზრისით შეივადვით, ძალაუფლების მქონე სხვის შეუძლია ნაკლებად პროვოცირებულ სქესის, ანუ მდევრობითი სქესის მანიპულირება ენის მეშვეობით. სპირაკის თანახმად, მთარგმნელმა უნდა შეეძლოს „ტექსტის სიყვარულისა და სისხელოვის“ სიტყვა, რათა არ დაკარგოს სამიზე მეტეტეტ გამოიყენებულ მეტაფორები და სხვა უარგონად მნიშვნელოვანი ინფორმაცია. ანუ მთარგმნელის მთავარი ამოცანაა გამარტოვოს სასიყვარულო ურთიერთობა ირიგინალსა და მის აწრდებს (თარგმნის) შორის. მე მას ვთვანბმებ, ჩემი აზრით, ესა იგივე იდენტობაა და თარგმანი გეხმარება გლობალური აღქმის პრიზმაში გაეგარტოვო სხვადასხვა იდენტობა. ადამიანს შეუძლია გაიფართოოს საზღვრები თარგმანის მეშვეობით, რადგან მისი ნყალობით გარედან ბედებს საკუთარ იდენტობას. თარგმანი გეხმარება სხვის არსს საკუთარივე ჩაეხვეთ. ამგვარად, მე დიდ პატივს ვცემ მთარგმნელებს. მათ ვარებ ჩემი სათქმული ვერ გაუღვრებოდა. ასე რომ, მადლობა შენ, ანი, როგორც ჩემი ლექსების თარგმნის, ისე – ამ ინტერპრტირებას.

**ა. კ. პოეტის გარდა, შენ რედაქტორიც ხარ. როგორ ლიტერატურა გამოსცემ ყველაზე დიდი სამომავლო? როგორი ლიტერატურა მოსწონს გონებებს?**

**გ. ო. დაბს, უკვე ძალიან დიდი ხანია, რაც სხვადასხვა ფერნალის სარედაქციო კოლეჯის წევრი ვარ და ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი საქმიანობაა. მიყვარს იმ ტექსტების დაბეჭდვა, რომლებიც სრულად ახლებური, მოკისმიტვერელია და ათასნარი კითხვის ახლავს. თუკი კითხვების დასას იწყებ, ეს იმას ნიშნავს, რომ ტექსტმა უწინარი მესამე თვლი აგებოდა და ის უნდა დაიხვედოს. მაგრამ ნამდვილ წარმატებას კი, რასაკერძეულია, ენის ფლობა განაპირობებს. სიტყვები, სიტყვები... ეს არის ერთადერთი, რაც პოეტებსა და მწერლებს გეგეაწინაა! როგორც ვიტყვნიტყვით აღნიშნავა: „ჩემი ენის საზღვრები ჩემი სამყაროს საზღვრებია“.**



საიდი ამბობს – რევოლუცია. მე თმა კეფაზე მაქვს ახვეული.  
 საიდა და მე პირები გვაქვს ნახევრადლია. ბგერებს ვისრუტავთ და ბგერებს გავცემთ.  
 გულწრფელად გვჯერა სუმირასი. მე თმა კუდივით მაქვს გამოსკვნილი.

თუ ვინმე მხარზე მიცქუდება, საიდი გვერდზე არასდროს გასწევს. მიეფერება „ჩემო ბეკეა“.  
 თუ ვინმე მხარზე მომეყუდება, მე არასოდეს ვინწევი გვერდზე.  
 Jar ű Evin. Jar ű Evin.

ნეტავ შემეძლოს ვიპოვო წყალი. ვიპოვო წყალი, რომ დავიბანო,  
 ეს თმა ასეთი გადატყეპნილი. ასეთი მრუმე. ასე სათუთი.

მეფერებიან „ჩემო ბეკეა“. მეც ვეფერები „ჩემო ბეკეა.“

როდესაც ვინმე მიუბნება, თავს შეგნირავო, შიშით ვკანკალბობ.  
 როდესაც შიშს ვგრძნობ, მთელ ჩემს ტანში ზარები რეკენ.  
 როდესაც შიშს ვგრძნობ, წყვილდებიან ბლავილით თხები.

საიდი ამბობს გენოციდიო. მე თმა კუდივით მაქვს გამოსკვნილი.  
 საიდა და მე პირები გვაქვს ნახევრადლია. სიკვდილს ვისრუტავთ და სიკვდილს გავცემთ.  
 გულწრფელად გვჯერა სულეიმანის. მე თმა კუდივით მაქვს გამოსკვნილი.

ნეტავ შემეძლოს ვიპოვო ცაცი, ვიპოვო ცაცი, რომ უორგულეებს  
 ჩემს თმას სულ ასე კუდად გამოსკვნილს, ასეთ უენოს, ასე სხივამქერალს.

## სპილენძის სათლი

ყველა შორს ცხოვრობდა, მე კი ყვირილით მოუხსმობდი,  
 ჩემამდე ყველას ჰყავდა სხვა ქალი,

მე ვიყავი ჯოუტი, ტლანქი სპილენძის სათლი, აქეთ-იქით ვეხეტებოდი,  
 მოუხეშავი ვჩანდი სხვების სილალის ფონზე.

თქვენ, ვინ ჩემში ქარებად აღიძარით,  
 თქვენ, ვინც ცის გონებაშ გარდმოგავლინათ,  
 ის, რაც თქვენგან უნდა მიმელო, გადავისურვე.

თუ გინდათ, თქვით, რომ ხის ფულუროებში დაცეხებებოდი,  
 ყველა ბურქთან ბედი სულ უფრო მიმავდებოდა,

როგორ არ ვცაფე, მაგრამ მაინც ვერ მივაგენი სასწაულს,  
 თქვენ რომ ყოველდღე ზედავთ,  
 ჩემ გარდა, ყველა სრულყოფილია.

გიყურებთ, როგორც ბავშვი, რომელმაც წაიბორძიკა,  
 სამყარო საფლობი ტალახია,  
 ვერ ავფრინდი, ვერ ავფრინდი.

სებასტიან რა შემიძლია გითხრა იმ თოვლზე ამ მთების კალთებს რომ შეზღვევნია შენ არ იღვიძებ ყოველ დილით ძვლებდამსხვრეული როცა განძრევის ძალაც აღარ შენ ვერასოდეს იმზობიარებ ჰოდა არც იცი რას ნიშნავს როცა შუაზე სკდები როგორც საზამთრო ამ ბრონეულში შენ ვერ შეიცნობ ამ ჯადოსნობას როცა ბარგს კრეფ და ეზიზნები საკუთარ მუცელს რომ ნამსხვრეცებად ჩამოიშალო.

სებასტიან იყო დრო ჩემში მობინადრე წითელი მხეცი განუწყვეტელი ყმუოდა ღამით ორივეს გამო ორივეს გამო ორივეს გამო თუკი ორივეს ერთი კაცი შეგვიყვარდება ვარდი იხარებს ამ სიყვარულზე მოდი მოვახტეთ ლურჯ ავტობუსებს ნაივით სადმე და გაგილალოთ მოდი ეუსმინით ტკივილის ჰანგებს მოდი მათ ნაყოფს გაუღოთ გემო „სუთო ოდესმე დაინახავს სატრფოს თვალზე როგორ უმნეოდ ვასკდები კედლებს“

ერთხელ მიყვარდა ერთი მარტორქა ერთხელ ვიგრძენი რომ მიყურებდა ერთხელაც წელში გუნდა გამეჩრა ერთხელ მის გამო ცეცხლი მეკიდა ერთხელ გავეშუდი

სებასტიან შენზე რას მეტყვი – შედეგისხარ ოდესმე შენს გულს?

## მუსტაფა

ფორთოხალს კანი გავაცალე, მუსტაფა,  
ჩემს სანოლთან მიგიჩინე ბინა.

შეხედე, ეს სანოლი სამარცხავით ვიწროა,  
ციცაბოა უფსკრულივით, რომელშიც აღმოვიჩნდი.

„მეფივე ხმალი, თხელი სისხლი, ნაზი სიკვდილი“ –  
ეს წყევლა თავად გამოვიგონე.

პარამ-პარამ-პა ყველა კაცში ერთი ქალია,  
შავთვალეზაა ის, ვინც ჩემში დაგვლავს ახლა,  
ისიც, მუსტაფა, ჩემს სახელს რომ აღარ ახსენებს.

თუ ეგონებათ, რომ ეს ლექსიც სიყვარულზეა, დაე, ეგონოთ,  
ფართობ მათი ქოლგის კალთები,  
არასოდეს დასველდებიან

ეს ცეპი უნდა ჩამოიქცნენ, უნდა დაგვემზონ,  
ადამიანთა უფსკრულზე მათი უფსკერიობა  
გრილად შემინახე, მუსტაფა,  
გრილად შემინახე,  
სიცოცხლეშია სამყაროს არსი,  
რომელიც შეილებს შორს დარჩენილ სახლში აბრუნებს.

## თუთიანი

წამომყვე თუთიანში  
შორს მოკვდათა სამყოფლისგან

იქ გასწავლი მდუნარებას  
ხეთა დარდის ყურისგდებას

იქ გაკოცებ დამნუხრებულს  
სადაც მინას მწუხრი ფარავს

გადმოლაზე ეგ მინდორი  
წამომყვე თუთიანში  
ბალახებში

გაგაგონებ ქარიშხლის ხმას  
და ქარიშხლის ღმერთის გრგვინვას

და დიდი ხნის მერეც ისევ  
ამ წყაროსთან ჩამოვგვდები  
შენს ლოდინში

გადმოლაზე ეგ მინდორი  
მოდი უფრო ახლოს მოდი  
გამომყვე თუთის სურნელს

მე გაჩვენებ ქიანჭველებს.

## შენი ხალაგი სასტიკი იყო

სწორედ აქ მედო შენი ტუჩები  
სწორედ აქ, შენი ცივი ტუჩები

ამდენი წყლის შროშანას  
ამდენი მოკირწყლული ქუჩის  
ამდენი შავფრთება გედის მიუხედავად  
უხვდებოდი მთელი დედამინის არარაობას

ამდენი ფიჭვის ტყის  
ამდენი დამტვრეული ბილიკის  
მთელი ამ ყოვლისმომცველი სიმწვანის მიუხედავად  
ვხვდავდი მხოლოდ სულ სხვა მხარეს საღამოხანის  
შენი სხეულის იდუმალ ენას

სწორედ აქ, ცხედრად გადაქცეულმა  
შენ დამტყერილი ყვაილი დადე  
ბავშვის საფლაგზე ჩემს კანში რომ ამოითბარა

ვისყვარულობდით მოტიტვლებულ ქვის სახურავზე  
ოფლში ცურავდი და სასტიკი ხელები უკონდა.



### ცხვირსასწონი

ერთხელ ზად ყურძინად ვიქეცი შენთვის  
 წვნიანად, ტკბილი მარცვლებით საცხედ,

რაკი სამყაროს მკლავები ვერ შემოვანდინე  
 მოცტრიალდი და შევიცვარე ჩემი სირცხვილი

ვიდრე შენ ლამეს მიმსუბუქებდი  
 მე ვგავდი ჰიჯაკს, უთო რომ არ მიჰკარებია.

ყლორტებს ვიყრიდი და ნაყოფით ვიხუნძლებოდი  
 ბოლოსა და ბოლოს, შენს სხეულში ამოვიზარდე.

ერთხელაც შენთვის ძილის სუნი დამფარფატებდა  
 ვიქეცი იმად, ვინც ყოველთვის გავირყვდებოდა  
 სამყარო იყო მეგობარი, ერთი ჩვენგანი.  
 შენ კი წელშიც არ მოიხარე, რომ შეგეძმნია.

ერთი დრო არვის შერჩება ხოლმე  
 შენ აცრემლდი და ჩამოგინძმინდეს

მე ცხვირსახოცად გადავიქეცი  
 კუთხეში მანდა შენი ვენზელი.

თარგმნა ანი კობალიანმა





## დავით ჩიხლაძე

### ამოსავლეთის ტაძარი

ადრე ყველა ძველ ტაძარს ჰქონდა საკუთარი აბანო. შემდეგ წავედით სოფელ არადეთში, ქარელის რაიონია, ცოტა შორსაა, 100კმ თბილისიდან. ვნახეთ მარტო მინდვრები, თუმცა გზაზე ხალხი ამბობდა, იქით არისო.

ვერაფერი ვიპოვეთ, მხოლოდ მინდვრები იყო, ძროხები და მათთან ერთად პატარა ძაღლი.

შემდეგ ერთი გლეხი კაცი ჩავვიჯდა მანქანაში, ყოველდღე იქ მივდივართ პურის საქმელადო.

გამიკვირდა, იქ რატომ ჭამენ პურს, იმ ცარიელ ადგილას, თუმცა, ლამაზი ადგილია.

მივედით, ისეე მინდვრები, სხვა არაფერი. ერთი გატყეხილი ქვევრი იდო და რაღაც ქვა.

აი, ეს არის, აქ მოვდივართ ხოლმე საქმელადო. ტაძრები სად არის მეთქი და აღარ არის, ადრე იყოო.

ამ გლეხი კაცის ამხანაგებმა ჭაობში პატარა თევზები დაიჭირეს, შეწვეს, თქვენც მოდითო, გეპატიჟებდნენ. არ გაეჩურდით და წამოვედით. ვერ მოვისვენე, გზაში ქალები შეგეხვდნენ, იმათაც ვკითხე.

მაშინ სკოლაში დავდიოდი და ძალიან ადრე იყო ეგო. ტაძარი სად არის მეთქი?

ისეე მინამ დაფარა, არავინ მიაქციაო ჟურადლება. აი, ასეთი მოულოდნელობა დაგვატყდა თავს. ცეცხლის კვალი ჩანდა, ეტყობა – საკურთხევლის. გარეთ პატარა ეზო იყო.



როცა ქუჩაში მოვდივარ და ვხედავ, რომ მორბის 11-12 წლის გოგონა, ის კი არ მორბის, აუცილებლად მოხტის.

როცა ვინმე ცდილობს, ვთქვათ, შეცვალოს ცეკვა შაბათით, ეს დაუსჯელად არ ჩაუვლის. შაბათობა უნდა მოვანყოთ ერთი საათით, ცეკვა კი ორი საათით.

ბევრ ქარხანაში ვყოფილვარ და ჩემთვის ახალგაზრდობას შემოუჩივლია: «ცეკვას გვიკრძალებენ. ახლა არ შინდა ცეკვა, მაგრამ ხანდახან მაინც...»

როცა ქუჩაში მოვდივარ და ვხედავ, რომ მორბის 11-12 წლის გოგონა, ის კი არ მორბის, აუცილებლად მოხტის.

განჩნდა საცუდეურები, რომ ჩენი ახალგაზრდობა უფრო თავშეუკაცებელია სქესობრივი თვალსაზრისით, ვიდრე ეს წინათ იყო. მართლაც, თუ ახალგაზრდობა მეტწილად საიმოგენებას შილოდ სქესობრივ ურთიერთობებში ეძებს, ეს ნიშნავს, რომ ახალგაზრდობას მეტისმეტად ვლლით, ეს ნიშნავს, რომ იგი უკვე დაიღალა, რომ გონებრივი გადაღლა აიძულებს მას, დაისვენოს გონების მუმოაობისგან.

როცა ქუჩაში მოვდივარ და ვხედავ, რომ მორბის 11-12 წლის გოგონა, ის კი არ მორბის, აუცილებლად მოხტის.

თითქოს შეიძლებოდეს ათჯერ შეერთო ცოლი და ათჯერ მიატოუო. კიდევ არა უშავს რა, თუ ხდება ასე: «დავმორდიო, როგორც ზღვაში ხომალდი». მაგრამ ცხოვრებაში ასე არ ხდება. ერთი მიდის, მეორე კი – იტანჯება... როცა კაცი ფერობს: «დღეს შევირთავ, ხვალ გავყვრები», ამას ეწოდება წერილბურჟუაზიული ინდივიდუალიზმი.

როცა ქუჩაში მოვდივარ და ვხედავ, რომ მორბის 11-12 წლის გოგონა, ის კი არ მორბის, აუცილებლად მოხტის.

რას ნიშნავს იყო შემოქმედი? რა განსხვავება ხელოსანსა და შემოქმედს შორის? ისეთივე, როგორც მხატვარსა და უბრალო ფერმწერს შორის. აიღეთ, მაგალითად, ეს დახატული ხატები. ყველა ერთმანეთს შავს, ვერც ერთ ხატზე ვერ ნახავთ ცოცხალ სახეა...

როცა ქუჩაში მოვდივარ და ვხედავ, რომ მორბის 11-12 წლის გოგონა, ის კი არ მორბის, აუცილებლად მოხტის.

**რომელი ღაპლი?**

**შოთა იათაშვილს**

თუ მე ვფიქრობ, რომელი დაგლიო: «ბორჯომი» თუ «საირმე», როცა ვიცი, რომ «ბორჯომი» მიყვარს, მაგრამ არ მიხდება, ხოლო «საირმე» მიხდება, მაგრამ არ მიყვარს, ასეთ შემთხვევაში თავისთავად იგულისხმება, რომ ჩემს ხელთაა როგორც «ბორჯომი», ისე «საირმე».

თუ მე ერთ-ერთი არა მაქვს, არჩევანიც გამოიციხულობა.

მამასადამე, უნდა არსებობდეს მოქმედების თავისუფლება, რომ ვილაპარაკოთ არჩევანის თავისუფლებაზე.



მაგრამ სადაც არაა მოქმედების თავისუფლება, იქ არჩევანის თავისუფლება კი არ ირღვევა, არამედ არჩევანი კარგავს ყოველგვარ აზრს.

როგორი იქნებოდა არჩევანი, მოტივები ერთნაირი ძალის რომ იყვნენ? ლოგიკურად თუ იმპულსურად ვიმსჯელებთ, არჩევანი შეუძლებელია.

არჩევანის თავისუფლებას ხელს უშლის მოდერების დროის უქონლობაც.

არჩევანის თავისუფლებას ბევრად უშლის ხელს მოულოდნელი და ძლიერი აღგზნებები, აფექტები.

ვეკითხები საკუთარ თავს, ხშირად სხვებსაც, თუ რატომ არსებობს ადამიანი, რა მიზანი აქვს მის ცხოვრებას, რა ამოძრავებს კაცობრიობას, რა უასი აქვს სიცოცხლეს და ა. შ და ა. შ.

ადამიანის შინაგანი, სუბიექტური სამყაროს შესწავლის ერთადერთი საშუალებაა მისი პრაქტიკული მოქმედება. ადამიანის სინდისის სფერო არ არის ისეთი შეუვლი და კარნაქელი ციხე-სიმაგრე, როგორც ეს შეიძლება ერთი შეხედვით გვეჩვენოს. ადამიანის საქმეები, მისი სისტემატური და მეთოდური მოქმედების სურათი საკპარსია იმისათვის, რომ მივხედეთ მისი სინდისის შინაგან მდგომარეობას.

ლაპარაკია ცხოველზე, იარაღის მკეთებელ ცხოველზე, ე. ი. ადამიანი უპირველეს ყოვლისა ცხოველია და, კერძოდ, ისეთი ცხოველი, რომელიც განსხვავებით სხვა ცხოველებისაგან იარაღს – და მის უმაღლეს ფორმას, ენას – აკეთებს.

მართალია სუბიექტს წყლის დაღვეა უნდა, და ერთგვარი ყოყმანის შემდეგ იგი სვამს კიდევ წყალს. მაგრამ, ნამდვილად, წყლის სმის აქტს მისი წყურვილი კი არ იწვევს, როგორც მხოლოდ წყურვილი; არა, იგი მხოლოდ მას შემდეგ მიმართავს ამ აქტს – სვამს წყალს – როცა აგონდება, რომ მინერალური წყალი სასარგებლოა. რომ ეს არა, წყურვილი წყურვილად დარჩებოდა, და სუბიექტი წყალზე უარს იტყვიდა. ასე რომ, საქმე ის კი არაა, დაღვეს სუბიექტი წყალს თუ არა, როდესაც მას სწყურია, არამედ საქმე ისაა, თუ რით არის ეს აქტი გამოწვეული.

რისთვის არსებობს ადამიანი, რისთვის იბრძვის, რისთვის შრომობს, რა აზრი აქვს მის ცხოვრებას და მოღვაწეობას? რა არის ბედნიერება? რაში მდგომარეობს ბედნიერება?

ბედნიერება სიამოვნებასა და ნეტარებაში მდგომარეობს. რა იწვევს სიამოვნებასა და ნეტარებას? ადამიანის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. ადამიანი ცოცხალი არსებაა. მას უპირველეს ყოვლისა ესაჭიროება კვება.

ადამიანს აქვს გემოვნების გრძნობა, ესთეტიკური, ემოციური დატკობის მოთხოვნილება, რაც ორგანიულად უკავშირდება მის ყოველგვარ ბიოლოგიურ მოთხოვნილებებს. განსაკუთრებით მჭიდროა გემოვნების კავშირი ისეთ სასიცოცხლო ბიოლოგიურ მოთხოვნილებასთან, როგორცაა სქესობრივი ცხოვრებისა და გამრავლების მოთხოვნილება.

აქ ლაპარაკია არა იმაზე, რომ ყველა თავისი გემოვნებით ქორწინდება, არამედ მხოლოდ იმაზე, რომ მოწონების საწყისი საფუძველი გემოვნების მიზნობრივი დაკმაყოფილება მანაც უნდა იყოს, იმ გემოვნების, რომელიც აქვს სუბიექტს მოწონების აქტის მომენტში და არა ადრე ან გვიან. მაგრამ აქ ცალმხრივი არჩევა არაფერს არ ნიშნავს. მთავარია მეთრე მხარეზე აირჩიოს.



სქესობრივი ცხოვრების შიშველი ბიოლოგიური მისწრაფება არასოდეს არაა თვითკმარის საფუძველი. იგი მოთხოვნილებას განაპირობებს და არა არჩევანის კონკრეტულობას. არჩევანს უნდა განსაზღვრავდეს გემოვნების ფაქტორი, თუ არჩევანი თავისუფალია და იგი განსაზღვრული არაა ეკონომიური, მორალური, რელიგიური და პოლიტიკური ფაქტორებით.

ესთეტიკური, ემოციონალური მოთხოვნილება იმდენად ძლიერი და ინტენსიურია, რომ ადამიანი არ კმაყოფილდება სასმელ-საჭმელის, ტანსაცმლის, ბინის, საპირისპირო სქესის და გარემომცველი ბუნების მშვენიერებით და ჰუმანის ხელოვნურ მშვენიერებას, ხელოვნურ სილამაზეს – მუსიკის, ცეკვის, მხატვრობის, მწერლობის, სანახაობისა და სხვათა საბით.

ადამიანს შეიძლება ჰქონდეს რწმენის მოთხოვნილება, ყოველივე იმის რწმენის, რაც განუხორციელებელი იდეალია, მაგალითად, სულის უკვდავება და საიქიო ცხოვრება.

საყოველთაო, მთარული მნიშვნელობით, ბედნიერებად მიიჩნევა სიამოვნებისა და ნეტარების უმაღლესი ინტენსიობა, მაქსიმალური სიამოვნებისა და ნეტარების მდგომარეობა.

მეტაფიზიკური გონებისათვის, ცბადა, ძნელი მოსანელებელია განსხვავებულთა და დაპირისპირებულთა ერთიანობისა და იგივეობის კანონზომიერება.

როცა ვეძებო, რომელი დავლიო: „პორჯომი“ თუ „საირმე“, როცა ვიცი, რომ „პორჯომი“ მიყვარს, მაგრამ არ მიხდება, ხოლო „საირმე“ მიხდება, მაგრამ არ მიყვარს, როგორი იქნებოდა არჩევანი, მოტივები ერთნაირი ძალის რომ იყვნენ?

**კონდიციონერი**

გადართვა, საჭირო დაფიქსირება ტემპერატურის რეჟიმი, რათა ხელი შეუწყოს კეთილდღეობას და დასვენებას თქვენს სახლში. შეხედე, თუ სად დგას იგი. დაინახო კონდიციონერი. გააკონტროლო სიტუაცია, რომელიც ხდება სახიფათოდ ფეთქებადი. ნებისმიერი პრობლემა კონდიციონერის მუშაობაში, განადგურებული, გატყევილი კონდიციონერი – ეს არის პრობლემების ნიშანი, კინკლაობების, დაბრკოლებების საქმეებში.

**ბალანსა**

გიმნასტი გინეკოლოგია  
მბრუნავი  
მბრუნავი კუნთი

ბრუნვა ნრძში  
მბრუნავი კარი

მორევი ვიბრაციული აბაზანა  
ნაწილი განაყოფი გაყოფილი  
კანტონებად მიეცი  
ჩანაწერი სოფელი დასახლება

კოლონია სააღყო პარკი  
მშვენიერი ხედი რომელიც უნდა გაიხრწნას

გაუმართაობა შეფერხება  
მბრუნავი  
სპირალზე ბრუნვა  
პროპელერი ქაფურით გაუღენთილი.

## რადიოკაბიულნი ნარჩანები...

რა ენართება ლექსის იდეას,  
 წამით რომ გაკრთა?  
 რა ენართება სიტყვებს, წინადადებებს,  
 რომლებსაც ან არ გამოვიდა ლექსი?  
 თითქოს შექმნილი აზრის მონიშვნა –  
 სწრაფად ჩაწერე უბის წიგნაკში,  
 მერე მშვიდად დაამატე სხვა ბევრი სიტყვა,  
 ბევრჯერ გადაე და დაუბრუნდი,  
 მაგრამ ვერაფრით მიეცი ძალა,  
 ვერ გააცოცხლე,  
 არ გადაიქცა ტექსტი ტექსტურად!  
 არადა, თითქოს ნამდვილი პოეზია იყო  
 დელფინების გამოჩენა ნაპირთან ახლოს,  
 სადღაც ტიტუტების გასწვრივ,  
 როცა დაგვანახეს შავი ზურგები,  
 იალქნებით კოხტა ფარფლები,  
 გამოაფხიზლეს მოთენთილი ზღვის სანაპირო,  
 ემოციის ტალღა დაგვატყუეს ადამიანებს,  
 გაახარეს ბავშვები და ქალები,  
 კაცებს დელფინებზე ლაპარაკის მიზეზი მოგვეცეს,  
 რომ ინტელექტით ტოლს არ გვიადვენ...  
 მერე შეარხიეს ის თავიანთი ფარულ-იალქნები,  
 რკალებად გაკრთინეს ხელის ზედაპირზე  
 და ცურვა-ფრენით კვლავ მიაშურეს ღია ზღვის სიღრმეს,  
 ადამიანებს დაგვიტოვეს ის სიხარული  
 ზღვისკენ ყურებას რომ ახლავს მუდამ...

ასევე თითქოს პოეზია იყო ნამდვილი  
 ზამთარში,  
 როცა ბუნებიდან გამქრალია მყვირალა ფერები,  
 როცა „ლურჯი ცა“ შირობითად თუ არის ლურჯი,  
 როცა მზე მთვარეს ევიბრუნება სუსტი ნათებით, –  
 ინდუსი ბიჭის ამოსვლა ჩვენს მარშუტკაში,  
 მალაღისა და ძალიან თხელის,  
 თავზე დადგმული მზესავით ჩაღმით  
 რომელსაც ჰქვია თურმე „დასტარი“.  
 ეცვა ფერადად:  
 ნითელი შარფი, მწვანე ქურთუკი, თეთრი შარვალი  
 და ასე ჭრელი ჩაჯდა ჩვენ შორის,  
 მიგვიჩივებდა წაე ქურთუკებში გახეულლები,  
 ქურთუკისფერი ფიჭობიდან გამოგვარკვია,  
 თითქოს გაგვათბო ჩვენს ცივ ფიჭობში შეკეტილები,  
 ბიჭმა, რომელიც ჩაღმით მგავდა ყვითელ ზაფრანას.  
 მან გვაზიარა სამხრეთულ სიტყვას პირქუშ ამინდში  
 და მოგვიტანა ინდოეთის მწველი ზაფხული –

კიპლინგისა და თავორის სამყარო,  
გული გაგვითბო შუა ზამთარში...

თითქოს პოეზია იყო ნამდვილი,  
მანანალების ცხოვრება სასაფლაოზე,  
სადაც მიწურში, ღობის ახლოს, თითქმის კიდებზე,  
მკვდრების გვერდიგვერდ, უშნო ქოხმასხი:  
ქვები ეხურათ მიცვალებულებს,  
ცოცხლებს – თუნუქის ფურცლები და ტოლის ნახევი,  
ცხოვრობდნენ ასე, ვერ ტოვებდნენ ძველ სასაფლაოს,  
როგორც მკვდრები ვერ ტოვებენ ღრმა სამაროვნებს.  
დარაჯმა მითხრა:  
ასე იქნება, ვიდრე პირში სული ედგებათ,  
აქ დარჩებიან, იცხოვრებენ – სასაფლაოზე,  
მაგრამ როგორც კი ფერს იცვლიან, წაელენ იმქვეყნად  
სასაფლაოზე მათ არაფერს არ გააჩერებთ,  
ძველ სასაფლაოს ვერ შეავსებს ქოხმასხის ხალხი,  
აქ სულ სხვა ხალხი დასაფლავდება...

ასევე თითქოს პოეზია იყო ნამდვილი  
მერცხლების ძირს დაცემული სველი ბუდეები,  
გაბმული კივილი უბედური წყვილების,  
მინის გროვებს რომ დასტიროდნენ სასონარკვეთით,  
მერე იწყებდნენ ისევ შენებას ტალახითა და ხმელი ბალახით,  
მაგრამ ეს შრომაც მთავრდებოდა ძირს დანარცხებით,  
რადგან ვილაც ბრძენს აივნის ქვრზე  
ხე შეეცვალა თურმე პლასტმასით,  
და ეს პლასტმასი – უფორებო, გლუვი, სლიპინა  
ველარ იჭერდა სველი ტალახით ნაშენ ბუდეებს.  
პროგრესის გამო, ქიმიის და ფიზიკის გამო,  
ვერ იშენებდნენ მერცხლები ბუდეს,  
ვერ დებდნენ კვერცხებს,  
ბარტყებს ვერ ჩეკდნენ,  
და გაზაფხულის მომყვან ფრინველებს  
უსაშველო ამბავი სჭირდათ...

თითქოს პოეზია იყო ეს ყველაფერი,  
თითქოს შევძელი წამის მონიშვნა –  
სწრაფად ჩაეწერე,  
მერე მშვიდად დავამატე სხვა ბევრი სიტყვა,  
ბევრჯერ გადავდე და დაუბრუნდი,  
მაგრამ ვერაფრით მივეცი ძალა,  
ვერ გავაცოცხლე –  
არ გადაიქცა ტექსტი ტექსტურად  
და მეც ვიკითხე,  
რა ემართება ლექსის იდეას,  
ნამით რომ გაკრთა?  
რა ემართებათ სიტყვებს, წინადადეგებს,  
რომლებიცგანაც არ გამოვიდა ლექსი,  
რა საშველია!  
სანაგვე ყუთი?

Recycle Bin-ში შეიძლება მიუჭინო მართლაც ადგილი და არ გამოუტყდეს საკუთარ თავს, რომ გეგულება ღესტორე ფუნქცია. ბოლოს იქაც შლი, არ ტოვებ არსად, მაგრამ საშეული მაინც არ არის, არ გაუწყდება ღეცის იდეა, არ გაუწყდება არც ერთი სიტყვა და როგორც მკელებლი რადიაცია, მთელი ცხოვრება გინამლავს სხეულს, რადგან ეერდანერილი ღეცის ნარჩენი, როგორც ურანი ან რადიუმი ათასწლოვანი ნახევარდაშლის პერიოდებით, არასდროს ქრება, სულ ზემოქმედებს..

### ქარცვა

ვიტრინაში გამოდგმულ მანეკენს ეცვა ნაცრისფერი პულოვერი, ნაქსოვი თხელი ბამბის ძაფებით. ამ პულოვერში ცოცხალსა შგავდა, ოქსფორდის სტუდენტს ანდა გოლფის უზადო ვარსკვლავს. აღმოჩნდა, რომ ერთადერთი ცალი პქონიათ, ჩემი ზონა, ის, რომელიც მანეკენს ეცვა. არ მომეწონა, როცა მითხრეს: „უნდა გავხადოთ“, მეტად შეეწეხდი მაშინ, როცა შეუდგინე საქმეს: ჯერ ერთი ხელი მოახზახნეს, მერე – მეორე, თავი ზურგს უკან გადაუგდეს, ისე გახადეს. მერე დაკეცეს, ანგარიში ნარმომიდგინეს, ჩამიდგეს ყუთში, კელავ მოდითო, მიმიპატიუეს. კარში გასვლის წინ ვიტრინისაკენ გამექცა თვალი და დანაშაუვად ვიგრძენი თავი: იდგა შიშველი, გაძარცვული და ხეიბარი, უნაოყო, გლუვი სხეულით მკედარსაც კი შგავდა, მაგრამ წარწერამ – „გაყიდული საქონელი უკან არ მიიღება“ მიბიძგა ზურგში. მინ რომ დაებრუნდი, გადავიცივი და ჩემს თავს გკითხვე: „აბა, მიხდება?“ კითხვა არ იყო რიტორიკული, ითხოვდა პასუხს: „სცმოდა მანეკენს!“ სარკის წინ მდგომმა ვალიარე ჩემი შეცდომა, დანაშაულის ალბათ ტოლფასი!

### საბავაღყოფი რიგორც ეღაფი

პირველ დღეს ჯერ ისევ არჩევ ერთმანეთისგან: კაცებს და ქალებს, ახალგაზრდებს – მოხუცებისგან... ისიც გაღულებს, ვის როგორი აღნაგობა აქვს,

როგორი – თმა, როგორი – კანი,  
როგორ აცვიათ და რას ამზობენ.  
გრცხვენია, როცა ტანსაცმელს გზდიან,  
როცა კითხვებს გისვამენ ფიზიოლოგიურს,  
და ფიქრობ, რომ გაგიმართლა,  
რადგან გამზადებს ჭარმაგი ქალი – მორიგე მედა,  
და იმედი გაქვს: როცა საწმე კათეტერის ჩადგამდე მივა,  
ისევ ეს ქალი იქნება გვერდით  
და არა ის, შენზე ბევრად ახალგაზრდა, ექთანი გოგო.  
ჯერ ისევ გაღელვებს, როგორ გამოიყურები,  
ჯერ ისევ გგონია, რომ სხეებიც ემოციურად აღგიქვამენ.  
ეს ილუზია, მუდამ თანმდევი, ერება უკვალოდ ნარკოზის შემდეგ,  
როცა გაჭრილი შენი სხეული ტკივილს გრძნობს მხოლოდ,  
როცა ობობის ქსელში გაბმულ ბუზს ჰგავხარ –  
ზონდებით, წვეთოვნებით, კათეტერებით...  
წყალსაც ვერ ყლაპავ, გული გერევს  
და თითქოს ადამი იყო, ვინც ხის ნაყოფი ამოანთხია,  
ალარ გრცხვენია!  
ალარ გაღელვებს, რომ კათეტერის გასასწორებლად  
საბანს გზდის სწორედ ის ნორჩი მედა,  
აქ შემოსვლისას რომ შეამჩნიე.  
რა შეიძლება იყოს უფრო არასეთეტური, ვიდრე ავადმყოფის გენიტალია?!  
შენ თვითონ გიკვირს, ასეთი რომ გაქვს!  
მაგრამ ადამი, უკან ბაღში დაბრუნებული, გიყურებს სირცხვილს,  
კარგად ჩადგმული კათეტერიც მალე გვერის შეგებას,  
თუმცა ღამით ისევ ცუდად ხარ,  
ხშირად იღვიძებ, რადგან სხეული გინყობს გამოცდას,  
ის გემართება, რაც პროფესორ ჩელენჯერის ხელში დინოზავრის ფაშვს,  
გაზით რომ გაბერა და დირიჟებლად გადააქცია,  
ოღონდ შენ ვერ მიფრინავ, ლოგინზე ხარ მიჯაჭვული და ღამის გასკდე,  
დილით კი ექთანს, პასუხად კითხვის – „აბა, როგორ ხარ?“ –  
„ყვეები, რაც გჭირს.  
„არ მოგერიდოს, ეს უნდა შეძლო“ –  
გარიგებს და ღიმილს გიტოვებს.  
მერე, როცა მოსაკითხად ბრუნდება,  
ეუბნები, რომ გათავისუფლდი და ისიც გაქვს,  
გისხნის, რომ ყველაფერი შენით უნდა ქნა, ისე ვერ გაგანერს.  
და ამ დროიდან შენი წუთები, საათები, შენი გონება  
ივსება ფიქრით ფიზიოლოგიური ფუნქციის აღდგენაზე  
და ვახსენდება დიდი ლანდაუ –  
ტროცკის სენია – ლევ დავითის ძე,  
თეორიული ფიზიკის ერთ-ერთი მამა და მისი კომა მრავალდღიანი,  
ანტიბიოტიკებით მომსპარი კაცის  
მოულოდნელი დეფექტის მუდმივი შიში,  
როგორ დაურჩა უკან, ნარსულში დიდი ფიქრები  
სამყაროს ყველა საიდუმლოს ამხანელს და გამგებს,  
როგორ წაიღო მისი აზრები ტუალეტზე ფიქრმა,  
და შენც, როცა დილით შემოსულ იმ მედას ხედავ,  
ბავშვის ხანგრძლივ მიაზარებ, რომ იმოქმედე!  
და ისიც გეტყვის: დიდებულია!  
მერე, საავადმყოფოს დატოვების წინ,



გრძელ ჩამონათვალს გადმოგვივს მშვიდად –  
რა შეიძლება და გვერძალები:  
„შემწვარი არა, მოხარშული მხოლოდ და მხოლოდ!  
ბოსტნეულიც ოდენ თურმული დამუშავებით,  
ხილიდან მხოლოდ ვაშლი გეჭმება!“ –  
გუბუნება და გეჭვენება, რომ შაცდურად გიღიბის  
ლამაზი, ახალგაზრდა ქალი, შენი ექთანის,  
მოხდენილ სხეულს რომ უფერავს თხელი ხალათი  
და ვაშლზე ფიქრით ტოვებ პოსამიტალს,  
ერთი კბეჩა და ისევ კაცი ხარ –  
ადამიანი!

### მწველების ზრუნვა ერთმანეთზე

„მწველები კედებიან ადრე“ –  
კარგი სათაური იქნებოდა მოთხრობისათვის,  
რომლის ახალგაზრდა პერსონაჟები  
ვერ მიალენდნენ ღრმა სიბერედს,  
ვერ გამოცდიდნენ ნელა კვდომის უბედურებას,  
რამე ისეთს ჩაიდენდნენ არარაციონალურს,  
როგორც ომში წასვლა.  
მონევას ხომ იმ ასაკში იწყებ,  
როცა სიკვდილი დაუფერებელ რამედ მოჩანს,  
როგორც ღვინო ღამიანობაში,  
როგორც მშვილობა ომის დროს,  
მაგრამ შირველივე ღერს,  
როგორც პირველ გასროლას,  
შეჰყავებარ სხვა სამყაროში...  
„მონევა კვავს“ – აწერია აფხაზურ „რინას“,  
აფხაზმა მეგობარმა გაგრიდან რომ ჩამომიტანა,  
როგორც ადრე ჩამოჰქონდა „ამრა“, „კოსმოი“,  
ადრე ანუ ძალიან ბევრი, ბევრი წლის წინათ,  
როცა ერთად ვენეოდიო ხან „აქ“ და ხან – „იქ“,  
როცა ზღვიდან ამოსულები  
ჯერ მხოლოდ წყალში გასვრილ ხელებს ვერ ვიმშრალებდით  
და სველი ტუჩებით ვიღებდით ღერებს,  
უშკიდებდით და ცხელ ქვიშაზე მიწოლილები  
ამონასუნთქებს მივმართავდით ზღვისკენ ან ცისკენ,  
სადაც კვამლი სილაფვარდეს ღრუბლად ეკვროდა,  
თოლიები კი ჩრდილს აფენდნენ ჩვენს სველ სხეულებს  
და სხეულებიც – დასათვლელი თხელი ნეკნები,  
ისე შრებოდნენ, როგორც შრება მზეზე თამბაქო  
და მერე როცა ზღვანასვამი კვლავ ვენეოდიო,  
ათას შეერთედ ვრწმუნდებოდით,  
რომ სხვა გემო აქვს ცურვის მერე მშვიდად მონევას,  
ისევე როგორც სხვა გემო აქვს ნაპარავ ღერებს  
ან დატოვებულს, ძმურად გაყოფილს...  
და ასე ღერ-ღერ გადავდიოთ სხვა სამყაროში,  
სადაც სხვა კვამლმა დაგვენა თვალები  
და ერთმანეთსაც ისე დავძორდით,

რომ მხოლოდ ტყევისა თუ მივანედენდით.  
...ვიდრე აქ იყო, მის სიგარეტს ვენედიოთ  
და ვიხსენებდით ერთად ჩაკლულ სულ პირველ ღერებს,  
სხვა დრო რომ იყო და არ გვექონდა სხვა საფიქრალი  
მზეზე ნოლის და მონევის გარდა,  
არც პილზებს ვთვლიდით და არც – მოკლელებს,  
მხოლოდ ღერები გვაღლეებდა გახსნილ კოლოფში...  
„მონევა კლავს“ – ანერია აფხაზურ კოლოფს, ჩემთან რომ დარჩა,  
მან კი ნაილო აქ ნაყიდი „მწველები კედებიან ადრე“  
დიდი ხნის მკედრები გაეფრთხილდით ასე ერთმანეთს...

### ბოლო წვეთაშვი

მზეს რომ არ დაგვენი, მაისურით შევედი ზღვაში.  
მერე ნაპირზე გამოსულმა კარგად გაეწურე,  
ისე ძლიერად, რომ ნაკერებმა რღვევა დაიწყეს.  
ამ ხმამ ძაფისამ გამახსენა მე აფხაზეთი –  
შავი ზღვის პირას დარჩენილი ჩვენი ბავშვობა,  
წყლიდან ამოსვლა სველი შორტებით  
და ნაიკების ნურეა-გრეხვა ბოლო წვეთამდე,  
ოღონდ ეგ იყო, მარტოკაცი ვერ განურავდი,  
ვინმესთან ერთად წყვილში უნდა დამდგარიყავი,  
აქეთ-იქიდან ჩაგველოთ ხელი  
და რიგრიგობით გეტყობოდათ, როგორც ცეკვისას,  
სველი შორტი რომ დაგეტყობათ, როგორც ბანარი,  
დაგრეხილი კი გასაწურად შექვენსკენ გეჭამათ.  
საჭირო იყო დიდი ძალა და მოხერხება,  
რომ სველ თითებით დაგვეფირა სველი ნაჭერი,  
სხვა შემთხვევაში გასხლტებოდა ტილი ნაგრები  
და მთელი შრომა იქვე წყალში ჩაგეყრებოდა.  
ასეც ზღებოდა, ხშირად ხელი გაგეშვებოდა  
და მერე იყო დამნაშავეს დევნა ხუშრობით,  
გამათრანება სველი ტრუსით ანდა შორტებით...  
ჰოდა, თუ გვახსოვს ზღვისპირელი ის ჩვენი ძმები,  
ვინც განურავაში გულმოდგინედ გვეხმარებოდნენ?  
საით წავდნენ? ვინ არიან? რა ბედსა სდიეს?  
როგორ მოხდა, რომ სამუდამოდ გაეშვივით ხელი  
ჯერ სველ ტანსაცმელს, მერე ერთმანეთს?  
როგორ მოხდა, რომ შორტების მსგავსად  
ბოლო წვეთამდე გამოეწურეთ ის ჩვენი ძმობა?

# განსაკუთრებული მიცვალებული

(demo ნაწყვეტი ნოველიდან „დეტექტივი შეცდომა და სინათლის ქალაქები“)


ზურა ჯიშკარიანი

შოლოდ ნეონის ჯვარი ბეჭუტავდა თოვლივით თეთარ კედელზე, იაფფასიანი სასტუმროს აბრასავით და მოიასამინაფროდ ლიცლიცებდა მონიკას ფრთებზე – მის ბუმბულებს იფლნარევი სუნამოს, სექსის და შორეული, დაკარგული სამოთხის აურნელი დაკრავდა. შეცდომას უყვარდა მისი ხარბად შესუნთქვა ძილის წინ – გარდა იმისა, რომ ანგელოზების ფრთებს დანაშაულებელი ეფექტი იქვთ და შინიშუმანდე დაწყაუთ ატხადნიაკის სიმპტომები, შემთხვევითი პარტნიორების მუდმივი ცვლის მელანქოლია სასიცოცხლოდ საჭირო იყო შეცდომასთვის, განსაკუთრებით რებეკას – მისი ყველაზე ხანგრძლივი და მტკივნეული მიჯაჭვულობის – შემდეგ.

ხან ის ტოვებდა სხვებს, ხან სხვები ტოვებდნენ მას – პარტნიორების გადაგდება მოსულა, განსაკუთრებით, როცა მალე აპოკალიფსია.

ახლადმერვეულ სითბოხთან განშორების სევდა აბალანსებდა მასში გამპირებისთვის დამახასიათებელ ველურ, ბნელ და აგრესიულ ბუნებას და თან რალაცნაირად კვებავდა მას. შოლოდ ღრმა ემპათიისა და მელანქოლიის მქონე ადამიანებს შეუძლიათ ნამდვილად შემზარავი საქციელების ჩადენა, იმიტომ რომ ისინი ამში ყველა ინსტინქტისა და ემოციის ძალას დებენ, შემზარავი საქციელების გარეშე კი თანამედროვე ტიფლისში ერთ დღესაც ვერ გაძლებს ადამიანი.

სევდა – როგორც სამყაროსა და ადამიანების მიმართ ემპათიის ინსტრუმენტი და სევდა – როგორც მელანქოლია, რეფლექსირება იმაზე, რომ არ იშოვე ნაცსაყუდელო, არ გაჩერდი არსად, თუნდაც იქ, სადაც ყველაზე მეტად სურდათ შენი ყოფნა, შუად იყვნენ შენთან გაეყოთ საკუთარი ემოციებისა და სიკვდილამდე დარჩენილი დროის ათასწუთეულები. სხვა ტიპის სევდა ეხებოდა თვითგვემას ეგოიზმისთვის: რომ კიდევ ერთი არსება დატოვე მარტო – ამ უზარმაზარ, ქალღურ სამყაროში, სადაც მარტო ყოფნა – ერთ-ერთი ყველაზე საზიფათო და ღამაზი, შესაბამისად – ყოვლისმომ-





ცველი და ფაქიოდეური გამოცდილება. ყველა არ მუშაობდა ვადიტატორის ეს გრძობა, ამიტომ არსებობენ ეს სამეცობროები, რუხები, კავები, კლუბები, შეჯვარებულები, და ახსვარა სხვა ანკლები - სიმარტოვის შიშითა და პერსპექტივებით დაზაფრული ადამიანები ცვილოენ, ახლოს იყენენ ერთმანეთთან. რატომღაც მათ ჰგონიათ, რომ სიკედლის დროა არ იქნებოდნ მარტო, თუ გარემო ბეერი ხალხი იქნება.

დეტექტივი კი არ უნდა იყოს მშობული არავის და არაფერს, სიმარტოვე მისი ძალაც და ამ ძალის გამოცდაცაა.

დაბურულ ფანჯრებს იქით ისე იყ ნეიმდა, როგორც წვიდა ერთი წლის წინ, და კიდევ ერთი წლის წინ და როგორც წვიდა მანძინ, როცა ის ჯერ კიდევ იყო ბავები და რაგატკებით ხსნიდა პოლიციური დრონებს „კორმუსებით ქალაქის“ სხვა ველურ ბაგშეგთან ერთად. განსხვავება ის იყო, რომ ეხლა წვიმდა უფრო ინტენსიურად, ვიდრე მაშინ, თითქოს ასაკის მატებასთან ერთად ოდებლაც ითა ცა სულ უფრო იგებოდა მაგი ღრუბლებით და ალბათ სადღაც უპატრონო ძალები იხრჩობოდნენ წვიმისაგან წარმოქმნილ გადებებში, სადაც ხანდახან ტანკერებიდან გადმოღვრილი ბენზინი ისხებოდა და იმღებდა ფერადი, ალბატო ჩურაქტალებივით, ხანდახან კი უცხო გამგელულის სიხელი დეგრება დანებით ჩნებოდა. დამის სიმზავის შერეოდნებში. ეს გუბები მუდმივად არის სავცე ათასი ნივთიერებით, სავნით, ზოგჯერ მათში მოტეტრევე მკვდარი ადამიანებითაც კი. არსებობენ მთეუზებებიც, ვინც ჩამტარებული ასვალტის გაუბებში აგროფებენ ურბანულ ჯანქს ხელხაკეთი რკინის ანკესებით, აბრებენ ჯარიმო, ორგანოებით ვაჭრობის ცენტრებში, იუზებებში და ასე კვებავენ თავიანთ ღარიბ ოჯახებს, სადაც რატომღაც ყოველთვის ბეერი ბავშვია და ცოტა სიხარული.

ოთახის მეორე კუთხეში, ლიანებსა და სხვა მცენარეებში ჩადული ეკრანი ანითო და შეცდომამ ძილბურანში დამენათევი მორიგე ნათელმზილეელის ხმა გაიგო:

- გამოსაბებაზე დეტექტივი შეცდომა. დეტექტივი შეცდომა. სასწრაფო გამოძახება ანგლოზობუნდში. პირველი ხარისხის მკვლელობა, ჩვენი ადვოკატი და კრიმინალური გადანახლებლის ალგორითმის მიხედვით შემზიხვევის ადგილზე თქვენ უნდა გამოცხადდეთ. როგორც პროგრამა აჩვენებს, საქმის არსი

პირდაპირ კავშირშია თქვენი პირად და პროფესიონალურ ინტერესებთან, გამოცდილებასთან და პროფილთან.

„გარდა ამისა, ძვირფასო“ - უკვე ნაკლებ რთვადღურ ტონზე გადავიდა ნათელმზილეელი დემონსტრაციულად „შენს დოსეს ნამდვილად არ აწყენდა განახლება... მადლობა მერე გადახიხადე. ვიტყვითაც საქმის დეტალები.“

შეცდომამ მშის ამოლებაც ვერ მოასწრო მოვლენების გასაპროტესტებლად, რომ მის სიზმრებში, სადაც ის ხედავდა უზარმაზარ კოლოსებს ლავკარადგის მთიბრობებიდან - საქმის დეტალები შემოიჭრნენ: სწრაფად დატროლებული კალიდოსაკოშიდან გამოსახა უცნაური, ხალიჩებიანი ოთახი ანგლოზობუნის მეტ-ნაკლებად პრივილეგიებული უზნიდან, ძალადობისა და მკვლელობის შერეობა, როგორც ფანჯრა გემო პირში, საგარაულო შოტივების სია, რომელიც სიზმარში მოივლიდევ ცესალების ფაღად ამოცურდა.

იმწამსვე ჩაირთა მინაგანი ბოლოდგორი ნაშრომი და კრიმინალის სცენასთან მისაველი ნარბრუტების ყველაზე მოკლე ვარიანტები სატელიტთან გადაღებული ფოტოებით.

დეტექტივმა ერთი გაიზიარა და შემდეგ რამდენიმე წამში დაძლიდა და აწყობილი კალასიკოვიტე ნაშრომად ფეხურთხანს გაშემა, რომ აიცარიელის ნედიტაცია შექარულბინა, მაგრამ მონიკას ფრთების სურნელმა დაარღვია მისი მცდელობა. მონიკას ჯერ კიდევ ეჩინა, საბანგადამწერალს თავისივე ფრთები უნდა გადაფარებული მიშველა ტანზე და რატომღაც მინარე, იძახდა სახელებს ქალაქების, სადაც შეცდომა არასოდეს ყოფილა. არანაგლოზები ვერსადრის ჩანვდებოდა ანგლოზური სიზმრების ღოკაში. მან ბოლოჯერ გახედა მის მსგავს ღამის სეკელსა და განშორების მელანქოლიით საესემ ფრთილად გაიხურა გაღულუნებული, თბილი ოთახის კარი და უსაარული წვიმის სველ სიცვიეში გავიდა.

მკვდრის თვალები ბრილიანტებივით ირგვლავდნენ უზარმაზარ გატებით მთვარეს. ვარდებს დაფერის რაფაზე უყურებდა დეტექტივი, როცა მისი აზრები სახლთან 30 მეტრში მიმავალ მატარებლის ექომ გაყოლა. ანეთ მატარებლებს ყოველთვის გადააქეთ სუსტად განათებული საპროტიქალაქებიდან სინათლის ელავში იარაღითა და ნარკოტიკებით დატენილი ვაგონები შემობრუნებისთვის - ერთგვარი ყოველთფორი საშუქარი სახელმწიფოსგან - მე შკონი მე დარნა გულუთყვილო ადამიანი, ვისაც გონია, რომ რეკოლუცია თავისით ფინანსდება. არალეტელიური მთვარის ყვაილეები, ტრეფიკინგის მსხვერპლი გენტივურად გამოყვანილი სექსუალური თოჯინები და რეპერეკიტიბიდან მიგროვებული ანგლოზები მორწყინავი კლუბებისა და ბორდელიებისთვის, მიკრობიოტური ბომბები დერმბაკერების სექტისთვის, რომლებიც დიდი ტბის იქით ცხოვრობენ მუტანტებს შორის, თაყვანს რომ სცემენ ჩამოვარდნილ მეტეორებს - სწორედ აქ ქადაგებენ ე.წ. „შინარეები“, რომლებიც სინოდია მიერ ტერორისტული ორგანიზაციად არიან გამოცხადებულები, რომ რეალობა ბრძაჰას სიზმარია, რომლისგანაც მან უნდა გამოიღვიოს ან მინარეთა დაჭინებული მედიტაციებით, ან



არნახული ტერორისტული აქტებისა და აფეთქებების შედეგად, თორემ მის სიზმრებს ბოლო არ უქნას და ყოველი საყვდილის შემდეგ ჩვენ ვიღვიძებთ ახალი სიზმრის ახალ დაკორაყვიბინ და სამუდამოდ ჩარჩენილები ვართ მისი დაედებული გონების მიერ წარმოქმნილ ილუზიებში...

შეცდომად სწრაფად მოსწყვიტა აზრები მიმაჯად მატარებელს, რომ ფიქრებით ოთახში დარჩენილიყო.

მხოლოდ ანგელოზების შემზარავი კვილი ისმოდა ექოუბად - გარინდებულ სამეზობლოში. და გარეუბნის შემინებულ მაცხოვრებლები ინერდუნენ რომბს, ურჩქაყენენ ნათესავებს, ეფერებოდნენ ბავშვებს და ამწმეგებდნენ საექტებს კარებზე - სამყარო ხომ დიდია და სახიფათო, განსაკუთრებით ასეთ ღამებში.

შეცდომამ უკვე იცოდა, რომ სანამ ოთახს ათვალიერებს - ტიფლისის ხალვისა და სინოდის უშიშროების სახლებში უჩუქრად გროვებოდა სექცანაზე, რეზერვაციებში კი სავარაუდოდ რამდენიმე რადიკალი უკვე გეგმავდა საბასუხო ტერაქტის მოწახაზებას - ყველაზე ცუდი დროა, რომ აზრები აგროოს.

ღრმა ჩასუნთქვა-ამოსუნთქვა, ტვინის გადაყვანა ტეტა-ტალუებზე.

„შითანი დასახლდა აღმოსავლეთ ტიფლისში; კიდევ ერთი მსხვერპლი. ამჯერად მოკლულია ავტორიტეტული მალაჩჩინოსანი: უკვე მეორე მეკვარი ანგელოზი ამ კვირაში.“ - სწრდნენ გახეტობი. დეტექტივი პირველივე წინადადებაზე მიხვდა, რომ მისი ცხოვრება სახელმწიფო ინტრიგებისა და ბინძური გამოძიების ფანრში გადადიოდა. მაგრამ ხარაკორის ნომლოდენი საბურკის მოლოდინით შეხვდა ამ ამბავს. ხარაკორის დეტექტივებს პირველივე კურსზე ასწავლიან.

პირველი მსხვერპლი ხილვების უბანში იპოვეს. ეს იყო დადგასული, ფრთაშოკრილი ანგელოზი - ფრთების მოყრა გველაზე დიდი შეურაცხყოფა ანგელოზისთვის და მხოლოდ გაუგონარი დანაშაულისათვის თუ განირაგვენ მას ასეთი სასჯელისთვის. შეცდომამ ეს საკუთარი გამოცდილებით იცის - შოგონებულ რუბეკას მესამებ ვერ კიდევ ცოცხალია მის ელექტროულ გულში.

თუმცა პირველი მსხვერპლი არაფრით იყო გამოჩრქული, რომ მისთვის ასეთი „პატივი დაედოთ“ და ფრთები მოეჭრაო. სიღირსის წღვარს ქვევით მყოფი, შორიგე განარკობანებული ანგელოზი. ასეთები ტონა ყრია ხილვების უბნის მოტვლებსა და ბორდელებში. რატომ ასეთი ხმაშალაღი მესიჯი მისი მკვლელებისაგან?

მეორე მსხვერპლი კი ცნობილი თეოლოგი და ანგელოზთა უფლებების მკაცრი დამცველია. შეიძლება ითქვას, რუსექტაბელური კი, რამდენადც შესაძლოა იყო რუსექტაბელური, როცა ხარ მკვდარი, თან ასეთი წყაღანალებული გეტოდაწ.

ერთი შეხედვით, მკვლელობებს არაფერი ქონდათ საერთო ერთმანეთთან, მაგრამ დეტექტივი შეცდომა ძვლის ტვინის იმპლანტანტი გრომბობა რალაც კავშირს - გადმოუკვამელს არისტოტელეს ლოგაით, მაგრამ ადეკატურს მისი

ძვლის ტვინის ეკანტურ კომბინაციებთან. და ვამბირულ ადლისთან.

- ძალადობის არანაირი კვალს მარჩენის მქონე ნება. სავარაუდოდ მსხვერპლი და მკვლელი იცნობდნენ ერთმანეთს და მან თავისი ნებით გაუფლო კარი მოძალადეს - ჩაილულდულია უბნის ინსპექტორმა, რომელიც დეტექტივის შემოსასვლელში დახვდა და ისე ადგენდა ოქმს, როგორც მოწყენილი მოსუტები აესებენ კროსკორდებს იაფდასიანი გუჯეთებიდან და კითხვა: „ხომ არ გახსოვს, რა გვია კორპუსების ქსალაქის მათვის კოდექს? 11 ასოსგან შედგება... ბესპირიდები? თუ რალაც მსგავსი“.

- უკიდევანობა - უბასუხა შეცდომამ და წამით ისე რუბეკა გაასწავნდა.

მკედარი ანგელოზი ცაში იყურებოდა, თითქოს არ მომკვდარა და მღუმარედ ისმენს დეტექტივისა და უბნის ინსპექტორის საუბარს. შინდისფერი ტოკით გამოჩნობილს ნელში ეტარა გრქელი ვერგამენტი.

- მოახდინეთ იდენტიფიცირება?

- იდენტიფიცირებულია მკედარი ანგელოზი, დანარჩენი არაა ჩემი საქმე - ამრეხით გახედა უბნის შორიგე ინსპექტორმა გარდაცვლელს და ნელა შეაგო გადახასხულ კროსკორდში დარჩენილი ინკარინელის კიდევ რამდენიმე უფრა.

დეტექტივმა სახე ახლოს მიიტანა ანგელოზთან, ერთსანს უყურა და ირასული თანბაქუს მძიმე ნაპასი სახეში შეაბოლა.

- ეს ბინძური ანგელოზები. პრობლეების მეტი არაფერი მოაქვთ - სცადა დილოვის დაქტრა შორიგემ.

დეტექტივმა ოთახი შთათვალიერა - იესოს ხატები ნეონის ჩარჩოებში ავსებდნენ მთელ კედელს უზარმაზარი ხალჩის გარშემო. ხალჩაზე ამოქარგული იყო ციმცუმი და დოქების მსხვერვა. მის თავზე კი იდგა დიდი ბუარცაბა, მაცხოვრის გუგებში ჩაინსტალირებული ვიდეოთვალის სულმინადომი მშერთი უჭურებდა დეტექტივ შეცდომას.

ანგელოზის გვერდით, მოქცარი სანუშო მავიდაზე გადაშლილი იყო დიონისე არეოპაგელის წიგნი ლუთენიერი წვედიადის შესანებ, მესამე გამოცემა. იქვე, წათელი და მწვანე შუქებით ბუჭუჭავდენი ტრანზისტორის მინიატურული ნაოებები.

ტრანზისტორები ანგელოზების საკომუნიკაციო მოწყობილობაა, ერთგვარი სახლის ტელეფონი - სიგნალები, რომლებსაც მის თავზე დაყენებული მატარა ანტენა უწევებს,



რთული გასამიჯნობა უშიშროების სამსახურებისათვის, რამდენადაც ახალი თაობის ტრანსისტორიული კონტაქტები იყენებენ ინფორმაციის გადასაცემად – რაც ნიშნავს, რომ ანგელოზებს შეუძლიათ დარეკონ ნარსულზე.

ისმის ტელეფონის ზარი, თქვენ იღებთ ყურნის და იქნადა გესაუბრებათ თქვენივე თავი – ოღონდ ახლო მიმავლიდან. რა თქმა უნდა ნარსულში დარეკვის დისტანცია აქაი-მუმ 5-7 წუთია, მაგრამ ამ 5 წუთში ნებისმიერ ანგელოზს შეუძლია მოსალოდნელი საფრთხის შესახებ შეატყობინოს როგორც საკუთარ თავს, ასევე მის ახლობელს.

ძირითადად, ნარსულში დარეკვის ღიმ-ღტი დღეში 10-15 წუთს არ სცდება ხოლმე, მაგრამ ციფერბლატი 45 წუთს აჩვენებდა. ერთი დღის განმავლობაში როგორც ჩანს, სიტუაცია დრამატულად და სწრაფად ვითარდებოდა და გარდაცვლილი სუბიექტი ციდილობდა, რაღაც მნიშვნელოვანი ინსტრუქციები გადაეცა საკუთარი თავისთვის.

შეცდომა იქვე, იატაკზე, თავისი მიგრაციული, იეროგლიფებით მოხატული ჩემოდანი გახსნა, ინსტრუმენტაროშიდან ასევე ევრცხლისფერი სპექტრომეტრი ამოიღო და მკვდარი თუოლოგის ოდნე მზურთვ ნიშნს გადააბარა. სპექტრომეტრი მკრთალ იხსანისფერ ნათებსას იჭერდა – ეს იმ მკვდრების ფერია, რომლებსაც სიკვდილთან ერთად რაღაც მნიშვნელოვანი საიდუმლო მიაქვთ.

– თუ შეიძლება, მარტო დამტოვეთ – მიმართა შეცდომამ უზნის ინსპექტორს, ისე რომ არც გაუხედავს მისკენ. მანაც ზანტი და უკმაყოფილო მიძრაობით ანა მიიმე ტრანკი, დახურა ოქმის ფურცელი და ოთახიდან გაიქცა.

კრიმინალის სცენაზე მდგარს ყველაზე მეტად აურის შერძნება ჭირდება. დროსა და სივრცეში იმ მომენტის გამოჭერა, როცა კრიმინალი მოხდა. სასწავლებელი შეცდომას ეუბნებოდნენ, რომ ადგილზე დატრიალებული ემოციები ნ საათის განმავლობაში გუბდებამ შემთხვევის ადგილას, მაგრამ წლების განმავლობაში შეცდომამ გამოიმუშავა სპეციალური ყნოსვა, რომლითაც ის მრავალი წლის წინ ჩადენილ ქცევებსაც გრძნობდა ხოლმე, როგორც რაღაც ბელთი მოუხლებელ მკვრინებას ჰაერში. ამიტომ არ უყვარდა მის წვეულებებზე სიარულიც – ნებისმიერ ადამიანს საკუთარი საიდუმლო ზრახვების სურნელი დაკარავს.

მკვდარი თუოლოგის ოთახში კი გაურკვეველი ამოცანების ნილი იდგა – ასეთი ნილი ნებისმიერ დეტექტივს მინიმუმ საათით ჩაადევს ტრანსში. შეცდომამ სპექტრომეტრი ისევ ინსტრუმენტაროში ჩააბრუნა.

კორიდორში ფეხის ნაბიჯების ხმა გაისმა. ასეთი მტკიცე ნაბიჯებით მხოლოდ რეინკარნაციული პოლიცია ან ხინოღის პირადი გამოძიება გამოირჩევა. დეტექტივმა ინსტინქტურად წაართვა ხელიდან მიცვალბუნებს ვრძელი პერგამენტი, ფოტო გადაუღო მას და გადაძლილი ნუნის გვერდებს და ტრანზისტორის მონაცემები სასწრაფოდ გადაიწერა ძულის ტყინის იმპლანტზე. გადაწერას 100% ზუსტად მაიმნ დაეწერა, როცა ოთახის კარები რეინკარნაციულმა პოლიციამ შეამტვრია, მიუხედავად იმისა, რომ კარები ისედაც ღია იყო. რას იზამ, ეგეთია ძალოვანი სტრუქტურების სტალი.

– ადგილზე გამქმდით, სამეე ხინოღის უწულო დეტექტივებარებაში გადადილი!

დეტექტივმა ხელები აწია და გაშეშდა, მას მალალი, ეგზოსკელეტონში ჩაცმული მამაკაცი მოუხლოვდა:

– კისარი მათე-ურნუნუო, რეინკარნაციული პოლიცია: დაასახელეთ თქვენი ვინაობა და ვის მიერ მოხდა თქვენი გამოძახება დანიშნულების ადგილზე?

– დეტექტივი შეცდომა აპოკალიფსის განყოფილებიდან, საიდენტიფიკაციო მუდონი №23,002, ავატარის მოლოდინში. გამოძახება რეგულარული მველოდობის ალტერკადიო მოვიდა. რა არის ასეთი განსაკუთრებული ამ მკვდარ ანგელოზში, რამდენადაც მისით რეინკარნაციული ინტერესდება?

– მკვდრის განსაკუთრებულობას ჩვენ ვადგეთ, თქვენი საქმე ეს არაა. თუ შეიძლება მოგვანოდეთ ალტერკადის პარამეტრები, პირადი კოდი და გამოძიებების ისტორია. თქვენი აქ არაფერი გესაქმებათ – რანგი ვერ გეკარავთ.

– ანუ მიცვალბუნელი მართლა ასეთი განსაკუთრებულია?

– გახედა შეცდომამ პირლი ანგელოზის გვაძს.

– რა საშუაოები იყო ჩატარებული ჩვენს მოსვლამდე, დეტექტივი?

– ხოო, ოუმორი და რეინკპოლი არ შეგობობენ... მხოლოდ ნიშმის სპექტრალური ანალიზი ჩატარდა, აქ ჩანს რომ...

– მოტიანთე ანალიზი, ჩვენ თავად შეეხედაეთ... – უხედა მიმართა რეინკპოლის თანამშრომელმა დეტექტივს.

– ინსტრუმენტაროში...

– ამ წამიდან გამოძიებას რეინკარნაციული განყოფილება უძღვება, ინსტრუმენტაროში ჩენისან დარჩება, განყოფილებაში მისჯლისთანავე რაპორტს დაწერთ და ახალი ინსტრუმენტაროისუნი მიიღებთ. გასაგებია? ეხლა კი გათხოეთ დაგტოვოთ.

დეტექტივმა მხოლოდ წამით გადახედა მკვდარი ანგელოზის ღიად დარჩენილ თავლებს, რომლებშიც სუსტად ირეკლებოდა ტრანზისტორის მბუზბავი სინთალები და რადიოაქტური წვიმა ფანდრებს გატოვ, შავ ცაში, საითაც თავლები მინიშნებსასეთი იყურებოდნენ.

ეს ღამე ამ მიცვალბუნელის ღია მირიდან ამოდიოდა.

# სიკვდილმისჯილთა ბანაკი



## ნუნუ ქადაგიძე

- სიკვდილი მოგისაჯეს.
- რისთვის, რა დამიშავებია...
- თავად უნდა მოგებენებოდეს ყველაზე უკეთ.

- მე უდანამაულო ვარ!  
- დარწმუნებული ხარ?  
- ეჭვიც არ შეპარება. მე არაფერი ჩამიდენია ისეთი, რასაც შეიძლება დანამაული ეწოდოს. მსგავსიც კი არაფერი მაგონდება.  
- ოქროპირმა ცოტა ხნით ჩემად მიყურა.  
- აი, აქ გმართებს კარგად დაფიქრება, - მითხრა ბოლოს, - კარგად დაფიქრება და არა ზურედლე. შეცდომის უფლება არ გვაქვს.  
- რაზე უნდა ვიფიქროვ?  
- საკუთარ დანამაულზე...  
- გითხარი, არაფერი დამიშავებია-მეთქი, - ავეუბნებდი ხნას.  
- ოქროპირმა ყურისც არ ათიოვა ჩემს ყურადღებას.

- ...აქ არავინ მოგიწყობს დაკითხვას, - მშვიდად აგრძელებდა იგი, - აქ დანამაულს სულ სხვა მეთოდებით ეძებენ. გზადაგზა ყოველთვის დაწერილობით გაეცნობი. პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით შენს გონებაზე გადაის. კარგად უნდა დაფიქრდე, უნდა მიჩხრიკ-მიჩხრიკო საკუთარი მესხიერება. იცნებ ნიავენი შენს დაფინჯებულ დანამაულს.

- ბბა, რა დამაბიწებდა, რაინე ისეთი რომ ჩამეღინა...

- ეს კი გეშლება, - ოქროპირის ხმა საზეიმოდ აიღწერდა, რაც ყოველთვის იმას ნიშნავს, რომ საფარვეტბოდ საყურადღებო რამის თქმას აპირებს, - გეშლება და მერე როგორ ძალიან მწარედ. ადამიანის ყოწება დადადა საეჭვო რამაა, ხომ მართალია? დიას, იგი ბევრი რამითაა საეჭვო, ოღონდ ამწუთას მხოლოდ ერთ-ერთი მათგანზე ვამახვილებ ჭურჭლებს; იგი (გონება) ხანდახან ყაირათიანი დიასპალიისივით იქცევა, ინებას იმას, რაც მისთვის სახარებელია. რაც არ სჭირდება, გადაყრის ხოლმე. აქედან გამომდინარე, შენი ტვინის უფრუდებშიც იქნება რაინე მივინჯებული და გადაყრილი.

ოქროპირმა თავი დამიკრა და ოთახიდან

უკანმოუხედავად გავიდა. ყურადღება არ მიამქცია ჩემს აღმოფრთხილას და გულსწარმობას, ნიაღვრებით რომ დავატყებ თავზე. კარი მძიმე ჩჩაკუნით მიიხურა მის უკან. უღონოდ ჩამოვჯექი ჩემს ნარზე, აზრდავც არ მომსულია, მომესივნა კარის სახელური. დარწმუნებული ვიყავი, დაკეტული იქნებოდა. თურმე ღია იყო...

\*\*\*

აი ასე, მე სიკვდილმისჯილი ვარ...  
თუ წარმოიდგენს ვინმე, ეს რას ნიშნავს, თანაც ეს ჯერ კიდევ როცა ყველაფერი, თუმცა, ალბათ, არც ისე უმნიშვნელო (!) რამაა... მე არ ვიცი საკუთარი დანამაული, აი, ესაა თავი და თავი.  
გეფიქრებ, ნამდვილად ასეა, თავის დაცვენას არ ცვდილობ. ნამდვილად, ნამდვილად არ მახსოვს. არ ვიცი, ვერც კი წარმომიდგენია.

ცხადია, სიკვდილმისჯილთა საქანში ცეცხოვრობ, აბა, სხვას რას ველოდი? აქ ჩენამდე სიკვდილმისჯილი ცხოვრობდა. მის მიმართ უკვე აღასრულეს განაჩენი, ახლა ჩემი ვეროა. მერე სხვა დაიკალებს ჩემს ადგილს და ასე, დაუსრულებლად. ემ, მოვლემებს წინ ვუსწრებ, ალბათ, გამიძინებდა ნათლად და გასაგებად აღვზნო ყოველივე... „აღბათ“ კი არა, ნაღდად ასე იქნება, ჩემს დღეში მყოფ ადამიანს აღმის უნარი რომ სრულიად ეცვალებს. შესაძლია, სწორედ ის გამოპრჩეს მხედველობიდან, რაც ყველაზე უმთავრესია და გეზის მინცემი. თუნდაც ცხვირით დავეფიქრო იმ უმთავრესს, ვერ დავინახავ, ვერ შევიგრძნობ. ამ დროს კი სულაც არაა გამოპრჩესული, სრულიად უმნიშვნელო, მეორეხარისხოვანი ამბებზე გაგანაბილო ყურადღება. ჩემგან ეს სურავის გაუკვირება, ეს მოალოდნელობაა. ამიტომ გეცდები, სიტყვა დიდად არ გავაგრძელო. აღვზნო მხოლოდ იმას, რაც ძალაუბრებურად შემიძლია ჩემი ყურადღების არეალში, რასაც გვერდს ვერ ავევლო.

აბა, ერთი მითხარით, რა მნიშვნელობა აქვს, მდიდრულ დარბაზში ისვენებ თუ ხმელ ნარზე გძინავს, როცა სასიკვდილო განაჩენს გამოგიტანენ. ხომ იმნამსვე ეკარება ფასი ყველაფერს, მთელი სამყარო ხომ ერთბაშად უფერულდება ამ სულის გამოთოვნი სიტყვის წინაშე. ამიტომ სურავის მითხიხავს, კეთილმოწყობილი იყო თუ არა ჩემი საკანი, ფუფუნებით ცხოვრობდა თუ სტეული მიკენესიდა ათასწიერი სატანჯველისგან, რაც ციხის ბნელ ჯურღმულებს ახასიათებს. ჩემს სახლს ყოველთვის ნარს ვფრთხობ, თუნდაც გდვის ბუმბულო შევიწიოს. ჩემს ოთახსაც ერთი სახელი, საკანი ჰქვია, თუნდაც მეფის დარბაზივით იყოს განუწინა-გამიშვებინებელი.

ისე კი, თითქოს ჩემი ჩვეულებრივი ცხოვრებით ცეცხოვრობ. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მყენებება, ანუ ასე წარმოუდგება

ჩემს აღქმას, რომელიც, ცხადია, შეცვლილი იქნება ჩემი მდგომარეობიდან გამომდინარე. რა კარგად იქნებოდა ყველაფერი, რომ არა ეს სამხილი განაჩენი... იგი ცეცხლოვანი ნიშანივით ანთა ჩემს თავზე. სხვა დანარჩენი, ყველაფერი, რითაც ვსულდგმულობდი, გასუქვრეტელ წყვილადმი ჩაიძირა. დიხს, სასიკვდილო განაჩენი, ეს ცეცხლოვანი ჩირაღდათია, რომელიც ბნელეთში ფანტაზს ანიჭებს, ვერც ათობს და ვერც ანათებს რაიმეს. აი, ესაა სულ, რაც ვარ, მეტი არაფერი...

\*\*\*

მე იგი ზედამხედველი მეგობარია, როგორც ჩვეულებრივ ცნებში. ბუნებრივად, ზედამხედველები აქ საერთოდ არ არიან. აქედან ვერაფერს გაიტყვევა, არ ყოჩაღიც უნდა იყოს (ამაზე მოგვიანებით ვიტყვი). ოქროპირი ზოგჯერაცაა, ანუ შუამავალია უზუნაქს სამსჯავროსა და სიკვდილმსიჯილს შორის. ეს მსუქნობარი სახელი მე შევარქვი. რაც გასურდეს, ის დამიძახებო, აქ მითხარა, როცა ეკითხე, რა გქვია-მეთქი. ეს შენი ერთ-ერთი უფლებათაგანია, აქაურობის მინაგანაწესით გამსაზღვრული.

— ოქროპირს დაგვიბანებ, — ვუთხარი მაშინვე. — ჯერ ერთი, მომხრის ეს მშვენიერი, მზისფერი ლიონია, ოქროს რომ ეძახიან. თანაც მინდა, შეგხან გავიფირო ის ოქროს სიტყვა — თავისუფლება.

— ეს უკვე შენზეა დამოკიდებული, — ნიბთრა ოქროპირმა. იგი იმთავითვე მინაურულად, „შენობით“ მომმართავდა. არც მე დაქრჩინილვარ ვალში... ასე რომ, მინდა, გავიფირო ეს ოქროს სიტყვა, — თავისუფლება. მე უდნამაშული ვარ. ვერაფრით შეგირეგებვარ იმ უსახელებს განაჩენის, ასე უცერემონიოდ რომ დამატეტეს თავს. ჯერჯერობით არჩევანი არ მაქვს, ოქროპირის სამბოძლო სიტყვას უნდა მივდიო. ვნახით, რა გამოვა აქედან. ადამიანი ხომ ისედაც ფურისთივისაა გაჩენილი. სანამ პირში სული გვიდგას, თავი უღამ მუშაობს. ფიქრები ჩვენ არ გვემორჩილებიან, მუდამ სადღაც მიიღვებიან აწყვეტილი ბედაურებივით. პოდა, აი, საქმეც გამოუნდათ ამ ბედაურებს, მიუშვით ადვილი, მივყვით და შოგზირიკით საკუთარი ტკუა-გონება, ამოგყარით მოგონებათა სკიფი, იქნებ რაიმე ვნახოთ ხელნასაჭიდი.

მაგრამ რამდენიც ვარ უწიროც და ვეძიე, ვერავითარი დანაშაული ვერ აღმოვაჩინე საკუთარ თავში. თუნდაც რაიმე დანაშაულისხარის ვიქცეოთ, — მიაჩნება მხოლოდ არ არის. არა და არა ანდა, თუ მაინც არის რაიმე, მხოლოდ და მხოლოდ რაღაც ნერლიმანები, გახსენებადაც რომ არ ღირს. ერთი რამ კი ცხადად დავინახე: მართალი ყოფილა ოქროპირი, როდესაც ჩვენი გონების ქირვეულობაზე ამახვილებდა ყურადღებას. აღმოჩნდა, რომ ბევრად ადვილად ვიხსენებთ ისეთ შემთხვევებს, როდესაც ვახერხებთ, ვიყოთ ვაგუაცებო, ტკეიანებო, დამახუბო... მაგრამ აი, როცა საქმე სხვაინარადაა, როცა დიდად არ გვესალაზუნებ, საკუთარი თავის ბილგი, გონება როგორღაც ვიუტობს, თითქოს გვეუბნება: „კარგი ერთი, მეტი საქმე არა გაქვს? ძლივს მოვხერხებ მავაზე ნაცრის მიყრა, შენი კი თავიდან ჩრჩხილს ამკარებ...“ პო, მართალი ყოფილა ოქროპირი, მაგრამ მაინც რამდენიც უნდა ჩხრიკო, იმდენიც არაფერი. ამისთანა ნერლიმანებს ყველა მოძღვარი მუწუნდობს თავის მრევლს. მით

უმეტეს, სასიკვდილო განაჩენი ძალზე შორსაა მისგან.

\*\*\*

ოქროპირი მალე ისევ მესტუმრა, თან მომხრელიო ჩანთა მოიყოლა.

— ბეგრ ვიფიქრე... — დავიწყე მე. — გიცი, ვიცი. სათუნელადაც არ ღირს, ხომ? — თვალი გამისწორა და უშაპურად გაიცინა, სათუნელს ხომ მიგისვდიო, — შენი ფიქრები-სგან, სიმართლე გითხრა, ბეგრს არაფერს ვუღელი. თუმცა რაღაც გარკვეული როლი მავანაც შეესალა. ასე ვთქვათ, ნიდაგი მოანაზადა შემდგომი ამბებისთვის.

მან ჩანათა ვახხხა, წიგნები აშალაღა და მაგიდაზე დანერო. უკლებრივ ვეგლა უნდა ნაკითხობი, მიიხრა.

წიგნებისთვის მცხელა? სასიკვდილო განაჩენი და წიგნები...

— ანას ვერ გაეძევი, — მიიხრა გადაწყვეტილად ოქროპირმა, — წიგნების კითხვა თვითონ შენს ინტერესებში შედის. უკვე გითხარი ერთხელ და კიდევ შეგახსენებ: დაკითხვას არავინ მოგიწყობს, დანაშაულის მისაგნებად სულ სხვა მეთოდები გვაქვს, წიგნების კითხვა ერთ-ერთი მათგანია, დიხს, წიგნები ფსადაულობდ სამსაზურს გვიწვევენ დანაშაულის ძიების საქმეში. დიდი ყურადღებით უნდა ნაკითხო კოველი მათგანი, ნაკითხულიდან შეგარბო ისეთი დანაშაული, რომლის ჩადენაც შეგეძლო მსგავს პირობებში... ისეთი წიგნი არ არსებობს, სადაც რაიმე ნორმიდან გადადარაზე, ანუ, რაც იგეგვა, დანაშაულზე არ იყოს ლაპარაკი. უამისოდ ხომ არაფერი მოხდება, ამბავს ვერ შეთხვას, მოვლენებს ვერ განავითარებ... ამგვარად, შეარჩევ შენთვის მისაღებ დანაშაულობებს, შეადგებ მათგან ნუსხას და ბოლოში ხელსაც მოაწერ. ამას გარდა, ფილემსაც უნდა უყურო, — ოქროპირმა ტყვეუბორზე მითითა, რომელიც მანამდე არც კი შემომჩვენია, — აქაც იმავს გაიმორებ, შეარჩევ შესაფერის დანაშაულებებს. პერიოდულ პრესაც არ უნდა გამოგჩერე ყურადღებიდან, იქ დანაშაულისათვის კრილოსანი შეგხედება ყოველდღე. მერე შენ მიერ შედგენილ ნუსხას შუადრებზე წველივც უზნაიესი სამსჯავროს განკარგულებაშია. იქ ჩამოთვლილია ყოველდღიური დანაშაულები, რაც კი ადამის მოგმას ჩაუდგინა გაჩენის დღიდან. შენი საკუთარი დანაშაულები სწორედ იქ იქნეს თავს, ამ სახით ნარედგინება უზუნაქს სამსჯავროს.





- უზენაესმა სამსჯავრომ მე უკვე გამომიტანა განაჩენი. გამოდის, რომ თითქოს იცის შენი დანაშაული. ამ დროს მე მაიძულებს მის მოქმედს. სრული უაზრობაა... - შევეცდამთუ

- დიას, უზენაესმა სამსჯავრომ იცის შენი დანაშაული, - რბილად შემესიტყვება ოქროპირი, - მაგრამ ამით არ ემაყოფილებს. გაძლევს იმას, თვითონ იბოვო.

- როგორ უნდა ვიპოვო, რაც არ არსებობს?  
- ნუ ვეუბრები, - ხმა გაუმკაცრდა ოქროპირს, - უნდა ეძებო საკუთარი დანაშაული. ყველანაირ ყველა მიმართულებით უნდა ჩაუსაფრდე მას, ბოლოს და ბოლოს, აუცილებლად იპოვო, ეს გარდაუვალია, მაგრამ აქ ეს არა მითავარი. მუნ ხომ თვით უზენაეს სამსჯავროს უნევ სამსახურს, მის მხარდამხარ მიივლებ გზას დანაშაულთა ლაბირინთებში. სხვა საკითხი, თვითონ მას სჭირდება თუ არა შენი სამსახური. შენი ძიების გზა მის გვერდით თუ არა, სადმე მის მასლობლად მაინც მიგიჩინეს ადგილს, ასე ვთქვათ, გამაღლებს. შენ უზენაეს სამსჯავროს თანამოსაგრე ხდები. აი, ესაა თავიდათავე.

ცხდავდა, ყველა გზა მოჭრილი მიქონდა. სათქმელი ვეღარ მოვიძიე. ერთი ისღა ნაველულულუე, მემშინია, თავს რაიმე არ მომახვიონ-მოქოქი.

- ეს გამორიცხვება. შენ უნდა იცნო შენი დანაშაული. დანაშაულმაც უნდა გიცნოს შენ. აქ ორმხრივი ურთიერთგაგებაა საჭირო. ვერაფერ ვერაფერს დაგმამებს, თუ თავად არ აღიარე ყველაფერი. თანაც უხიზვოდ, დაუნანებლად...

\*\*\*

რა შქვია ყველაფერ ამას, იძულება, ნებაყოფლობა თუ ორივე ერთად? არ ვიცი, არ ვიცი... ყოველ შემთხვევაში, არც ახლა მაქვს არწმუნა.

ისინი არ ენდობიან ჩემს გონებას. არც მე ვენდობი მხივდამხინც... იქნებ ნივთებმა უშველოს საქმის, მაგიდაზე გორენად დაბავებულმა. რა გინდა, სულთ და გული, აქ რომ არ იყოს. ყველაფერია, დამწყებელი გულმურყვილი იგავით, დამთავრებული - საოცრად ჩახლართული თავგადასვლით. მეც ვკითხვობ, სება რაღა დამრჩენია. ვიგებ მთისა და ბარის ამბებს, ვეცნობ დანაშაულთა ქარტეხილებს და... აი, ნამდვილი აღმოჩენა, ასე მგონია, სულ ერთია და იმავე ნივთს ვკითხვობ, დიას, ასეა, სულ ერთი და იგივე, ერთი და იგივე, მოუქდავად იმისა, რომ თითქოს სულ სხვადასხვანაირი ამბებს ვეცნობ სხვადასხვა დროსა და სივრცე-

ში. კარგი, ცუდი, თეთრი, შავი, ცოდვილი, უცოდველი ყველაფერ ერთნაირ ფერბულში ჩაბმულან და ერთსა და იმავეს (აი, ესეც შეცვლილი აღქმის შედეგი) საცეკვაო ილიტებს ანუ... ერთი მხრივან შეხედავ - თეთრი, მეორეხვან შეხედავ - შავი და ყოველდენ ამას არ უჩანს დახასრული.

მაინც ასე რამ დაამგვანა ყველა ეს აშბავი ერთმანეთს, მუხედავად იმისა, რომ თითქოს სულ სხვადასხვა საკითხს ეტეზან და თითქოს სხვადასხვა კუთხით აზუუტებენ მათ. უნინ ვერც კი წარმოშედგინა, თუ შეიძლება იმ ზომამდე ერთმანეთის მსგავსნი, ლამის ერთმანეთის განმეორებანი მოილოცებენ ეს ნივთები, მიუხედავად მათი ეთიმოდ და ილიტგეგონებისა და ყოველთვის, რასაც უნდა ვკითხვობიდე, პრესის ყველაზე იაფფასიანი, უხამსი გამონაგონის ჩაფლეთ, ერთი და იგივე უმთავრესი დვრცობა ილანდება ყოველ მათგანში; ესაა ბიბლიური მითი ედლის ეურდობაზე. ყველა დანარჩენი მისი განხილუბანია, თითქოსდა უფრევის დაყოფა ხდებოდაც, უთვალავი განმეორებანი ყოველ მხარეს მიკლავებთან მისგან. მოვლენათა ძაფი სწორედ ამ განმეორებათაგან იქმნება. მე უნდა მოვეცე ამ კლავნილ ძაფს, ვეძებო ჩემი ადგილი ამ უსასრულო განმეორებათა ჯაჭვში, ანუ ვეძებო ჩემი დანაშაული, ეს ერთი და იგივეა... და მე ისე ვფართხალენ ამ განმეორებათა ქაოსში, როგორც ბადემო გაბმული თევზი.

იგივე ითქმის, ცხადია, ფილმებზეც. აქ კიდევ უფრო ამკარაა ეს უცვლელი კანონზომიერება, განმეორებათა უსასრულო ჩანჭურები ჩაივლიან თვეენ თვალნი. ყველა სიუჟეტი, ყოველნაირი ამბავი, თვზარდამცემი თუ გულისამაჩუყებელი, ერთსა და იმავე მოცევილ ამბავს ატრიალებს, იძვნიად მოცევილს, რომ ასე მგონია, ანგავსან შექმულ, უსარგებლო ნივთს შევეურებდე. ნივთს, რომელიც დიდი ხანია არავის აღიარაფერში არგია, რაც უნდა გააფერდავ და აპარფევილო შექმის შეხლისსომეჭრელი კონებთ.

ისე, უნდა ვივარა, ერთგვარად გამართო ამ საქმნიანბან, - დრო ხომ გადის... ვკითხენ, ვუყურე, გავცენანი ყველაფერს, რამაც ამ საკამში შემოილაღნია. ამოვარცე დანაშაულთა მთელი კრიალისანი, რომელთა ჩაღვლას შევეულებდი შესაფერის გარემოებებში, ანუ რომლებიც ჩემთვის მისაღებად ჩათვალენ. ჩამოვანივნიე ნუსხა, მოვანერე ხელი და წარუვადინე ოქროპირი.

დახედა, მერე მე შემომხედა, კიდევ რაღაც აკლიაო.  
- რაზე ამბობ?  
- სისხლი უნდა დაანვეთო ხელის მოწერის გვერდით.  
- აუცილებელია?  
- ნამდვილად აუცილებელია. ისევ შენთვისაა საჭირო. ხელმოწერის მიმსგავსება შეიძლება, სისხლის წვეთს კი ვერავის შეგიცვლის. იგი ყოველთვის ეჭვმიტანლად დადასტურებს, რომ ეს ნამდვილად შენ მიერ არჩეულ დანაშაულთა ნუსხაა. ვერც დაუშვებენ ვინმე რაიმეს, ვერც გამოაკლბენ.

მეც დაუბნეთ სისხლის წვეთი ხელმოწერის გვერდით და უცხად ისე მომეჩვენა, თითქოს რომელიღაც სულ პანია ცდომილი აღიანდა იმ წყაფაბში, რომელშიც ასამდე ვიყავი ჩადირული ხასიკველი განაჩენის სახელობით. ხასიკველი განაჩენი, ეს ცეცხლოვანი ჩირაღდანი, ახლა უკვე სულ მთლიანად განუ-



ჭერეტელ ბნელეთში არ ფანტავს თავის სხივებს. მისი ნათების რალაც ნაწილი ამ ერთი ბუნო ცდომილს ეგონება. ძალზე სუსტად, უღონოდ, მაგრამ წაიჭრ უწვდენს იქიმდე... დანაშაულია ცდომილი, შორეული, პანია, ლამის მთლად ჩაძირული ბნელეთში; მაგრამ მისი ერთი მხარე ოდნავ აღნაშულა ამ აბეჭდული ჩირალდინგან.

\*\*\*

მეგონა, უკვე ყველაფერი გაირკვეოდა; შესაძლებელ დანაშაულია ნუსხა, სისხლანი ბუღმონჯრა, ყოველივე შზადაა. ალბათ, მალერსებურ და მეტყვიან, რომელია ჩემი დანაშაული ამათ შორის. თავის მართლება და ამისათვის მე არ მესწავლება, ოღონდ ვერ გავიგო, რას მასობრებენ.

საეპოზი ნარ? ამას ნამდვილად არ მთვოლოდი, აჯარობა ჩემთვის მოულოდნელობათა ნამდვილი ჩანჩქერია, ყოველ წამს რომ ვანწყები... ოქროპირმა წიგნების ახალი დასტა დამხვავა.

- იკითხე, - მითხრა ლაკონურად, - უყურე, - მიათათა ტელევიზორი - გაეცანი, - ჟურნალ-გაზეთებისკენ მიმანიშნა, - და ახალი ნუსხა შეადგინე შესაძლებელ დანაშაულთაგან.

ანაშე მე, როგორც იტყვიან, ავხტი და დავხტი. არა და არა! მეყოლე, რაც ვიკითხე. ამ... ამ საშინელუბებსაც ვუყურე, აღარ მინდა.

ოქროპირმა ყურიც არ შეიბერტყა ჩემს აღმფითებაზე.

- შენ ახლა იმ მსახიბის ჰგავარა, რომელმაც შეასრულა თავისი როლი და მკურნებელთა ტაშისგანაა ელოდება.

- რა შუამია აქ მსახიბი? - შევხვი მე.

- ასეა, ასე. კეკულუბო იმ დანაშაულებს, რომლებიც რაც შეიძლება, მოხდენილად მორჩე ტაშე ვის ეკუთვნის, თუ იცი? ხომ არ გგონია, ამით ვინმეს თვალსუბ აუბამ?

- კი, მაგრამ, სანამ უნდა გაგრძელდეს ასე...

